

# **ვალიგულებითი სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე  
2017, №12**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)  
2017, №12**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)  
2017, №12**

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)  
2017, №12**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 299 04 18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# **1. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები**

**ლიცენზიის გარეშე პერძო დაცვითი საქმიანობის  
განხორციელება;**

**დაჯარიმების კანონის რეგისტრი**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-623-610(კ-14)

21 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

## **აღნერილობითი ნაწილი:**

რ. ლ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების –  
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პო-  
ლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს მიმართ, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის  
29.01.13.წ. №000351 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის  
ოქმის, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 13.02.13.წ.  
№270733 ბრძანებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქ-  
მეთა სამინისტროს 26.03.13.წ. ბრძანების ბათილად ცნობის  
მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 23.03.2007 წ. რეგისტრირებულია  
ინდ. მენარმედ და ეწევა სამენარმეო საქმიანობას. 27.12.2012წ.  
მონაწილეობა მიიღო ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ გამოც-  
ხადებულ გამარტივებაზე ელექტრონულ ტენდერში. სატენდე-  
რო პირობებს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის №1 ადმინის-  
ტრაციული შენობის, სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მო-  
ბილიზაციის სამსახურის შენობის, ბოლაჯურისა და ჩორჩანის  
წყალსაქაჩის სადგურების შენობების დაცვის მომსახურების

შესყიდვა. მიმწოდებელს უნდა უზრუნველეყო აღნიშნულ შენობებში 24-საათიანი მომარაგების რეჟიმის განხორციელება, შენობებში არსებული ქონების დაცვა და უცხო პირების შესვლაზე კონტროლის დაწესება. მომსახურების განვევის ვადა განსაზღვრული იყო ხელშეკრულების დადებიდან 31.12.2013წ. ჩათვლით. შესყიდვის საგარაუდო ღირებულება შეადგენდა 16 800 ლარს. პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა აეტვირთა შესაბამისი დოკუმენტები და ინფორმაცია, სატენდერო წინადადების განფასება და საბანკო რეკვიზიტები. ამასთან, პრეტენდენტს არ ჰქონდა უფლება, წარმოედგინა ალტერნატიული სატენდერო წინადადება. ტენდერში გამარჯვების შედეგად, სატენდერო წინადადების საფუძველზე, 11.01.2013წ. ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსარჩელეს შორის დაიდო №3 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ადიგენის მუნიციპალიტეტის №1 ადმინისტრაციული შენობის, სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახურის შენობის, ბოლაჯურისა და ჩორჩანის წყალსაქაჩის სადგურების შენობების დაცვის მომსახურების შესყიდვა. მიმწოდებელს უნდა უზრუნველეყო აღნიშნულ ობიექტებში 24-საათიანი მომარაგების რეჟიმის განხორციელება, შენობებში არსებული ქონების დაცვა და უცხო პირთა შესვლაზე კონტროლის დაწესება.

„კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისა და დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის გარეშე განხორციელების გამო, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტირებისა და მონიტორინგის სამმართველომ 29.01.2013წ. შემოწმების შედეგად რ. ლ-ის მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000351, ხოლო სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 13.02.13.წ. №270733 ბრძანებით, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ინდ.მენარმე რ. ლ-ე დაჯარიმდა 10 000 ლარით. მოსარჩელემ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 18.02.2013წ. გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 26.03.13.წ. №217 ბრძანებით რ. ლ-ეს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არასრული გა-

მოკვლევით. მას სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 27.12.2012 წ. მონაბილეობა მიიღო ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში. შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებში არ მიუთითებია „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით დადგენილი საქმიანობის შესყიდვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უნდა მოეთხოვა შესაბამისი ლიცენზია, რაც არც სატენდერო განცხადებაში და არც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში არ ყოფილა მოთხოვნილი. შესყიდვის ობიექტი იყო დარაჯის საქმიანობა. აღნიშნული დასტურდება დაქირავებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც, სადაც არ არის დაფიქსირებული არც იარაღი და არც ვიდეოთვალი. ამასთან, მოსარჩევე არის ფიზიკური პირი, ხოლო კერძო დაცვით საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუნებული იურიდიული პირი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.10.2013წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო ადიგენის მუნიციპალიტეტის საკურებულო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.11.13.წ. გადაწყვეტილებით, რ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი სიიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 29.01.2013წ. №000351 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, 13.02.2013წ. №270733 პრძანება და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 26.03.2013წ. პრძანება.

სასამართლომ მიუთითა, რომ ლიცენზიის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელება თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლის განხილვა-შეფასების პროცესში სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ კონკრეტულ სამართლებრივ აქტებთან ერთად, სხვა მოწესრიგების არასებობის შემთხვევებში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით რეგლამენტირებული ზოგადი პრინციპებით. მითითებული კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძვლზე და წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ

ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაცვა არის ობიექტის შესაძლო ხელყოფის საფრთხეების აღმოჩენისა და აღმოფხვრისაკენ. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად დაცვის ობიექტია – ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უძრავი ან მოძრავი ნივთი, ცალკეული ონბისძიება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს კერძო დაცვითი ორგანიზაცია. ზემოაღნიშნულ ნორმებზე მითითებით სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა განმარტება, რომ ინდ.მენარმე რ. ლესა და ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 11.01.2013წ. გაფორმებული №3 ხელშეკრულებით წარმოშობილი ურთიერთობა წარმოადგენს კერძო დაცვით საქმიანობას, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, უძრავი ან მოძრავი ნივთის (მათ შორის მოძრავი ნივთის ტრანსპორტირების), აგრეთვე ცალკეული ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვისაკენ, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებული ღონისძიები არ არის მიმართული დაცვის ობიექტის, კონკრეტულ შემთხვევაში, შენობებში არსებული ქონების შესაძლო ხელყოფის საფრთხეების აღმოჩენისა და აღმოფხვრისაკენ.

სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. მოცემულ შემთხვევაში სატენდერო მოთხოვნები არ მოიცავდა კერძო დაცვითი ლიცენზიის მოთხოვნას; სამართალდარღვევა, რომლისთვისაც მოსარჩელის მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმი, გამოიხატა დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის გარეშე განხორციელება-ში. შესაბამისად, სწორედ აღნიშნული მოქმედების მიმართ უნდა დადგინდეს მოსარჩელის ბრალეულობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც ტენდერი გამოცხადებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სადაც სატენდერო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს არ წარმოადგენდა დაცვის ლიცენზიის არსებობა, მოსარჩელეს არ ეკისრებოდა ვალდებულება გაცინდებირებინა, რომ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა დაცვითი საქმიანობის განხორციელე-

ბას ლიცენზიის გარეშე.

სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული სამართლდარღვევის სუბიექტია კერძო დაცვითი ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენს „ლიცენზირების და ნებართვების შესახებ“ კანონით და „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული შესაბამის საქმიანობაზე ლიცენზიის მქონე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული, დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელი სამენარმეო იურიდიული პირი. კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიის გაცემა ხდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სამენარმეო იურიდიული პირის მიმართ, ვინაიდან ამგვარი საქმიანობა წარმოადგენს ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს ორგანიზაციული ფორმით შექმნილი და არა ფიზიკური პირის მიერ, შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სამართლდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.11.2013ნ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2014ნ. გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.11.2013ნ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური ლიცენზია არის უფლება, როდესაც პირს შეუძლია განახორციელოს რომელიმე ვიზრო საქმიანობა ლიცენზირებადი საქმიანობის ზოგადი სახეობიდან და ვალდებულია წარმოადგინოს მხოლოდ სპეციალური სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებები. ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა ისე, რომ არ მოიპოვოს საქმიანობათა უფრო ფართო წრის მარეგულირებელი ლიცენზია. „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი აწეს-

რიგებს კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და პირობებს. ამასთან ეს კანონი განსაზღვრავს კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ფორმებსა და ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომებს. აღნიშნული კანონის მეორე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კერძო დაცვითი საქმიანობა არის ლიცენზირებადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სახელშეკრულებო საფუძველზე და რომელიც: ა.ა) მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, უძრავი ან მოძრავი ნივთის (მათ შორის, მოძრავი ნივთის ტრანსპორტირების), აგრეთვე ცალკეული ლონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვისაკენ; ა.ბ) მოიცავს დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟასა და ექსპლოატაციას. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უძრავი ან მოძრავი ნივთი, ცალკეული ღონისძიება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს კერძო დაცვითი ორგანიზაციი.

საპელაციო პალატამ ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით განმარტა, რომ უძრავი ნივთის დაცვა, ისევე როგორც ადამიანის უსაფრთხოების დაცვა ორივე შემთხვევში გულისხმობს დაცვითი საქმიანობის განხორციელებას, რაზედაც აუცილებელია შესაბამისი ლიცენზიის მოპოვება. სააპალაციო პალატამ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული ლონისძიებები არ არის მიმართული დაცვის ობიექტის, კონკრეტულ შემთხვევაში, შენობებში არსებული ქონების შესაძლო ხელყოფის საფრთხეების აღმოჩენისა და აღმოფხვრისაკენ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ინდ.მეწარმე რ. ლ-ესა და ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 11.01.2013წ. გაფორმდა №3 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების საგანს ნარმოადგენდა ადიგენის მუნიციპალიტეტის №1 ადმინისტრაციული შენობის, სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახურის შენობის, ბოლაჯურისა და ჩორჩანის წყალსაქაჩის სადგურების შენობების დაცვის მომსახურების შესყიდვა. მიმწოდებელს უნდა უზრუნველყო აღნიშნულ ობიექტებში 24-საათიანი მომარაგების რეჟიმის განხორციელება, შენობებში არსებული ქონების დაცვა და უცხო პირთა შესვლაზე კონტროლის დაწესება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით,

მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაცვითი საქმიანობის განხორციელებას, რაზედაც აუცილებელია ლიცენზიის მოპოვება.

ის გარემოება, რომ სადავო შემთხვევაში, გამოცხადებული იყო ტენდერი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სადაც სატენდერო საკვალიფიკაციო ნუსხაში არ იყო მითითებული დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის შესახებ, სააპელაციო პალატის აზრით, არ წამოადგენს ნ. ლ-ის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. დაცვითი საქმიანობის მიმსახურების განხორციელება გულისხმობს ლიცენზირებული საქმიანობის განევას, რაც დადგენილია „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო კანონის არცოდნა ან მისი არასათანადო გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იურიდიულ პირს და მიუთითა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტსა და ამავე კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. პალატის მოსაზრებით, ლიცენზიის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გასაჩივრდა რ. ლ-ის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ 11.01.2013წ. №3 ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე. ამავე კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იყო მითითებული სატენდერო განცხადებაში კერძო დაცვითი საქმიანობის საჭიროების შესახებ. კასატორი უთითებს, რომ ზემოთაღნიშნული ხელშეკ-

რულების ობიექტია ადიგენის მუნიციპალიტეტის №1 ადმინისტრაციული შენობის, სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახურის შენობის, ბოლაჯურისა და ჩორჩანის წყალსაქაჩის სადგურების შენობების დაცვის მომსახურების შესყიდვა. კასატორი აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ქმდებას, ადგილი არ ჰქონია, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ განზრახვას. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გაითვალისწინა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა დავს გადასაწყვეტად ურთიერთობის მომწერიგებელი სპეციალური კანონი, კერძოდ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ და არა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლის შესწავლის და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ რ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის დაჯარიმების საფუძველი გახდა საქართველოს კანონი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“, რომლითაც მოწესრიგებულია კერძო დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, ორგანიზაციული ფორმები და სახეები, დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იძლევა კერძო დაცვითი საქმიანობის დეფიციის, რომლის თანახმად კერძო დაცვითი საქმიანობა არის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული, ლიცენზირებადი საქმიანობა მიმართული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, უძრავი ან მოძრავი ნივთის, აგრეთვე ცალკეული ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვისაკენ და მოიცავს დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟსა და ექსპლოატაციას. კერძო დაცვითი საქმიანობა ლიცენზირებადი საქმიანობაა („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მე-6 მუხ. 85-ე პუნქტი). ლიცენზირების

ბას ექვემდებარება იმგვარი საქმიანობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მე-2 მუხ., „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი). კერძო დაცვითი საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას იმის გამო, რომ მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, უძრავი ან მოძრავი ნივთის (მათ შორის მოძრავი ნივთის ტრანსპორტირების), აგრეთვე ცალკეულ ღონისძიებების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვისაკენ, მოიცავს დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟა და ექსპლოატაციას, რასაც განსახილვები შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის არ ცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, არ ასაბუთებს რ. ლისათვის სახდელის და კისრების მართლზომიერებას, ვინაიდან არ დასტურდება რ. ლ-ის მიერ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. 11.01.2013წ. რ. ლ-ესა და ადიგენის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული №3 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა №1 ადმინისტრაციული შენობის, სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახურის შენობის, ბოლაჯურის და ჩორჩანის წყალსაქაჩი საფლურების შენობების მეთვალყურეობა. მიმწოდებელს უნდა უზრუნველეყო აღნიშნულ ობიექტში 24 საათიანი მორიგეობის რეჟიმის განხორციელება, შენობაში არსებული ქონების დაცვა და უცხო პირთა შესვლაზე კონტროლის დაწესება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ექცევა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მონესრიგების ფარგლებში, შენობის დაცვისას არ გამოიყენებოდა დაცვის ტექნიკური (სათვალთვალო ტექნიკური ან საგანგაშო სიგნალიზაციის) მოწყობილობა ან სპეციალური (ხელბორკილი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, სატრანსპორტო საშუალება, სასამსახურო ძალი და სხვ.) საშუალებები (მე-2 მუხ. „ვ“, „გ“ ქვეპუნქტები, 22-ე, 23-ე მუხ.), რომლებსაც მოიცავს დაცვითი საქმიანობის დეფინიცია (მე-2 მუხ. „ა.პ“ ქვეპუნქტი). ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა აგრეთვე ფიზიკური იძულების, იარაღის გამოყენების შესაძლებლობას. ადგილი არ ჰქონია ისეთი საქმიანობის განხორციელებას, რომელიც უკავშირდება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის, სახელმწიფო და სა-

ზოგადოებრივი ინტერესების სფეროს („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 2.1, 10.13 მუხ.). რ. ლ-ის მიერ დაქირავებული პირის საქმიანობა არის სამეთვალყურეო მოვალეობა და არა მცველის („კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) საქმიანობა. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით ადგილი ჰქონდა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და აღნიშნავს, რომ სკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად. ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს. ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიღება მხარეთა შორის წინასწარი მოლაპარაკებები, ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი, მხარეთა მოქმედებები ხელშეკრულების დადების შემდგომ. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხელშეკრულების დადების მიზანი, რომელსაც ისახავდნენ მხარეები. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ ჰქონდა კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების დადების ნება, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანი არ ყოფილა პროფესიული დაცვითი მომსახურების შესყიდვა, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის 14.09.13ნ. №389 ნერილის თანახმად, გამგეობას არ ჰქონდა მიზნად პროფესიული დაცვის მომსახურების შესყიდვა, სწორედ ამიტომ ტენდერში მონანილეობის მსურველთათვის არ დაწესებულა სპეციალური მოთხოვნები, ხოლო მომსახურების შესყიდვის ფასი (16 800 ლ.) პროფესიული დაცვით მომსახურების ლირებულებაზე შესამჩნევად მცირეა. ასეთი ნება არც ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულების მეორე მხარეს რ. ლეგს გამოუვლენია. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების შესყიდვის საგანი იყო მოცემულ ობიექტებზე მეთვალყურეობის მომსახურება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №3 ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საგანია მასში მითითებული „ობიექტის დაცვის მომსახურების შესყიდვა“, რაც ამავე პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის თანახმად, იმაში გამოიხატება, რომ „მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ ობიექტში 24 საათიანი მორიგეობის რეჟიმის განხორ-

ციელება, შენობაში არსებული ქონების დაცვა და უცხო პირების შესვლაზე კონტროლის დაწესება“. ამდენად, სახეზეა მხარეთა შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება. მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ერთი მხარე ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, რომელსაც არ აქვს მატერიალური შედეგი, ხოლო მეორე მხარე იხდის შესაბამის ანაზღაურებას. მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი კანონით აუკრძალავი მომსახურების განევაზე. ფაქტიურად, მოსარჩელის მიერ განხორციელებულია მეთვალყურეობა, რაც დასტურდება დაქირავებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელთა მიხედვით მათ ევალებოდათ მეთვალყურის მოვალეობის შესრულება, მეთვალყურეობა შენობაზე, შესვლა-გამოსვლის მოწესრიგება და ზედამხედველობა. ასეთი მომსახურეობა არ საჭიროებს ლიცენზიირებას და არ უკავშირდება კერძო დაცვითი საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობას, მას რაიმე სპეციალური კანონმდებლობა არ აწესრიგებს, რაც ართულებს ამ საქმიანობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, თუმცა არ ქმნის მისი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით მოწესრიგებულ საქმიანობასთან გათანაბრების პირობას. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, ფიზიკურ პირს, ინდ.მენარმე „რ. ლ-ესა“ და ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის დაიდო წერილობითი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ერთი მხარის მიერ მეორისათვის სათანადო მომსახურების შეთავაზებას ანაზღაურების სანაცვლოდ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენს ხელშეკრულების იმ არსებით პირობებს, რომელთა შესრულებაც ხელშეკრულების მხარეთა ნამდვილი ნებიდან გამომდინარებდა და რამაც განაპირობა სწორედ ამ შინაარსის ხელშეკრულების დადება. სახეზე არ არის კანონის იმპერატიული დანაწესიდან ნების გამოვლენის შეუსაბამობა (სკ-ის 54-ე მუ.). კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება იდება დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციის შორის, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მომსახურების დამკვეთი შეიძლება იყოს ფიზიკური ან/და იურიდიული პირი. მოცემულ შემთხვევაში დამკვეთი არის ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სადაცო ურთიერთობის წარმოშობის დროს მიქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 10.1 მუხლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თვითმმართველი ერთეული იყო

დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავდა აღმას-რულებელი და ნარმომადგენლობითი ორგანოები. ლიცენზიის მაძიებელი და განმახორციელებელი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად არის კანონის თანახმად დაფუძნებული იურიდიული პირი. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება დაიდო ინდ.მენარმე „რ. ლ-ესთან“, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 2.3 მუხლის შესაბამისად ინდ. მენარმე არის ფიზიკური პირი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კერძო დაცვით საქმიანობაზე მითითებას არც კოლეგიური ორგანოს – ადიგენის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის 27.12.126. №2 ოქმით დამტკიცებული მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციაშე შეიცავს. შესყიდვის საგანი იყო შენობაზე მეთვალყურეობის მომსახურება, პრეტენდენტს უნდა აეტვირთა კანონით გათვალისწინებული ტენიკური დოკუმენტაცია და არ ჰქონდა უფლება ალტერნატიული სატენდერო წინადადების შეთავაზებისა. მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებული პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის, შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო და დამატებით მოთხოვნებს განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია და ყოველი მომდევნო შესყიდვისთვის აწესებს კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტები („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-13 მუხ.). სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტს არ გააჩნდა ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარდგენის უფლებამოსილება. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 7.3 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით, მათ შორის დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის კანონიერება, ტენდერის შედეგად გამგეობასა და რ. ლ-ეს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება სადავო არ გამხდარა. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 12!.5 მუხ., „ქვეპუნქტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.116. №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული

ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის „9.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტა-ციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწ-ყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია („სა-ხელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.11ნ. №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონუ-ლი ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წე-სის“ 12.5 მუხ.). ტენდერის საფუძველზე დადებული 11.01.13ნ. ხელშეკრულების ინსპექტორება შემსყიდველის მხრიდან ეგა-ლებოდა გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის გან-ვითარების სამსახურის უფროსის სპეციალისტს ზედამხედვე-ლობის საკითხებში (ხელშეკრულების 8.2პ.). შემსყიდველ ორ-განიზაციას არ მოუხდენა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ხელშეკრულების შეჩერება ან შეწყვეტა („სახელმწიფო შესყიდ-ვების შესახებ“ კანონის 7.1 მუხლის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტი). ამდე-ნად, ადიგენის მუნიციპალიტეტს ეკისარებოდა სატენდერო დო-კუმენტაციაში შესასყიდვი მომსახურების განევაზე საქმიანო-ბის სამართლებრივი საფუძვლის (ლიცენზიის) შესახებ მითი-თება. თუ მხარეები არ შეთანხმებულან პირობაზე (ლიცენზია), რომელიც მნიშვნელოვანია მათი უფლება-მოვალეობების გან-საზღვრისათვის, ასეთ დროს მხარეთა შეთანხმებას ემატება შემავსებელი პირობა, რასაც არც დაჯარიმებამდე და არც მის შემდეგ ადგილი არ ჰქონია. საქმეში მესამე პირად ჩამტული ადი-გენის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის განმარ-ტებით, გამგეობის წინაშე დაცვითი საქმიანობის შესყიდვის სა-ჭიროება არ იდგა, რასაც ადასტურებს გამგეობის 14.09.13ნ. №389 წერილი, შესყიდული მომსახურების მოცულობა და ლი-რებულება. რადგანაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სა-ტენდერო დოკუმენტაციაში არ ყოფილა მითითებული კერძო დაცვითი საქმიანობის შესყიდვის შესახებ, დაცვის მომსახუ-რების შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადების მიზანი არ ყოფი-ლა პროფესიული დაცვითი მომსახურების შესყიდვა, შესაბამი-სად ტენდერში მონანილეობის მსურველთათვის სპეციალური მოთხოვნები არ დაწესებულა.

ვინაიდან ტენდერი გამოცხადებული იყო ადმინისტრაციუ-ლი ორგანოს მიერ, სადაც სატენდერო საკვალიფიკაციო მოთ-ხოვნებს არ წარმოადგენდა დაცვის ლიცენზიის არსებობა, ხო-ლო ტენდერის პირობები, ტენდერში გამარჯვების შედეგად და-დებული ხელშეკრულების ტექსტი არ ითვალისწინებდა დაცვი-თი საქმიანობისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს როგო-

რიცაა შეიარაღებული დაცვა, ვიდეოთვალთვალი, ტექნიკის გამოყენება, ამასთანავე, ხელშეკრულებაში მითითებული ღონისძიებები არ იყო მიმართული დაცვის ობიექტის შესაძლო ხელყოფის საფრთხეების აღმოფხვრისაკენ, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს არ ეკისრებოდა ვალდებულება გაეცნობიერებინა, რომ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მისი მხრიდან ადგილი ექნებოდა კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებას ლიცენზიის გარეშე. საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ პრეტენდენტების მიერ წარსადგენი სატენდერო დოკუმენტაციის ჩამონათვალი ადგენის მუნიციპალიტეტის მიერ იყო შედგენილი. საკასაციო სასამართლოს აზრით სახეზეა რ. ლ-ის კანონიერი ნდობა ადგენის მუნიციპალიტეტის მიერ ტენდერთან დაკავშირებით წარმოებული დოკუმენტაციის მიმართ (სზაკ-ის 9.1 მუხ.). ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებით გამოცემული წერილობითი დოკუმენტები შეიცავს დაპირების ელემენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ თუ პრეტენდენტი დააკმაყოფილებს ტენდერის შემოთვაზებულ პირობებს, მასთან კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გაფორმდება ხელშეკრულება. სახეზეა, ასევე, პრეტენდენტის კანონიერი ნდობა ადგენის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის 03.01.2013 სხდომის ოქმის მიმართ, რომლითაც ინდ.მენარმე გამარჯვებულად გამოცხადდა. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედება – შემსყიდველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდ.მენარმესთან დადო ხელშეკრულება, რის შემდეგაც ის ასრულებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს. სახეზე არ არის კანონიერი ნდობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება (სზაკ-ის 9.2 მუხ.), ვინაიდან რ. ლ-ებ სრულად დააკმაყოფილა ტენდერის გამოცხადებული პირობები. მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, უკეთუ, არსებითად ირლვევა სხვა პირის კანონიერი უფლებები ან ინტერესები, ამ უკანასკნელს მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია სამართლებრივი სტაბილურობა, რომელიც უპირატესად ნდობის დაცვას ნიშნავს. სტაბილურობა მხოლოდ მაშინ არის გარანტირებული, როდესაც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებები იძენს შეუცვლელ ხასიათს. კანონიერი ნდობის პრინციპი იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეუცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედებების შეუსრულებლობისაგან. ამდენად, ადმინისტრაციული ორ-

განო, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების მონაწილე მხარე, მთელი თავისი ადმინისტრაციული რესურსით თავადვი უნდა იყოს ხელშეკრულების კანონიერების გარანტი. მოცემულ შემთხვევაში რ. ლ-ის მხრიდან კეთილსინდისიერად შესრულდა ტენდერის პირობები, ხოლო მმართველობის ორგანოს – ადგივენის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სატენდერო პირობების ჩამოყალიბების სანდოობა არ შეიძლება გახდეს რ. ლ-თვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ქმედების სამართლდარღვევად მიჩნევისათვის ქმედება ჩადენილი უნდა იყოს ბრალეულად (განზრახვით ან გაუფრთხილებლობით). (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხ.). რ. ლ-ესა და ადიგენის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №3 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე მეთვალყურეობის განხორციელებით საფრთხე არ შექმნილა მოქალაქეთა უფლებებისათვის და მმართველობითი წესრიგისათვის, რ. ლ-ის ქმედებაში არ იკვეთება ბრალეულობა, არ არსებობს სამართალდარღვევა ბრალის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება არათუ განზრახვა, არამედ გაუფრთხილებლობაც, ვინაიდან ორგანოს არ ჰქონია განზრახული კერძო დაცვითი საქმიანობის შესყიდვა და მით უფრო რ. ლ-ე ვერ ივარაუდებდა, რომ შესყიდვის საგანი იყო კანონით განსაზღვრული ლიცენზირებადი საქმიანობა, ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული საქმიანობა მიმდევად არ თავსდება კანონით განსაზღვრულ კერძო დაცვით საქმიანობაში.

„კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული დაცვითი საქმიანობის განევა არ დასტურდება, აგრეთვე, ი.მ. „რ. ლ-ის“ მიერ ფიზიკურ პირებთან დადებული ერთნობინი შრომითი ხელშეკრულებებით, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ მცველთა (გუშაგთა) დაცვითი სპეციალური საშუალებებით აღჭურვას (კანონის მე-11 მუხ., მე-14 მუხ. „დ“ ქვეპუნქტი, 22.1 მუხ.), „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ მცველების სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს (ვიდეო და ფოტოგადაღება, ტექნიკური საშუალებების გამოყენება, პირის გაძევება, შეპყრობა, იარაღის, ფიზიკური იძულების გამოყენება). რ. ლ-ის მიერ დადებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდნენ ხელშეკრულების ისეთ სავალდებულო კომპონენტს, როგორიცაა ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მცველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა (12.2 მუხ. „დ“ ქვეპუნქტი, მე-14 მუხ. „ვ“ ქვეპუნქტი), არ შემდგარა, აგრეთვე,

კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური დოკუმენტი – დაცვითი მომსახურების გეგმა, მცველების კარტოთეკა და ბარათი, მცველის მოწმობა, სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი და კანონით გათვალისწინებული დაცვითი საქმიანობის სხვა კომპონენტები. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ მხარეებს არ გამოულენიათ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის ნება.

რ. ლ-ე დაჯარიმდა 10 000 ლარით „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 24.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, 25.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კანონის 24.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს საჯარიმო სანქციების გამოყენებას როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების მიმართ. კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზირების გარეშე განხორციელების დადგენა ინვევს ფიზიკური პირების – მცველების დაჯარიმებას (მცველის სამსახურებრივი ფორმის გარეშე საქმიანობის განხორციელება, მცველის მოწმობის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელება, კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულების შეუსრულებლობა და სხვ.). საქართველოს შსს მინისტრის 14.01.10 წ. №40 ბრძანებით დამტკიცებული „კერძო დაცვის საქმიანობაზე კონფრონლის განხორციელებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესის“ 4.4 მუხლის თანახმად, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ორი ან ორზე მეტი მოთხოვნის დარღვევისას ოქმი და ბრძანება უნდა შედგეს/გამოიცეს თითოეული დარღვევისათვის ცალ-ცალკე. მოცემულ შემთხვევაში რ. ლ-ე დაჯარიმდა მხოლოდ ულიცენზიონ საქმიანობის განხორციელებისათვის. საქმის მსალების მიხედვით 11.01.13წ. დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამართალდარღვევის №000351 ოქმი უკვე 29.01.13წ. შედგა. მიუხედავად იმისა, რომ რ. ლ-ე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლომდე (11.01.13წ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მომსახურების განევას 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) ახორციელებდა გამგეობასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობას, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით, აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის 14.10.10წ. №40 ბრძანებით დამტკიცებული „კერძო დაცვის საქმიანობაზე კონფრონლის განსაზღვრის წესის“ 7.2 მუხლით გათვალისწინებული ზომები არ მიღებულა, რაც დამატებით ადასტურებს

დაჯარიმების საფუძვლის არარსებობას.

დაჯარიმების მართლზომიერებას არ ადასტურებს დასაცავი ინდიექტების დანიშნულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის ობიექტები არ არის მოცული საქართველოს მთავრობის 17.05.136. №427 განკარგულებით დამტკიცებული დაცვის ობიექტთა ნუსხით, ასეთ ნუსხაში ობიექტების ყოფნის შემთხვევაში მათი დაცვა „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად (მე-5 მუხ.). უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და არა კერძო დაცვითი სამსახურის მიერ. თავის მხრივ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონი, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაცვის შესახებ“ კანონისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ობიექტების და პირების ჩამონათვალს, რომლებიც სავალდებულო წესით ექვემდებარება კერძო დაცვით საქმიანობას. ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დასაცავი ობიექტების დანიშნულება ქმნიდა ობიექტების სპეციალური სამსახურების მიერ დაცვის საჭიროებას საფუძველს არის მოკლებული და არ იწვევს მოსარჩევლის დაჯარიმებას „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მიხედვით.

სადაც აქტი – შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ინსპექტორებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის 13.02.136. ბრძანება არ შეიცავს მითითებას აქტის გასაჩივრების შესაძლებლობაზე, გასაჩივრების წესზე, ამდენად, აქტი არ პასუხობს სზაკ-ის 52.2 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

შს მინისტრის 23.03.056. №266 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ დებულების 4.2 მუხლის, აგრეთვე შს მინისტრის 14.01.20146. №40 ბრძანებით დამტკიცებული „კერძო დაცვის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესის“ მე-2 მუხლის თანახმად, კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, მისი სტრუქტურული დანაყოფის – საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მეშვეობით. მთავარი სამმართველო უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გამოსცეს დაჯარიმების შესახებ ბრძანება (წესის 3.1 მუხლის „b“ ქვეპუნქტი). სამართალდარღვევის გამოვლენისას მთავარი სამმართველოს უფლებამოსი-

ლი თანამდებობის პირი უზრუნველყოფს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევას და გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს (წესის 3.3 მუხლი), ოქმი და მასზე თანდართული მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს, დაუყოვნებლივ განსახილველად ეგზავნება მთავარი სამართველოს იმ უფლებამოსილ პირს, რომლის კომპეტენციაშიც შედის დაჯარიმების შესახებ ბრძანების გამოცემა (წესის 4.2 მუხლი). უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევას და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს – დაჯარიმების შესახებ ბრძანებას, რომლითაც სამართალდამრღვევს დაეკისრება „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა – ჯარიმა (წესის 4.3 მუხლი). ამდენად, სამართალდარღვევის ოქმის შედეგენა მიზნად ისახავს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების დაფიქსირებასა და საქმის გარემოებების აღწერას. კონკრეტული ქმედების სამართალდარღვევად მიჩნევას და მისი ჩადენისათვის სახდელის დაკისრებას (ჯარიმის შეფარდებას) ახდენს უფლებამოსილი პირი შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. სწორედ აღნიშნული აქტი წარმოშობს პირისათვის სამართლებრივ შედეგს, მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმის შედეგენა არ გულისხმობს პირის სამართალდამრღვევად მიჩნევას და სახდელის შეფარდებას. ბრძანება დაჯარიმების შესახებ გამოიცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და არა რ. ლ-ის ოქმზე შეტანილი საჩივრის განხილვის შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არის შუალედური აქტი, მას არ მოჰყვება პირისათვის უშუალო სამართლებრივი შედეგი, შესაბამისად, ოქმი არ აკმაყოფილებს ასკ-ის 22-ე მუხლით დადგენილ შეცილებითი სარჩელის დასაშევებობის წინაპირობებს, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში, ასკ-ის 26<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

რაც შეეხება სადაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, კერძოდ, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთა-

ვარი სამმართველოს ინსპექტირებისა და მონიტორინგის სამმართველოს 13.02.136. №270733 ბრძანებას და შსს 26.03.136. №217 ბრძანებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამისად, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება უნდა დაეკისროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26<sup>2</sup> მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:**

1. რ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2014წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. რ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს. ბათილად იქნეს ცნობილი დაჯარიმების შესახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ინსპექტირებისა და მონიტორინგის სამმართველოს 13.02.2013წ. №270733 ბრძანება და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 26.03.2013წ. №217 ბრძანება;
4. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 29.01.2013წ. №000351 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის შესახებ რ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნაზე შეწყდეს საქმის ნარმოება დაუშვებლობის გამო;
5. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ე. ი-ის სასარგებლოდ დაეკისროს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის და ზ. ტ-ის სასარგებლოდ – 300 ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის  
შემუშავებაზე ვალებული აღმინისტრაციული  
ორგანოს დადგენა**

**განჩინება**

№ბს-582-575(ქ-15)

11 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 6 თვესა კონკრეტული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავების დავალება, აღნიშნული წესის შეთანხმება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან

**აღნერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 24 ოქტომბერს ბ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხებების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკრეტული ბინათმშენებლობის დაუშოთავრებლობით წარმოშობილი ვალი აღიარებულ იქნა სახელმწიფო საშინაო ვალად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა 1998 წლის 1 სექტემბრამდე შეემუშავებინა ამ ვალის დაფარვის წესი და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. მოპასუხეთა მხრიდან დღემდე შეუსრულებელია კანონისმიერი ვალდებულება. ამასთან, არ არსებობს საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე წორმატიული აქტი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა ახალი ვადა. საჯარო დაწესებულებების ტოტალური უმოქმედობა – კანონისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, ზიანს აყენებს მოსარჩელისა და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ათასობით საქართველოს მოქა-

ლაქის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის განჩინებაში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პ. სის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილებელად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, აღნიშნული იყო, რომ პ. სის ადრინდელი სარჩელის განხილვისას არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა ნამსჯელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობების დაცვის, მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობის საკითხზე, რის გამოც მოსარჩელემ მიზანშეწონილად მიიჩნია, მიემართა თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის სარჩელის გამოხმობის თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ, ამავდროულად, განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს და მოთხოვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრისა. მოსარჩელემ ამავე განცხადებაში მიუთითა, თუ რა უნდა ყოფილყო გათვალისწინებული წესში. ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 5 აგვისტოს №08-02/60168 წერილით განცხადება არ დაკმაყოფილდა, რის გამოც 2013 წლის 30 აგვისტოს პ. ს-ემ იმავე ორგანოებს მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით, რაც არ განხილულა კანონით დადგენილ დროში. ამდენად, სახეზე იყო ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უმოქმედებით გამოწვეული უარი.

ამდენად, მოსარჩელემ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ შემუშავების მოპასუხეებისათვის დავალება და „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას“ და ყოფილ საბინაო-სამშენებლო კომ-

პერატივების მეპაიე წევრებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს მთავრობა და საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინება მესამე პირად ჩაბმის თაობაზე კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეში მონაწილე მხარეთა შემადგენლობიდან საქართველოს მთავრობის ამორიცხვა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 აპრილის განჩინებით საქართველოს მთავრობის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინება საქართველოს მთავრობის საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისს საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაბმული იქნა ააიპ ... .

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს მთავრობა საქმეში ჩაება მოპასუხედ. მესამე პირს – საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ კომისიას შეეცვალა საპროცესო სტატუსი და იგი საქმეში ჩაბმულ იქნა მოპასუხედ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით პ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პ. ს-ემ 2013 წლის 22 ივლისს განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო სამინარ ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი

პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და იმავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოში კონკერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრიდან მისი სამოქმედოდ შემოღების მიზნით. ამასთან, მოითხოვა დავალიანების დაფარვის წესში ვალდებულების არსის გათვალისწინება. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 29 ივლისის წერილით პ. ს-ის განცხადება შესაბამისი რეაგირების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეცვანა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 5 აგვისტოს წერილით პ. ს-ეს 2013 წლის 22 ივლისის №108655/01 განცხადების პასუხად განემარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ყოფილ კონკერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა.

პ. ს-ემ 2013 წლის 30 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და იმავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – „საქართველოში კონკერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება; აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ამოქმედება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრისა. ასევე, მოითხოვა დავალიანების დაფარვის წესში ვალდებულების არსის გათვალისწინება, ანუ გათვალისწინებულ იქნეს ისეთი მექანიზმი, რაც დაზარალებულს მისცემს საშუა-

ლებას შეიძინოს ან ააშენოს ისეთი საცხოვრებელი ფართის ბინა, რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთან.

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 19 სექტემბრის წერილით ბ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეცავნა, რომელმაც 2013 წლის 10 ოქტომბრის №08-02/76265 წერილით საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს აცნობა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა. პერიოდულად იმართება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წარმომადგენლებთან, მათი უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. უახლოეს მომავალში იგეგმება შედეგების შეჯამება და კომისიაზე განსახილველად წარდგენა.

სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი იყო, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო საგალო ვალდებულებების დაფარვის წესი შეემუშავებინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 1 სექტემბრამდე და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების თანახმად, ამ კანონის მიღებამდე სახელმწიფო საშინაო ვალად, გარდა მე-11 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა, აღიარებულ იქნა შემდეგი სავალო ვალდებულებები: ვ) ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება; ზ) კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება; თ) მუნიციპალურ სანარმო „თბილისტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლო-

ბით წარმოქმნილი დავალიანება; ი) მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუზალდებლობით წარმოქმნილი დავალიანება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმის განსაზღვრას, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი. სასამართლოს უნდა გამოირკვია ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები. ამისათვის, ნორმა უნდა შეეფასებინა სისტემურად, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, რაც კანონმდებლის ნების დადგენის საშუალებას იძლეოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებულ პერიოდში მოქმედი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტის პროექტის მომზადება სადაც პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია იყო. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე სამინისტრო ვალდებული იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებები შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან.

სასამართლოს აზრით, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ყურადღება მიქცეულად „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით დაგენილ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილებას. კერძოდ, მითითებული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საშინაო ვალის მართვას უზრუნველყოფდა მისი დაფარვის ორგანიზაციით და აღრიცხვით, პროცენტის განსაზღვრითა და გადახდით, აგრეთვე სხვა ოპერაციების განხორციელებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ გულისხმობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებას კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის ნესი ცალკე სამართლებრივი აქტით შეემუშავებინა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ წლების მიხედვით (2005 წლის ჩათვლით) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებით დადგენილი იყო ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულება, განეხორციელებინათ რიგი ღონისძიებები (საპრივატიზებო ქონების მოძიება და სხვა), რათა შემცირებულიყო კოოპერატიულ ბინათ-

მშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება. თუმცა, აღნიშნული არ ცვლიდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება საბიუჯეტო პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. საქალაქო სა-სამართლოს მოსაზრებით, იმის გასარკვევად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იყო თუ არა კომპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სა-ხელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი შეემუშავებინა, უნდა დადგენილიყო დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მი-ხედვით ფინანსთა სამინისტროსათვის მინიჭებული უფლება-მოსილებების შეჯერებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის და-ფარვის წესი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დადგენილიყო. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, „სა-ხელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხ-ლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვა-ლის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციე-ბის შემუშავების მიზნით, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომი-სია.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივ-ნისის №413 ბრძანებულებით დადგენილი წესისგან განსხვავე-ბით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციების საფუძ-ველზე გადაწყვეტილებების მიმღებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების მომზადების საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარ-ლამენტი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სა-მინისტროს დებულების პირველი მუხლის თანახმად, საქართვე-ლოს ფინანსთა სამინისტრო იყო საქართველოს კონსტიტუციი-სა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსი-ლებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორ-განო, რომელიც ახორციელებდა სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნ-ველყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგა-დასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონ-

ტროლს და სხვა. იმავე დებულების მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენდა სახელმწიფო ვალის მართვა კომპეტენციის ფარგლებში. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია აღარ იყო. ამგვარი ვალდებულება მას მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით ჰქონდა მინიჭებული. სახელმწიფო საშინაო ვალის (დასკვნა კონკრეტულად შეეხება კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემას) დავალიანების დაფარვის წესისა და მექანიზმის საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავების უცილებლობაზე საუბრობდა ასევე საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2014 წლის 17 ოქტომბრის №11510 დასკვნა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ პაექრობის ეტაპზე ჩამოაყალიბა ისე, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავალებოდა. ამგვარად, მოსარჩელემ დააზუსტა და აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ ერთი მოპასუხისადმი მიმართა. შესაბამისად, სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის საფუძვლიანობას აფასებდა მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მიმართებით. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ სებობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავების დავალების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისი ნორმებით დადგენილია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის უფლებამოსილებები და ვალდებულებები. რეგლამენტის 181-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადება, განხილვა და მიღება ხდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის კომიტეტის მირთადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბა-

მისად, საქართველოს მთავრობა ყოველი წლის 1 ივნისამდე პარლამენტს წარუდგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვასა და შეთანხმებას ორგანიზებას უწევს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს და მიღლოს საჭირო ინფორმაცია საქართველოს მთავრობიდან, საქართველოს სამინისტროებიდან, სხვა უწყებებიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დანესებულებებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამის ნორმატიულ აქტში სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების დაფარვის წესის ასახვის მიზნით მის შემუშავებამდე, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს არ გააჩნია შესაძლებლობა რაიმე მოქმედება განახორციელოს. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ვალის დაფარვის შემუშავებული წესი შეთანხმებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინებით ბ. ს-ის სააპელაციო საჩივრაში არ დაკამაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იმის გასარკვევად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია თუ არა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი შეიმუშაოს, უნდა დადგინდეს დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით ფინანსთა სამინისტროსათვის

მინიჭებული უფლებამოსილებების ხასიათი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. იმავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დადგინდეს. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 ნოემბრის №539 ბრძანებულებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ომარ ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, განმარტა, რომ ვალის ოდენობის დადგენა დამოკიდებული იყო ინდექსაციის რეგულირების თაობაზე არსებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების არსებობაზე, ვალუტის კონვერტაციასა და სხვა რთულ ფინანსურ კალკულაციაზე. ამ მიზნით შექმნილი იყო შესაბამისი კომისია. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების შემცირების მიზნით მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (მაგ.: საქართველოს მთავრობის 19.12.2014 წ. №2386 განკარგულება). მოსარჩელე დავის განხილვის პროცესში პრეტენზიას გამოთქვამ-

და კომისიის მუშაობის ეფექტურობაზე, ასევე საქართველოს მთავრობის ვალდებულებაზე, ზედამხედველობა გაუწიოს სამინისტროს მუშაობას. საბოლოოდ, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნულ მოპასუხეთა მიმართ პრეტენზიის დასაბუთებულობას ან დაუსაბუთებლობას ვერ შეაფასებდა, თუმცა მიჩნევს, რომ აღიარებული ვალდებულების დროული შესრულება უზრუნველყოფდა სამართლებრივ სიცხადესა და დაცულობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინოა პ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკრძალვით განვითარება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, ვინაიდნ არ არსებობს ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში მოპასუხე მხარეთა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ყველა მოპასუხე ერთხმად აღიარებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებას, კერძოდ, იმას, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით ნარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების წესის შემუშავება ფინანსთა სამინისტროს ვალდებულება იყო.

როგორც პირველმა ინსტანციამ, ისე სააპელაციო სასამართლომ 1998 წლის და შემდგომ პერიოდში მოქმედი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 1999 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე კანონის მე-13 მუხლის, მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილების, დღეისათვის მოქმედი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“

მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის, „სახელმწიფო ვალის შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის ანალიზის საფუძვლზე დაადგინეს, რომ „...ფინანსთა სამინისტროს წესის შემუშავების საბოლოო თარიღად განესაზღვრა 1998 წლის 1 სექტემბერი“.

მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია აღარ იყო. ამგვარი ვალდებულება მას მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით ჰქონდა მინიჭებული. აღნიშნული აშკარად ადასტურებს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, თუ რას გულისხმობს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის საკანონმდებლო დანაწესი. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ უნდა გამოარკვიოს ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები. ამისთვის ნორმა უნდა შეფასდეს სისტემურად, სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, რაც კანონმდებლის ნების დადგენის საშუალებას იძლევა.

კასატორის აზრით, სასამართლოს მართლაც რომ გამოერკვია ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები, შეეფასებინა სისტემურად სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, პირველ რიგში უნდა დაედგინა გასაჩივრებულ განჩინებაში მოხმობილი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების რეგულირების სფერო, ის, თუ რას არეგულირებს კანონმდებლი და რაში ვლინდება მისი ნება საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტის მიღებისას. საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებს საბიუჯეტო სისტემას და უფლებამოსილებებს, ვერ მოაწესრიგებს და ვერ დაარეგულირებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კანონმდებლის ნებას იმ მიზეზის გამო, რომ დასახელებული საკანონმდებლო აქტები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც რეგულირების სფეროს, ისე უფლებამოსილებათა თვალსაზრისით. ამასთან, ისინი არ აუქმებენ, არ ცვლიან და ძალადაკარგულად არ აცხადებენ ერთმანეთს და/ან მათ რომელიმე ცალკეულ ნორმას.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებული განჩინებით საპე-

ლაციო სასამართლო წინააღმდეგობაში მოვიდა ამავე სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებასთან, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს მთავრობის კერძო საჩივარი, რითაც მთავრობა ამტკიცებდა, რომ „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი დაგალიანების დაფარვის წესის“ შემუშავება ფინანსთა სამინისტროს ვალდებულება იყო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა საქართველოს მთავრობის კერძო საჩივარის მოტკიცები და დაადგინა, რომ საქართველოში „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი დაგალიანების დაფარვის წესის“ შემუშავების შესახებ უფლებამოსილი სუბიექტები იყვნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, რომელთა აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრული იყო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშ-

ნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას, დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების რეგულირების სფერო, გამოარკვიოს მათში მითითებულ ნორმათა არსი და მათი მოქმედების ფარგლები და შეაფასოს სისტემურად სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში. მითითებულ საკითხთა გამოკვლევის შემდეგ სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს სათანადო მოპასუხეზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, რომელსაც სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავების ვალდებულება აღარ გააჩნია, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის კანონქვემდებარე აქტის – „კონკრეტული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო სამინარ ვალის ანაზღაურების წესის შემუშავების“ დავალების შესახებ ბ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნას საფუძვლად უდევს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა, შემუშავებინა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო საგალო ვალდებულების დაფარვის წესი 1998 წლის 1 სექტემბრამდე და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის. მითითებული მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების თანახმად, აღიარებულ იქნა ისეთი სავალო ვალდებულებები, როგორიცაა: ვ) ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება; ზ) კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება; თ) მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება; ი) მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნალდებლობით წარმოქმნილი დაგაღიანება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე, ბ. ს-ემ მოითხოვა მოპასუხების დავალდებულება, შეიმუშა-

ოს კონპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი და აღნიშული წესი შეათანხმოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ბ. ს-ემ 2013 წლის 22 ივლისს განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და იმავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოში კონპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრიდან მისი სამოქმედოდ შემოღების მიზნით. ამასთან, მოთხოვა დავალიანების დაფარვის წესში გაღდებულების არსის გათვალისწინება. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 29 ივლისის წერილით ბ. ს-ის განცხადება შესაბამისი რეაგირების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 5 აგვისტოს წერილით ბ. ს-ეს 2013 წლის 22 ივლისის №108655/01 განცხადების პასუხად განემარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ყოფილ კონპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა.

ბ. ს-ემ 2013 წლის 30 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვე-

პუნქტის და იმავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – „საქართველოში კონკრეტული პინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ამოქმედება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრისა. ასევე, მოთხოვა დავალიანების დაფარვის წესში ვალდებულების არსის გათვალისწინება, ანუ ისეთი მექანიზმის გათვალისწინება, რაც დაზარალებულს მისცემდა საშუალებას, შეეძინა ან აეშენებინა ისეთი საცხოვრებელი ბინა, რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულება საპინაო-სამშენებლო კოოპერატივთან.

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 19 სექტემბრის წერილით პ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნა, რომელმაც 2013 წლის 10 ოქტომბრის №08-02/76265 წერილით საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს აცნობა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ყოფილ კონკრეტულ პინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა. პერიოდულად იმართება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა საპინაო-სამშენებლო კოოპერატივის და მათი უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. უახლოეს მომავალში იგეგმება შედეგების შეჯამება და კომისიაზე განსახილველად წარდგენა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანხმად, სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შეემუშავებინა და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად სწორედ მი-

თითებულ ნორმას ასახელებს და მოითხოვს სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის შემუშავებას და ამ წესის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად უთითებს დავალიანების დაფარვის წესის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა მოიცავს არა მარტო სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავებას, არამედ მის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, ცხადია, რომ ასეთი დავალების შეთანხმება ვერ დაეკისრება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავება და შემდგომ მისი შეთანხმება უნდა მოხდეს ერთობლიობაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათი ფუნქციების შესაბამისად.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციების სასამართლოების განმარტებით, სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავების ვალდებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გააჩნდა 1998 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო ასეთი ვალდებულება დღეს გააჩნია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, რომელიც მუშაობს დავალიანების დაფარვის რეკომენდაციებზე. კასატორის მითითებით, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა კომისიის მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა შეიძინოს მრავალჯერადი მოქმედების ხასიათი და იქცეს სავალდებულო წესად, ამასთან რა ფორმით და რა გზით, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომისიას არა აქვს უფლება, გამოსცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, კასატორის მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მართლზომიერია დღეისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის – „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელი მიზნად ისახავს სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავებას, ვინაიდან ამას ითვალისწინებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის დანაწესი. ამასთან, ასეთი წესის შემუშავება რთულ საფინანსო გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული.

ლი, რომელზედაც მუშაობს კომისია.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით დადგენილი წესისგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსნავლელი სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიმღებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების მომზადების საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტი. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსნავლელი სახელმწიფო კომისიის დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კომისია შეიმუშავებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მათ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია განიხილავს ზემოაღნიშნული სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმავე დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კომისია მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებს დადგენილი წესით გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილების დანართი შესაბამისობაშია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგად მიზანთან, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება ასახული უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რასაც ადასტურებს დღეს შორის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომლის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს მთავრობა, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე, ბიუჯეტის კონტროლზე პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს პარლამენტი. იმავე კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და

წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს და სხვა. იმავე დებულების მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო ვალის მართვა კომპეტენციის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ სასამარჩელო მოთხოვნის დაკაყუყობაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა ის, რომ სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით და ამგვარი ვალდებულება მას უკვე აღარ გააჩინა. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის №2386 განკარგულება და განმარტა, რომ ვალის ოდენობის დადგენა დამზრულია ინდექსაციის რეგულირების თაობაზე არსებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების არსებობაზე, ვალუტის კონვერტაციასა და სხვა რთულ ფინანსურ კალკულაციაზე. ამ მიზნით შექმნილია შესაბამისი კომისია. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების შემცირების მიზნით, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს კასაციის მოტივს და განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის №2386 განკარგულება გამოცემულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის საფუძველზე და სახელმწიფოს მიერ აღიარებული ფულადი ვალდებულების გაქვითვის მიზნით. ამდენად, ფულადი ვალდებულების არსებობა აღიარებულ იქნა კიდევ ერთხელ. რაც შეეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კონკრე-

ტული პირობების მიმართ ვალდებულების შესრულებას, ასეთი გზით ვალდებულების შესრულება შესაძლებელი იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კანონისმიერი ვალდებულების შესრულებისას, როცა შეიმუშავებს სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესს და მასში ასახავს ვალდებულების შესრულების ისეთ ფორმასაც, რასაც ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის №592 ბრძანებულება. ამავე ბრძანებულებით დამტკიცებული პროგრამის მოქმედების პერიოდში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით შიდა ვალის ანაზღაურების მიზნით შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიურ კანონებში შიდა ვალის მოცულობის შესამცირებლად გათვალისწინებული იყო შესაბამისი მავალდებულებელი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით ბინების წევრებისათვის სახელმწიფო ქონებისა და მინის ნაკვეთების გადაცემას. ამდენად, საქართველოს მთავრობამ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ალიარა ვალდებულების არსებობა.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განმარტა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმსა განსაზღვრას, თუ რას გულისხმის 1-ლი ნანილის „**“** საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი ნანილის „**“** კვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნანილის საკანონმდებლო დანაწესი. სასამართლოს უნდა გამოერკვია ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები. ამისათვის, ნორმა უნდა შეეფასებინა სისტემურად, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, რაც კანონმდებლის ნების დადგენის საშუალებას იძლეოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ზემოაღნიშნული ნორმის არსა და მოქმედების ფარგლებზე, არ შეუფასებია სისტემურად სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებთან ერთობლიობაში, რითაც უნდა დაედგინა გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული ყველა საკანონმდებლო აქტის მოქმედების სფერო და გამოერკვია, თუ რომელი ადმინისტრაციული ორგანოს (ორგანოების) ვალდებულებას წარმოადგენდა მითითებული აქტებით დადგენილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 85-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვალაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ბ. ს-ეს უარი უთხრა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, რომელიც აღარ იყო უფლებამოსილი სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით გამოეცა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაშინ, როცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გარდა საქმეში მოპასუხებად ჩართული იყო საქართველოს მთავრობა, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დაადგინა:**

1. ბ. ს-ის საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ვალდებულების შესრულების გამო დაკისრებული პირებისამთხველოს ოდენობის სისწორე

## გადაცემის დღე საქართველოს სახელი

№ბს-233-231(კ-16)

13 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 6 მაისს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სსიპ შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების – 7 251,59 ლარის, პირგასამტებლოს სახით 17 804,77 ლარის, დავალიანების სრულად დაფარვამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 6,69 ლარის გადახდის დაკისრება – 2015 წლის 6 მაისიდან.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 21 ივნისს (15 ივნისს) სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1/3203 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურს უნდა განეხორციელებინა შემოსავლების სამსახურის 7 ობიექტზე დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოები, მათ შორის ხელშეკრულების 1.2.3 პუნქტის შესაბამისად, ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე აბიექტზე 7327.10 ლარის ღირებულებისა, რომელიც 2012 წლის 15 ივნისის (2012 წლის 23 აგვისტო) შეთანხმების ოქტის 1.1.3. პუნქტის შესაბამისად შეიცვალა და განისაზღვრა – 7251,59 ლარით. აღნიშნულ ობიექტზე 2012 წლის 31 ივლისს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი-ინსტალაცია და გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა სსიპ შემოსავლების სამსახურს არ

## გადაუხდია

სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შემოსავლების სამსახურს შორის 2012 წლის 15 ივნისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1/3203-№1/538 ხელშეკრულება შემოსავლების სამსახურის 7 ობიექტზე დაცვითი – საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულების შესახებ. აღნიშნული 7 ობიექტიდან 6 ობიექტზე, 2012 წლის 15 ივნისს და 2012 წლის 23 აგვისტოს, გაფორმებული შეთანხმების ოქმების თანახმად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2012 წლის 1 და 14 სექტემბერს წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე სრულად იქნა ანაზღაურებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ხოლო ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე იბიექტზე, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელთა სიტყვიერი მოთხოვნის მიუხედავად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს ტექნიკურ სამსახურს არ წარუდგენია დამატებით დაზუსტებული მიღება-ჩაბარების აქტი, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილი იყო ხელშეკრულებასა და შეთანხმების ოქმებში არსებული ხარვეზები. წარმოდგენილი ღოკუმენტები არ შეესაბამებოდა შემოსავლების სამსახურსა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის 2012 წლის 15 ივნისის №1/3203-№1/538 ხელშეკრულებითა და 2012 წლის 23 აგვისტოს შეთანხმების ოქმებით გათვალისწინებულ თანხას – 6 991,60 ლარს. ამასთან, ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ხელმეორედ ხარვეზის გამოსწორების გარეშე უცვლელად, იგივე თანხაზე, იქნა წარმოდგენილი ორი წლის დაგვიანებით, რასაც შემოსავლების სამსახური არ დაეთანხმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სსიპ შემოსავლების სამსახურს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა 7 251,59 ლარის გადახდა. სსიპ შემოსავლების სამსახურს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტებლოს – 17 804,77 ლარის გადახდა; სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი 2015 წლის 6 მაი-

სის შემდეგ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 6,69 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სსიპ შემოსავლების სამსახურს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 752 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურსა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ პირგასამტებლოს სახით 17 804.77 ლარის გადახდა დაეკისრა და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; სსიპ შემოსავლების სამსახურს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტებლო – ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 31 ივლისიდან - 2015 წლის 6 მაისის ჩათვლით (1050 დღე) – შეუსრულებელი ვალდებულების – 7 251,59 ლარის 0,07%-ის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 21.06.2012წ, №1/3203 ხელშეკრულებით სსიპ შემოსავლების სამსახური (შემსყიდველი) და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (მიმწოდებელი) შეთანხმდნენ შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა ობიექტებზე (სულ 7 ობიექტზე) დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემების სამონიტორი-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მხარეთა შორის სადაცო ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე ობიექტზე, რომლის ლირებულება ხელშეკრულებით განისაზღვრა 7 327.10 ლარით. ხელშეკრულების 2.2 პუნქტით, შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრა 31 703.56 ლარით. 4.1 პუნქტით, შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტორების ჯგუფის წევრების დადებითი დასკვნის საფუძველზე. 5.2 პუნქტით, ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება სამუშაოს დასრულებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. 7.5 პუნქტით, ხელშეკრულებით, გათვალისწინებული ვალდებულების

შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირ-გასამტებლოს – ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგა-დაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.07%-ის გადახდა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 15.06.2012წ, №1/538 ხელშეკრულებით სსიპ შემოსავლების სამსახური და სსიპ დაც-ვის პოლიციის დეპარტამენტი შეთანხმდნენ შემოსავლების სამ-სახურის 7 ობიექტზე, მათ შორის ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე ობიექტზე, დაცვითა-საგანგაშო სიგნალიზაციის სის-ტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებაზე, რომლის ღირებულება განისაზღვრა 7 327.10 ლარით;

15.06.2012 წლის №1 შეთანხმების ოქმით ცვლილება შევიდა 15.06.2012წ 1/538 ხელშეკრულებაში და ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე ობიექტზე, რომლის ღირებულება ხელშეკრუ-ლებით განისაზღვრა 7 251.59 ლარით;

31.07.2012 წლის დაცვითი საგანგაშო სისტემის მონტაჟ-ინ-სტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის (ხელმოწერილია დამკვე-თისა და შემსრულებლის მიერ) თანახმად, 21.07.2012წ, №1/3203 ხელშეკრულების შესაბამისად დამკვეთის ობიექტზე მდებარე ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5 დამონტაჟდა 7251.59 ლარის ღირე-ბულების მასალები. სისტემის მონტაჟი-ინსტალაცია შესრულე-ბულია ჯეროვნად, რაზეც მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრე-ტენზიები არ გააჩნიათ.

მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქ. №5-ში მდებარე ობიექტზე დამონტაჟდა: 1) 4 წვერიანი კაბელი – 650 მეტრი; 2) 8 წვერიანი კაბელი – 600 მეტრი; 3) 12 წვერიანი კაბელი – 100 მეტრი; 4) საგანგაშო ღილაკი – 2 ცალი; 5) აკუმუ-ლატორი 60 ამპ/სთ – 4 ცალი; 6) სამუხტი 2 ამპ/სთ – 4 ცალი; 7) მოძრაობის დეტექტორი – 84 ცალი; 8) მსხვრევის დეტექტორი – 27 (ცალი); 9) ტრანსფორმატორი – 4 (ცალი); 10) კაბელ-არხი 16X10 – 500 მეტრი; 11) საკონტროლო პანელი – 4 ცალი; 12) სირენა – 4 ცალი; 13) კლავიატურა – 4 ცალი;

საქმეში წარმოდგენილი ცნობით სსიპ შემოსავლების სამსა-ხურს, 21.06.2012 წლის №1/3203 ხელშეკრულების საფუძველ-ზე, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ ერიცხება დებიტორული დავალიანება 7 251.59 ლარი. ხელშეკრულების 7.5 მუხლის გათვალისწინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის ყო-ველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების თანახმად უნდა დარიცხულიყო პირგასამტებლო საერთო თანხის 0.07%, რამაც 06.05.2015 წლის მდგომარეობით შეადგინა 17 804.77 ლა-

რი;

2014 წლის 20 ოქტომბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა წერილი გაუგზავნა სსიპ შემოსავლების სამსახურს და აცნობა, რომ 21.06.2012 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩის №5-ში მდებარე ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება 7 251.59 ლარი არ იყო ანაზღაურებული, ამასთან, ხელშეკრულების 7.5 პუნქტის საფუძველზე მას ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.07%-ის ოდენობით. 2014 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით პირგასამტეხლო შეადგნდა 14 033. 77 ლარს;

წერილის პასუხად სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაცვის პოლიციას უარი განუცხადა თანხების ანაზღაურებაზე იმის გამო, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა 2012 წლის 15 ივნისის №1/3203-№1/538 ხელშეკრულებებსა და 2012 წლის 23 აგვისტოს შეთანხმების ოქმებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელთა თანახმადაც სამუშაოთა ღირებულება შეადგენდა 6 991.60 ლარს. შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ეცნობა, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია იყო ხარვეზიანი, რაც მათ არ გაითვალისწინეს. შესაბამისად, ხარვეზის აღმოუფხვრელობის გამო, შემოსავლების სამსახური უარს აცხადებდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე

25.12.2015 წლის წერილით დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სსიპ შემოსავლების სამსახურს განუმარტა, რომ 21.06.2012 წ (15.06.2012) №1/3203 ხელშეკრულებით ქუთაისში, ჯ-ის ქ. №5-ში მდებარე ობიექტზე დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 7 327,10 ლარით, რაც 2012 წლის 15 ივნისის შეთანხმების ოქმის 1.1.3 პუნქტით შეიცვალა და განისაზღვრა 7 251.59 ლარით. აღნიშნული შეთანხმების ოქმი შედგა სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით და დანართში მიეთითა ობიექტზე გამოყენებული მასალები. ჩამონათვალში დაშვებული იქნა შეცდომა. მასალების ჩამონათვალში 12 სახეობის მასალაა მითითებული, ხოლო 26.06.2012 წ №1506 ინვოისში და 31.07.2012 წლის მიღება-ჩაბარების აქტში – 13 სახეობის. შეთანხმების ოქმის დანართის ჩამონათვალში 4 წვერიანი კაბელის – 650 მეტრი გამოტოვებულია და 8 წვერიანი კაბელის – 600 მეტრის ნაცვლად მითითებულია 4 წვერიანი კაბელი

– 600 მეტრი, რაც იძლევა 260 ლარის სხვაობას, შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შეცდომით იქნა აღიარებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ დავალიანება 6 991,60 ლარი;

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ.ქუთასიშვი, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე ობიექტზე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 7 251,59 ლარს, რომლის გადახდის ვალდებულებაც კვისრება სსიპ შემოსავლების სამსახურს.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 21.06.2012წ, №1/3203 ხელშეკრულების 7.5 პუნქტით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტებლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,07%-ის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ 21.06.2012წ, №1/3203 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე 6 ობიექტზე სსიპ შემოსავლების სამსახურს შესრულებული აქვს და აღნიშნულზე მხარეთა შორის დავა არ წარმოებს – მოპასუხეს (აპელანტს) არ შეუსრულებია ქ.ქუთასიშვი, ჯ-ის ქუჩა №5-ში ჩატარებული სამუშაოს ღირებულების გადახდის ვალდებულებას, შესაბამისად, პირგასამტებლოს გადახდა მას უნდა დაეკისროს შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის გათვალისწინებით, რაც შეადგენს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (1050 დღე) – 7 251,59 ლარის 0,07%.

სასამართლოს აზრით, პირგასამტებლოს გადახდის პერიოდი უნდა განისაზღვროს 31.07.2012 წლიდან (სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ვალდებულების შესრულებიდან) 06.05.2015 წლამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ შემოსავლების სამსახურმა საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის  $10^1$ -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შემოსავლების სამსახურს შორის 2012 წლის 15 ივნისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1/3203–№1/538 ხელშეკრულება შემოსავლების სამსახურის 7 ობიექტზე დაცვითი

– საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულების შესახებ. აღნიშნული 7 ობიექტიდან 6 ობიექტზე, 2012 წლის 15 ივნისს და 2012 წლის 23 აგვისტოს, გაფორმებული შეთანხმების ოქმების თანახმად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2012 წლის 1 და 14 სექტემბერს წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე სრულად იქნა ანაზღაურებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ხოლო ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე ობიექტზე, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელთა სიტყვიერი მოთხოვნის მიუხედავად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს ტექნიკურ სამსახურს არ წარუდგენია დამატებით დაზუსტებული მიღება-ჩაბარების აქტი, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილი იყო ხელშეკრულებასა და შეთანხმების ოქმებში არსებული ხარვეზები. წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამებოდა შემოსავლების სამსახურსა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შორის 2012 წლის 15 ივნისის №1/3203-№1/538 ხელშეკრულებითა და 2012 წლის 23 აგვისტოს შეთანხმების ოქმებით გათვალისწინებულ თანხას – 6 991,60 ლარს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა პირგასამტებლოს დაკისრების პერიოდი, კერძოდ, სასამართლის აზრით, პირგასამტებლოს გადახდის პერიოდი უნდა განისაზღვროს 31.07.2012 წლიდან (სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ვალდებულების შესრულებიდან) 06.05.2015 წლამდე. ეს პერიოდი მოიცავს 1009 დღეს და არა 1050 დღეს, როგორც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტორივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცე-

ბულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და-საშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

„დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას საპროცესო-სამართლებრივ დარღვევებზე, რასაც შედეგად ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვა. განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი შედავება წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 21.06.2012წ, №1/3203 ხელშეკრულებით სსიპ შემოსავლების სამსახური (შემსყიდვები) და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (მიმწოდებელი) შეთანხმდნენ შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა ობიექტებზე (სულ 7 ობიექტზე) დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემების სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მხარეთა შორის სადაცო ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე იბიექტზე, რომლის ღირებულება ხელშეკრულებით განისაზღვრა 7 327.10 ლარით. ხელშეკრულების 2.2 პუნქტით, შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრა 31 703.56 ლარით. 4.1 პუნქტით, შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის წევრების დადებითი დასკვნის საფუძველზე. 5.2 პუნქტით, ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება სამუშაოს დასრულებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. 7.5 პუნქტით, ხელშეკრულებით, გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტებლოს – ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.07%-ის გადახდა.

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 15.06.2012წ, №1/538 ხელშეკრულებით სსიპ შემოსავლების სამსახური და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი შეთანხმდნენ შემოსავლების სამსახურის 7 ობიექტზე, მათ შორის ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე იბიექტზე, დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებაზე, რომლის ღირებულება განისაზღვრა 7 327.10 ლარით;

3. 15.06.2012 წლის №1 შეთანხმების ოქმით ცვლილება შევიდა 15.06.2012წ. №1/538 ხელშეკრულებაში და ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე ობიექტზე, რომლის ღირებულება ხელშეკრულებით განისაზღვრა 7 251.59 ლარით;

4. 31.07.2012 წლის დაცვითი საგანგაშო სისტემის მონტაჟისტულაციის მიღება-ჩაბარების აქტის (ხელმოწერილია დამკვეთისა და შემსრულებლის მიერ) თანახმად, 21.07.2012წ, №1/3203 ხელშეკრულების შესაბამისად, დამკვეთის ობიექტზე მდებარე ქ.ქუთაისი, ჯ-ის ქუჩა №5 დამონტაჟდა 7251.59 ლარის ღირებულების მასალები. სისტემის მონტაჟი-ინსტალაცია შესრულებულია ჯეროვნად, რაზეც მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩინიათ.

5. მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ქ.ქუთაისში, ჯ-ის ქ. №5-ში მდებარე ობიექტზე დამონტაჟდა: 1) 4 წვერიანი კაბელი – 650 მეტრი; 2) 8 წვერიანი კაბელი -600 მეტრი; 3) 12 წვერიანი კაბელი – 100 მეტრი; 4) საგანგაშო ღილაკი – 2 ცალი; 5) აუტულატორი 60 ამპ/სთ – 4 ცალი; 6) სამუხტი 2 ამპ/სთ – 4 ცალი; 7) მოძრაობის დეტექტორი – 84 ცალი; 8) მსხვრევის დეტექტორი – 27 ცალი; 9) ტრანსფორმატორი – 4 ცალი; 10) კაბელ-არხი 16X10 – 500 მეტრი; 11) საკონტროლო პანელი – 4 ცალი; 12) სირენა – 4 ცალი; 13) კლავიატურა – 4 ცალი;

6. საქმეში წარმოდგენილი ცნობით სსიპ შემოსავლების სამსახურს, 21.06.2012 წლის №1/3203 ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ ერიცხება დეპიტორული დავალიანება 7 251.59 ლარი. ხელშეკრულების 7.5 მუხლის გათვალისწინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების თანახმად უნდა დარიცხულიყო პირგასამტებლო საერთო თანხის 0.07%, რამაც 06.05.2015 წლის მდგომარეობით შეადგინა 17 804.77 ლარი;

7. 2014 წლის 20 ოქტომბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა წერილი გაუგზავნა სსიპ შემოსავლების სამსახურს და აცნობა, რომ 21.06.2012 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ქ.ქუთაისში, ჯ-ის ქუჩის №5-ში მდებარე ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება 7 251.59 ლარი არ იყო ანაზღაურებული, ამასთან ხელშეკრულების 7.5 პუნქტის საფუძველზე მას ეკისრებოდა პირგასამტებლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.07%-ის ოდენობით. 2014 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით პირგასამტებლო შეადგნდა 14 033. 77 ლარს;

8. წერილის პასუხად სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაცვის პოლიციას უარი განუცხადა თანხმების ანაზღაურებაზე იმის გამო, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა 2012 წლის 15 ივნისის №1/3203-№1/538 ხელშეკრულებებსა და 2012 წლის 23 აგვისტოს შეთანხმების ოქმებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელთა მიხედვითაც სამუშაოთა ღირებულება შეადგენდა 6 991.60 ლარს. შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ეცნობა, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია იყო ხარვეზინი, რაც მათ არ გაითვალისწინება. შესაბამისად, ხარვეზის აღმოუფხვრელობის გამო, შემოსავლების სამსახური უარს აცხადებდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე

9. 25.12.2015 წლის წერილით დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სსიპ შემოსავლების სამსახურს განუმარტა, რომ 21.06.2012 წ (15.06.2012) №1/3203 ხელშეკრულებით ქუთაისში, ჯ-ის ქ. №5-ში მდებარე ობიექტზე დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 7 327,10 ლარით, რაც 2012 წლის 15 ივნისის შეთანხმების ოქმის 1.1.3 პუნქტით შეიცვალა და განისაზღვრა 7 251.59 ლარით. აღნიშნული შეთანხმების ოქმი შედგა სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლის მონაცილებით და დანართში მიეთითა ობიექტზე გამოყენებული მასალები. ჩამონათვალში დაშვებული იქნა შეცდომა. მასალების ჩამონათვალში 12 სახეობის მასალაა მითითებული, ხოლო 26.06.2012 წ №1506 ინვოისში და 31.07.2012 წლის მიღება-ჩაბარების აქტში – 13 სახეობის. შეთანხმების ოქმის დანართის ჩამონათვალში 4-წვერიანი კაბელი – 650 მეტრი გამოტოვებულია და 8-წვერიანი კაბელის – 600 მეტრის ნაცვლად მითითებულია 4-წვერიანი კაბელი – 600 მეტრი, რაც იძლევა 260 ლარის სხვაობას, შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შეცდომით იქნა აღიარებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ დავალიანება 6 991.60 ლარი;

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე ობიექტზე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 7 251,59 ლარს, რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრება სსიპ შემოსავლების სამსახურს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლის საფუძველზეც, სსიპ

შემოსავლების სამსახურმა მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ლირებულება ხელმოწერით დაადასტურა (იხ. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, პუნქტი 4-5).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება განმარტებულია, ორგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. იმავე კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი ნინადადებით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვის მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. იმავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ 2012 წლის 15 ივნისის შეთანხმების ოქმის 1.1.3 პუნქტით შეიცვალა ხელშეკრულების ფასი და განისაზღვრა 7 251.59 ლარით, რასაც მოპასუხის წარმომადგენელი ანერს ხელს, გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურმა, მიიღო რა შესრულება და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დააფიქსირა პრეტენზიის არარსებობა, იგი დაეთანხმა ფასს და მისი გადახდის ვალდებულება წარმოეშვა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 21.06.2012წ, №1/3203 ხელშეკრულების 7.5 პუნქტით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტებლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცალებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ლირებულების 0,07%-ის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით, პირგასამტებლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალეობის უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. 419-ე მუხლის პირველი ნაწილით კრედიტორს არ შეუძლია ერთდორულად მოითხოვოს პირგასამტებლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტებლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა დასაკისრებელი პირგასამტებლო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტებლო უნდა გამოთვლილიყო შეუსრულებელი ვალდებულებიდან – ქ. ქუთაისში, ჯ-ის ქუჩა №5-ში მდებარე იბიექტზე შესრულებული სამუშაოების ლირებულებიდან და არა მთლიანად ხელშეკრულების საერთო ლირებულებიდან. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ არ გასაჩივრებულა. სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა, რომ პირგასამტებლოს გადახდის პერიოდი უნდა განისაზღვროს 31.07.2012 წლიდან (სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ვალდებულების შესრულებიდან) – 06.05.2015-მდე (სარჩელის შეტანის თარიღი), ამასთან, არასწორად მიიჩნია, რომ აღნიშნული პერიოდი 1050 დღეს შეადგენს. კასატორი სწორად შიუთითებს, რომ 31.07.2012 წლიდან 06.05.2015 წლამდე პერიოდი არის 1009 დღე და პირგასამტებლოც მოპასუხეს სწორედ გადაცილებული 1009 დღისათვის უნდა დაეკისროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სსიპ შე-

მოსავლების სამსახურს უნდა დაეკისროს პირგასამტებლო შესრულებული ვალდებულების ლირებულების, 7 251,59 ლარის, 0,07% ყოველდღიურად 31.07.2012 წლიდან 06.05.2015 წლის ჩათვლით (1009 დღე).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხემ მოსარჩელეს აღნიშნულ მოთხოვნაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა აუნაზღაუროს დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად. პირველი ინსტანციის სასამართლოში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა გადაიხდა სახელმწიფო ბაჟი – 752 ლარი, საიდანაც 534,14 ლარი წარმოადგენდა პირგასამტებლოს დაკისრების შესახებ მოთხოვნაზე გადახდილ ბაჟს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე-მე-40 მუხლების შესაბამისად). სსიპ შემოსავლების სამსახურმა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს უნდა აუნაზღაუროს გადახდილი ბაჟის 29% (დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად) – 154,9 ლარი, ამასთან, ვინაიდან გადაწყვეტილება 7251,59 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში უცვლელად რჩება, მოსარჩელეს ასევე უნდა აუნაზღაურდეს ამ მოთხოვნაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 217,5 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

## **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეიცვალა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ პირგასამტებლოს სახით 17 804.77 ლარის დაკისრების თაობაზე და ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის განაწილების შესახებ;
3. ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ პირგასამტებლოს – ყოველდღიურად შესრულებული ვალდებულების ღირებულების, 7 251,59 ლარის, 0,07%-ის გადახდა 31.07.2012 წლიდან 06.05.2015 წლის ჩათვლით (1009 დღე);
6. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
7. სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 372,4 ლარის ანაზღაურება.
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საპანეო გარაფიტის სახელმიწოდებელის ინტერესებთან  
შესაბამისობა;**

**გარაფიტის თანხის ანაზღაურების ვადა**

**გადაცევაფილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-505-500(კ-16)

20 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

**აღნერილობითი ნაწილი:**

შპს „....“ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღ-  
რია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრას-  
ტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესე-  
ბულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენ-  
ტის წინააღმდეგ და მოითხოვა საქართველოს რეგიონული გან-  
ვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწი-  
ფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომო-  
ბილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2014 წლის  
10 იანვრის №6 სხდომით მიღებული გადაწყვეტილების 1-ლი  
პუნქტის ბათილად ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 10 იანვარს საქარ-  
თველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სატენდერო კომისიის სხდომის №6 ოქმით დაადგინა, რომ „გამარტივებული შეს-  
ყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექ-  
ტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის მე-6 პუნ-  
ქტის თანახმად, შპს „....“ მიერ გაცემული საბანკო გარანტია მიჩ-  
ნეული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ინტერესების შეუსაბა-  
მოდ. აღნიშნული დადგენილება უკანონობა და სადაზღვევო კომ-  
პანიას საშუალებას ართმევს, საავტომობილო გზების დეპარ-  
ტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილე სუბი-

ექტების მოთხოვნის საფუძველზე საბანკო გარანტიები წარადგინოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „...“ სააპელაციო წესით გაასაჩინოა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 06 მარტის გადაწყვეტილება; შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2014 წლის 10 იანვრის №6 სხდომით მიღებული გადაწყვეტილების 1-ლი პუნქტი.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 13.03.2014 წლის №2-07/1440 ნერილით შპს „...“ და შპს „...“ ეცნობა, რომ შპს „...“ მიერ 11.03.2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები არ შესრულდა, რის გამოც ორგანიზაციის დაეკისრა პირგასამტებლო 1000,50 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა შპს-ს უნდა გადაეხადა 14 საბანკო დღის ვადაში. ვინაიდან ეს უკანასკნელი ვალდებულება არ შესრულდა შპს „...“ 16.01.2014 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა 5 სამუშაო დღის ვადაში. შპს „...“, თავის მხრივ, შეტყობინება გაუგზავნა შპს „...“. შეტყობინება ამ უკანასკნელს ფოსტის მეშვეობით 19.03.2013 წელს ჩაბარდა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 21.03.2014 წელს გადაიხადა.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 06.02.2014 წლის №2-07/653 ნერილით შპს „...“ და შპს „...“ ეცნობა, რომ შპს „...“ მიერ 11.03.2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები არ შესრულდა, რის გამოც ორგანიზაციას დაეკისრა პირგასამტებლო, სულ 4474,21 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა შპს-ს უნდა გადაეხადა 14 საბან-

კო დღის ვადაში. ვინაიდან ეს ვალდებულება არ შესრულდა, შპს „...“ 16.01.2014 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა 5 სამუშაო დღის ვადაში. შპს „...“, თავის მხრივ, შეტყობინებები გაუგზავნა შპს „შ...“. შეტყობინებები ამ უკანასკნელ შპს-ს ფოსტის მეშვეობით 11.02.2013 წელს ჩაბარდა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 04.03.2014 წელს გადაიხადა.

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 13.03.2014 წლის №2-07/1446 წერილით შპს „...“ და შპს „ტ...-ს“ ეცნობა, რომ შპს „ტ...-სთან“ 30.06.2010 წ. გაფორმებული ხელშეკრულების პირობები არ შესრულდა, რის გამოც ორგანიზაციას დაეკისრა პირგასამტებლო 1845,29 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა შპს-ს უნდა გადაეხადა 14 საბანკო დღის ვადაში. ვინაიდან ეს უკანასკნელი ვალდებულება არ შესრულდა შპს „...“ 30.12.2013 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა 5 სამუშაო დღის ვადაში. შპს „...“ თავის მხრივ შეტყობინებები გაუგზავნა შპს „ტ...-ს“. შეტყობინებები ამ უკანასკნელ შპს-ს ფოსტის მეშვეობით 20.03.2013 წელს ჩაბარდა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 21.03.2014 წელს გადაიხადა.

4. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 13.03.2014 წლის №2-07/1447 წერილით შპს „...“ და შპს „M...“ ეცნობა, რომ შპს „M...“ 07.06.2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები არ შესრულდა, რის გამოც ორგანიზაციას დაეკისრა 15.01.2014 წლის წერილით პირგასამტებლო 1646,21 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა შპს-ს უნდა გადაეხადა 14 საბანკო დღის ვადაში. ვინაიდან ეს უკანასკნელი ვალდებულება არ შესრულდა შპს „...“ 31.12.2013 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა 5 სამუშაო დღის ვადაში. შპს „...“, თავის მხრივ, შეტყობინება გაუგზავნა შპს „...“. შეტყობინება ამ უკანასკნელ შპს-ს 19.03.2013 წელს ჩაბარდა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 21.03.2014 წელს გადაიხადა.

5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 04.02.2014 წლის №2-07/581 წერილით შპს „...“ და შპს „ზ...“ ეცნობა, რომ 27.02.2013 წ. გაფორმებული ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების გამო შპს „ზ...“ დაეკისრა პირგასამტებლო 6862,99 ლარის ოდენობით. აღნიშნული

თანხა შპს-ს უნდა გადაეხადა 14 საბანკო დღის ვადაში. ვინაიდან ეს უკანასკნელი ვალდებულება არ შესრულდა შპს „....“ 30.01.2014 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა 5 სამუშაო დღის ვადაში. შპს „....“, თავის მხრივ, შეტყობინება შპს „ზ...“ გაუგზავნა. შეტყობინება ამ უკანასკნელ შპს-ს 10.02.2013 წელს ჩაბარდა. შპს „....“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 05.03.2014 წელს გადაიხადა.

6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 24.01.2014 წლის №2-07/349 წერილით შპს „....“ და შპს „M...“ ეცნობა, რომ შპს „M...“ 07.06.2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების გამო ორგანიზაციას დაეკისრა პირგადამტებლო, სულ 29689,93 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა შპს-ს უნდა გადაეხადა 14 საბანკო დღის ვადაში. ვინაიდან ეს ვალდებულება არ შესრულდა შპს „....“ 31.12.2013 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა 5 სამუშაო დღის ვადაში. შპს „....“ თავის მხრივ შეტყობინება შპს „....“ გაუგზავნა. შეტყობინება ამ უკანასკნელ შპს-ს 24.01.2014 წელს ჩაბარდა. შპს „....“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 04.03.2014 წელს გადაიხადა.

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 18.03.2013 წლის №07-01-03/1127 წერილით შპს „....“ და შპს „ტ...-ს“ ეცნობა, რომ შპს „ტ...-სთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ორგანიზაციას ეთხოვა პირგადამტებლოს – 13642,20 ლარის დაუყოვნებლივ გადახდა. აღნიშნული თანხა შპს-ს უნდა გადაეხადა 14 საბანკო დღის ვადაში. ვინაიდან ეს უკანასკნელი ვალდებულება არ შესრულდა შპს „....“ 28.12.2012 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა. შპს „....“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 27.03.2013 წელს გადაიხადა.

8. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 24.01.2014 წლის №2-07/355 წერილით შპს „....“ და შპს „ტ და ...“ ეცნობა, რომ შპს „ტ და ...“ 26.04.2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დეპარტამენტის 27.11.2013 წლის წერილით შპს „ტ და ...“ დაეკისრა პირგადამტებლო 5105,30 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა შპს-ს 14 საბანკო დღის ვადაში უნდა გადაეხადა. ვინაიდან უკანასკნელი ვალდებულე-

ბა არ შესრულდა, შპს „...“ 30.12.2013 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა 5 სამუშაო დღის ვადაში. შპს „...“, თავის მხრივ, შეტყობინება შპს „ტ და ...“ გაუგზავნა. შეტყობინება ამ უკანასკნელ შპს-ს 24.01.2014 წელს ჩაბარდა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 04.03.2014 წელს გადაიხადა.

9. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 28.06.2013 წლის №07-01-03/3417 წერილით შპს „...“ და შპს „ს...“ ეცნობა, რომ შპს „ს...“ 24.02.2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. შპს „...“ 30.04.2013 წლის საბანკო გარანტიის თანახმად ეთხოვა საგარანტიო თანხის 7450 ლარის 14 საბანკო დღის ვადაში გადახდა. აღნიშნულის თაობაზე შპს „...“ შპს „ს...“ 30.04.2013 წელს აცნობა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 26.07.2013 წელს გადაიხადა.

10. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 27.12.2012 წლის №07-01-03/5295 წერილით შპს „...“ და შპს „ს...“ ეცნობა, რომ შპს „ს...“ 24.02.2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების არაკეროვნად შესრულების გამო 2011-2012 წლებში ჯამში შპს-ს პირგასამტებლოდ დაერიცხა 7799,07 ლარი, რაც არ გადაუხდია. 21.08.2012 წლის საბანკო გარანტიის თანახმად, შპს „...“ ეთხოვა 14 დღის განმავლობაში აღნიშნული თანხის გადახდა. აღნიშნულის თაობაზე შპს „...“ შპს „ს...“ 06.02.2013 წელს აცნობა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 01.04.2013 წელს გადაიხადა.

11. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 18.03.2013 წლის №07-01-03/1129 წერილით შპს „...“ და შპს „ა....ს“ ეცნობა, რომ შპს „ა....ს“ 16.03.2011 წ. გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის 12.11.2012 წ. წერილით მოეთხოვა 14 საბანკო დღის ვადაში პირგასამტებლოს – 11615,28 ლარი, რაც არ გადაუხდია. 20.12.2012 წლის საბანკო გარანტიის თანახმად, შპს „...“ ეთხოვა აღნიშნული თანხის გადახდა. შპს „...“ საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხა 27.03.2013 წელს გადაიხადა.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 07.06.2013 წლის №07-01-03/2972 წერილით შპს „...“ და

შპს „ა-ს“ ეცნობა, რომ შპს „ა...- სთან“ 20.12.2012 წლის გაფორმებულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა. შპს „...“ 20.12.2012 წლის საბანკო გარანტიის თანახმად, ეთხოვა საგარანტიო თანხის 75000 ლარის 14 საბანკო დღის განმავლობაში სრულად გადახდა. შპს „...“ შეტყობინება შპს „ა...-ს“ აცნობა, რაც 13.06.2013 წ. ჩაბარდა. აღნიშნული შეტყობინების პასუხად შპს „ა...-მა“ გარანტიოს მოთხოვა თანხის გადახდის შეჩერება. საბანკო გარანტიის თანხა 63384,72 ლარი 06.02.2014 წელს გადაიხადა.

13. საავტომობილო გზების დეპარტამენტის 07.06.2013 წლის №07-01-03/2973 წერილით შპს „...“ და შპს „ა...-ს“ ეცნობა, რომ შპს „ა...- სთან“ 16.03.2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის 01.12.2013 წლის საბანკო გარანტიის თანახმად, შპს „...“ ეთხოვა საგარანტიო თანხის 245000 ლარის 14 საბანკო დღის განმავლობაში სრულად გადახდა. შპს „...“ შეტყობინება შპს „ა...-ს“ აცნობა, რაც 13.06.2013 წ. ჩაბარდა. აღნიშნული შეტყობინების პასუხად შპს „ა...-მა“ გარანტიოს მოთხოვა თანხის გადახდის შეჩერება. საბანკო გარანტიის თანხა 242038,06 ლარი 12.12.2013 წელს გადაიხადა. აღნიშნული თანხის გადახდის მოთხოვნაზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელზე აღძრული საქმის წარმოება შეწყდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.12.2013 წლის №2/16624-13 განჩინებით.

14. საავტომობილო გზების დეპარტამენტის 01.11.2013 წლის №2-07/6354, 31.12.2013 წლის №2-07/7764, 08.11.2013 წლის №2-07/6562, 30.07.2013 წლის №07-01-03/4166 და 22.01.2013 წლის №07-01-03/138 წერილებით შპს „...“ ეთხოვა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებების არაჯეროვნად შესრულების გამო საბანკო გარანტიებით გათვალისწინებული თანხების გადახდა. აღნიშნული საბანკო გარანტიების მოთხოვნა შემდგომში გაუქმდა თავად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილებით (შესაბამისად: 05.02.2014 წ.; 13.11.2013 წ.; 13.11.2013 წ. 15.08.2013 წ. და 07.02.2013 წ. წერილებით), ვინაიდან აღარ არსებობდა საბანკო გარანტიების ამოქმედების სამართლებრივი საფუძველი ავანსის გაქვითვის გამო.

15. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტა-

მენტის 24.01.2014 წლის №2-07/346 წერილით შპს „...“ და შპს „F...-ს“ ეცნობა, რომ შპს-ს მიერ 27.03.2013 წლის ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო შპს „F...-ს“ დაეკისრა პირგასამტებლო 111000 ლარი, რაც 14 საბანკო დღის ვადაში უნდა გადაეხადა. აღნიშნული თანხის გადაუხდელობის გამო, შპს „...“ ეთხოვა 20.03.2013 წლის საბანკო გარანტის საფუძველზე აღნიშნული თანხა 5 სამუშაო დღის განმავლობაში გადაეხადა. აღნიშნული ჯარიმის თანხა შპს „...-მა“ 20.03.2014 წელს გადაიხადა.

16. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 10.01.2014 წლის №6 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების პირველი პუნქტით, შიდასახელმწიფო ბრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბალდათის საავტომობილო გზის კმ. 11-18,8 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ერთეულისაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით გამარჯვებულ პრეტენდენტს სს „ე...-ს“ ფილიალს საქართველოში „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ნარმოდგენილი საბანკო გარანტია, გაცემული „...“ მიერ, ჩაითვალა სახელმწიფოს ინტერესებისადმი შეუსაბამოდ.

17. შპს „...“ 16.01.2014 წელს შპს „შ-ს“, 14.05.2014 წელს შპს „გ...-ს“, 30.01.2014 წელს შპს „ზ...“ და 25.02.2014 წელს შპს „ტდ...-ს სახელზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების სასარგებლოდ გასცა უპირობო საბანკო გარანტიები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან იმ ფაქტზე მითითება, რომ შპს „...“ წინარე პერიოდში სისტემატურად არ ასრულებდა/არღვევდა სახელმწიფოს წინაშე უპირობო საბანკო გარანტიით ნაკისრ ვალდებულებებს, არ ასაბუთებს იმ დასკვნას, რომ შპს „...“ მიერ სს „ე...-ს ფილიალის საქართველოში შემთხვევაში გაცემული უპირობო საბანკო გარანტია არ შეესაბამება სახელმწიფო ინტერესებს; ამ მოსაზრების საფუძვლიანობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ სადაც ინდ. აქტის გამოცემის შემდეგ არსებითად შეიცვალა ბრძანების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსი; კერძოდ, დადგენილია, რომ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9

ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე»სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №16 ბრძანების თანახმად, შეიცვალა რა 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსი, ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დასაბუთებული გადაწყვეტილებით არ მოიღოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი გარანტია, რომელიც ენინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო სადავო გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებული იყო, დაესაბუთებინა მასთან ნარდგენილი უპირობო საბანკო გარანტიის სახელმწიფოს ინტერესებთან შეუსაბამობა უშუალოდ ამ გარანტიის პირობების მოქმედი კანონმდებლობის ჭრილში გაანალიზების გზით; სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესები გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობით და თუკი რაიმე ხელშეკრულება ლახავს სახელმწიფოს ინტერესებს, ასეთი ხელყოფა (ხელყოფის შესაძლებლობა) პირდაპირ უნდა მიუთითებდეს სახელმწიფოს კანონით დაცული, კონკრეტული შინაარსის მქონე ამა თუ იმ უფლების, ინტერესის, სიკეთის ხელყოფის/შელახვის მოსალოდნელობაზე, რასაც სადავო შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია – უდავოა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არც ადმინისტრაციული ნარმოების და არც ადმინისტრაციული სამართალნარმოების პირობებში არ ნამოუყენებია რაიმე სახის, კონკრეტული შინაარსის პრეტენზია უშუალოდ სს „ე...“-ს ფილიალის საქართველში შემთხვევაში გაცემული უპირობო საბანკო გარანტიის, როგორც კანონშეუსაბამო ხელშეკრულების, ნინააღმდეგ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივრი უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სადავოა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფა-

სება. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არ არის წარმოდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით გათვალისწინებული შედავება.

განსახილველ საქმეზე შესაფასებელია, კანონიერია თუ არა სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მიჩნევა სახელმწიფო ინტერესების შეუსაბამოდ იმ საფუძვლით, რომ კომპანია მანამდე გაცემული გარანტიის თანხის ანაზღაურებას აგვიანდებდა და სისტემატურად არღვევდა ნაკისრ ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ დავის გადაწყვეტილათვის გამოყენებულ უნდა იქნეს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების ნების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის ნორმატიული შინაარსი იმის გადასაწყვეტად, 2014 წლის 10 იანვრის დადგენილება იყო თუ არა კანონიერი და რა შემთხვევაში დაიშვებოდა „სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ“ საბანკო გარანტიის აღიარება.

2015 წლის 29 ოქტომბრის ცვლილებებამდე „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ნების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 21-ე მუხლი ადგენდა, რომ თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა ან აღემატებოდა 200 000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იყო, მოეთხოვა ხელშეკრულების შესრულების გარნტია ან დაზღვევა. ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენდა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება ჰქონდა, უარი განეცხადებინა ხელშეკრულების შესრულების ისეთ გარანტიაზე ან დაზღვევაზე, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ცვლილებების შემდგომ, აღნიშნული პუნქტის მოქმედი რედაქცია ადგენს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დასაბუთებული გადაწყვეტილებით არ მიიღოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი გარანტია, რომელიც ენინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2014 წლის 10 იანვრის დადგენილების მიღებისას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ევალებოდა იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა, შესაბა-

მისად, სადავო აქტის მართლზომიერების შეფასებისას უნდა განიმარტოს, 2014 წლის 10 იანვრის რედაქციით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტით რა წინაპირობების არსებობისას დაიშვებოდა საბანკო გარანტის სახელმწიფო ინტერესების შეუსაბამოდ აღიარება და, ამ კონტექსტში, რას გულისხმობდა „სახელმწიფო ინტერესების“.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა არის ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა სხვადასხვა სახის სახელმწიფო სახსრებით.

ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე კი, სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფისა, ასევე, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განვითარებისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარების პრინციპით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარკვეული ტიპის სახელმწიფო შესყიდვებზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ან დაზღვევის სავალდებულოდ მოთხოვნის მიზანია სახელმწიფოს დაცვა არასაიმედო კონტრაპენტოან ხელშეკრულების დადებისაგან და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგებისაგან. სწორედ ამ მიზანზების გათვალისწინებით, საბანკო გარანტია, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო იღებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის სახით, უნდა იყოს სამედიატო და შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს მისი ანაზღაურება. სწორედ ამგვარი ტიპის გარანტიის მიღებაა ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის 2014 წლის

10 იანვრისათვის მოქმედი რედაქცია და არასწორად გამოიყენა ამავე პუნქტის 2015 წლის 29 ოქტომბრის ცვლილებების შემდგომი რედაქცია.

საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ წარსულში გარანტორის მიერ თანხის ანაზღაურების ვალდებულების სისტემატურად დარღვევა შესაძლებელია, ყოფილიყო მზღვეველის მიერ გაცემული საბანკო გარანტის სახელმწიფო ინტერესების სანინააღმდეგოდ მიჩნევის საფუძველი, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვლისწინა, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, მოცემულ საქმეზე არსებობდა თუ არა ამგვარი დარღვევები.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „...“ გასცემდა ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის საბანკო გარანტის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდერის მონაბილეთა სასარგებლოდ. გაცემული გარანტიების თანახმად, გარანტორი დებულობდა ვალდებულებას რიგ შემთხვევებში უპირობოდ, პირველი მოთხოვნისთანავე გადაეხადა მოთხოვნილი თანხა; ხოლო რიგ შემთხვევაში მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში შეესრულებინა ხატისრი ვალდებულება. შპს „...“ საბანკო გარანტის თანხებს ანაზღაურებდა ვადის მნიშვნელოვანი გადაცილებით, ხოლო შპს „...-ის“ ვალდებულების უზრუნველსაყოფად 01.12.2013 წელს გაცემული საბანკო გარანტის თანხა მოსარჩევემ აანაზღაურა მხოლოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სასამართლოში სარჩევის აღძვრის შემდეგ (იხ. აღნერილობითი ნაწილი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები 1-16).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. ამდენად, აღნიშნულ ურთიერთობაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო შესყიდვების წესით განსახორციელებელი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. სადაც ურთიერთობა ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის საბანკო გარანტის შესახებ სამართლებრივ ნორმებს.

სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის)

თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკის-რი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრე-დიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბე-ნეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამავე კო-დექსის 882-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტია-ში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხოლო 886-ე მუხლის მიხედვით კი, ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გა-რანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინცი-პალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვა-დაში და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა იმის დასად-გენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დო-კუმენტები გარანტიის პირობებს.

ამ უკანასკნელი ნორმის საფუძველზე, როდესაც გაცემუ-ლია ჩევეულებრივი საბანკო გარანტია, ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის მიღება არ გულისხმობს მის დაუყოვნებლივ დაკმა-ყოფილების ვალდებულებას. მიღებს რა ამგვარ მოთხოვნას, გარანტმა ვალდებულების დადგენისათვის უნდა განახორციე-ლოს რიგი მოქმედებები: ყველა დოკუმენტი გადასცეს პრინცი-პალს, რომელმაც უნდა დაადასტუროს ან უარყოს თავისი ვალ-დებულების შესრულება; თავის მხრივ გარანტმა უნდა შეაფა-სოს წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისობა გაცემული გა-რანტიის პირობებთან, წარმოდგენილია თუ არა გარანტიის მოქ-მედების ვადაში, ერთვის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტა-ცია და სხვა, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნის გა-რანტიის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების პროცედურა უნდა დასრულდეს გონივრულ ვადაში. მოცემულ საქმეზე კი დადგენილია, რომ შპს „...“ გარანტიით გათვალისწინებულ თან-ხას ანაზღაურებდა ვადის მნიშვნელოვანი გადაცილებით, ზოგ შემთხვევაში, რამდენიმე თვის გასვლის შემდეგაც კი.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ, როგორც სა-აპელაციო სასამართლომ დაადგინა, შპს „...“ 16.01.2014 წელს შპს „შ...“, 14.05.2014 წელს შპს „გ....-ს“, 30.01.2014 წელს შპს „ზ...“ და 25.02.2014 წელს შპს „ტ დ ...“-ს სახელზე საქართველოს რე-გიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების სასარგებლოდ გასცა უპირობო საბან-კო გარანტიები.

სამოქალაქო კოდექსი ამომზურავად არ განსაზღვრავს სა-ბანკო გარანტიის სახეებს. სამოქალაქო კოდექსის დებულებე-

ბის შესავსებად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია №758). აღნიშნული პუბლიკაციის საფუძველზე, უპირობო საპანკო გარანტიის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის დებულებები იზღუდება, ამასთან, მოთხოვნის მიღებიდან მისი შემოწმების და დაკმაყოფილების ვადა არ უნდა აღმატებოდეს 5 დღეს, თუ თავად გადახდის მოთხოვნაში სხვა ვადა არ არის მითითებული (URDG ICC Publication №758, Art. 20). მოცემულ შემთხვევაში, გარანტიის თანხის ანაზღაურება ამ ვადაში არ ხდებოდა, ხოლო შპს „გ...-ის“ შემთხვევაში, გარანტიით გათვალისწინებული თანხა ანაზღაურებულ იქნა მხოლოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სარჩელის აღმდეგ (იხ. საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, პუნქტი 13).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სამართლებრივი დაუსაბუთებლობა საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი ვერ გახდება, ხოლო 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 10 იანვრის დადგენილება კანონიერია, ამდენად, შპს „...“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრას-

ტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაწმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...“ სარჩელი არ დაწმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების სამართლებრივი პუნქტი

### განჩინება

№ბს-959-950(კ-16)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
3. როინიშვილი

**დავის საგანი:** ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდებულება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 11 მარტს შპს „დ...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხების – ქ. ბათუმის მერიისა და შპს „...-ის“ მიმართ.

მოსარჩელემ ქ. ბათუმის მერიისთვის მინის ნაკვეთის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გამოყენების გამო შპს „...-ისთვის“ 2010 წლის 10 ივნისის მინის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის საჯარო სამართლის ოურიდიულმა პირმა – „ზღვისპირა პარკმა“ გამოაცხადა კონკურსი ბათუმის ზღვისპირა პარკში მოწოდებული და დადგენილი წესით დამტკიცებული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენ-

ტაციის საფუძველზე ორი იდენტური ახალი კაფე-ბარის მშენებლობისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სრული განახლების მოთხოვნით. გამოცხადებული კონკურსის პირობების დაკმაყოფილებისა და საუკეთესო შეთავაზების გამო კონკურსში გაიმარჯვა შპს „დ...“. მშენებლობის დასრულებისა და ინფრასტრუქტურის სრული განახლების შემდგომ ბათუმში ... №2 და №3-ში გაიხსნა და ფუნქციონირება დაინტენსობად გასართობმა ცენტრმა „...“. კომერციული საქმიანობა სრულად აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას და იყო მომგებიანი, შესაბამისადაც, საქართველოს ბიუჯეტში შეიტანებოდა მნიშვნელოვანი გადასახადები. 2010 წელს გასართობ ცენტრ „...“ მეზობლად, პირდაპირ პლაზზე შპს „...-მა“ უნებართვოდ ააშენა კონსტრუქციები და დაინტენსიური ფუნქციონირება იდენტური პროფილის მრავალფუნქციურმა გასართობმა ცენტრმა „...-მა“. უნებართვო მრავალფუნქციური გასართობი ცენტრი განთავსდა 7392 კვ.მ მიზის ნაკვეთზე, რომელმაც დაუკარგა შპს „დ...“ გასართობ ობიექტს ფუნქციონალური დატვირთვა: ჩაიკეტა პლაზზე თავისუფალი გასასვლელი, დაისურა ზღვის ხედი, სანებართვო მოთხოვნების შეუსრულებლობის გზით მომხმარებელს მიაწოდა მომსახურება ნაკლებ ფასად და უკეთეს ადგილზე. ამიტომ, შპს „დ...“ გასართობმა ცენტრმა დაკარგა ფუნქციონალური დატვირთვა, ვეღარ მიიზიდა მომხმარებელი, რადგანაც კონსტრუქციულ ნაგებობებს შორის დაიბადა არაჯანსალი კონკურენცია, მიზიდველი აღმოჩნდა დიდი გასართობი ცენტრი, ხოლო ყველა სხვა ობიექტებმა ითამაშა მეორე ხარისხოვანი როლი. „...-ის“ უნებართვო შენობა-ნაგებობებმა ნაართვა მომხმარებელი მეზობლად განთავსებულ ობიექტებს და ეს საზიანოდ აისახა პლაზზე, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლებზეც.

მოსარჩელის მითითებით, ქ.ბათუმის მერიის მიერ საქართველოს რეზიდენტი პირებისათვის გაცხადებული შეთავაზება ითვალისწინებდა და მოითხოვდა აშტერიტორიაზე ე.წ. პირსის მშენებლობას უკვე დამტკიცებული პროექტით, რომლის მიხედვითაც შპს ბათუმი შემავალი სასეირნო ბილიკები ნავმისადგომით (პირსი), რომელზედაც განთავსდებოდა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, მათ შორის კაფე-ბარები. გამოცხადებული პროექტი მოითხოვდა მნიშვნელოვან დანახარჯებს, რადგანაც კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი უნდა განთავსებულიყო უშუალოდ ზღვაში და არა პლაზზე. საამისო სახსრების უქონლობის გამო ქართველი მენარმეები (რეზიდენტები) ვერ დათანხმდნენ

წინადადებაზე, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ასეთი მოთხოვნები უცხო ქვეყნის პირებს (არარეზიდენტებს) არ წარედგინებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ვინაიდან შპს „...-ის“ მიერ აგებული ობიექტი უკანონოა, შესაბამისად, მისი შემოსავალიც უკანონოა, ქ.ბათუმის მერიას კი გააჩნია აღნიშნული უკანონობის აღკვეთის უნარი და სამართლებრივი შესაძლებლობა, თუმცა იგი არ იყენებს მას, რის გამოც მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ქ.ბათუმის მერია უნდა დავალდებულდეს შეუწყვიტოს მოპასუხე შპს „...-ს“ მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და აღკვეთოს უკანონო ფართით სარგებლობა, რომლის უკანონო სარგებლობით მას ადგება ზიანი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „დ...“ სასამარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ქ. ბათუმის მერიას დაევალა შეეწყვიტა შპს „...-ისთვის“ 2010 წლის 10 ივნისის ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წელს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „ზღვისპირა პარკი“ გამოაცხადა კონკურსი ბათუმის ზღვისპირა პარკში მოწონებული და დადგენილი წესით დამტკიცებული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ორი იდენტური ახალი კაფე-ბარის მშენებლობისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სრული განახლების მოთხოვნით. გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა შპს „დ...“. 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვისპირა პარკსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებული იქნა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „დ...“ იჯარით გადაეცა ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე, ... ქუჩის გაგრძელებაზე მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებული კაფე-ბარები, თითოეული ფაქტიურ სასარგებლო ფართით 400 კვ.მეტრი. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 49 წლით, საივარო ქირის ოდენობა კი პირველი 5 წლის განმავლობაში შეადგენდა 20 000 ლარს, მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 30 000 ლარს, ხოლო შემდგომ წლებში – 40 000 ლარს. მშენებლობის დასრულებისა და ინფრასტრუქტურის სრული განახლების შემდგომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაიხსნა და ფუნქციონირება დაინტენი საზოგადოებრივი კვების, დასვენებისა და გასართობმა ცენტრმა „...“. 2009 წლის 6 აპრილს ქ. ბათუმის მერიას და შპს „დ...“ შორის გაფორმებული იქნა შეთანხმება, რომლის თა-

ნახმადაც ცვლილება შევიდა 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვისპირა“ პარკსა “და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებას ეწოდა „აღნაგობის ხელშეკრულება“, ხელშეკრულების ტექსტში მხარედ (მინის ნაკვეთის მესაკუთრედ) სსიპ „ზღვისპირა პარკის“ ნაცვლად მიეთითა ქ. ბათუმის მერია. აღნიშნული ხელშეკრულებით მინის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გადაცემის ვადად განისაზღვრა 49 წელი და ხელშეკრულება ძალაშია 2055 წლის 9 ივნისამდე. აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის სარგებლობის საზღვაური განისაზღვრა პირველი ხუთი წლის განმავლობაში 20000 ლარით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 30000 ლარით, ხოლო შემდეგ წლებში – 40 000 ლარით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-სა“ და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მინის ნაკვეთის გადაცემის ხელშეკრულება. აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...-ს“ სარგებლობაში გადაეცა ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე სექტემბერი №...-ში მდებარე მინის ნაკვეთი, ფართობით 7391 კვ.მ (საკადასტრო კოდი: ...). აღნაგობის საზღვაურის მთლიანი ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს ყოველწლიურად 15 000 ლარს. ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმებული იქნა 29 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების 4.3.3. პუნქტის თანახმად, აღნაგობის უფლების მქონე პირს უფლება ჰქონდა არსებული ნორმების დაცვით დაემონტაჟებინა აღნაგობის უფლებით გადაცემულ მინის ნაკვეთზე ყველა აუცილებელი ტექნიკური და სხვა მოწყობილობა, რაც აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის მიზნობრივად გამოყენების მიზნით მის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ამავე ხელშეკრულების 4.4.2. პუნქტით აღნაგობის უფლების მქონე პირმა იყისრა ვალდებულება არ განეხორციელებინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება აღნაგობის უფლებით აღებული ქონების მიმართ; ასევე აენაზღაურებინა მესაკუთრისათვის აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის ან სხვა ქონების მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ზიანი. ხელშეკრულების 4.4.8.9. პუნქტში მითითებულია, რომ „აღნაგობის უფლების მქონეს უფლება აქვს აღნაგობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე განათავსოს (ააშენოს) თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკით ან საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგუ-

ლირების ძირითადი დებულებისა“ და თვითმმართველი ქალაქი – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის (ქალაქმშენებლობითი) სხვა დოკუმენტაციის წესის“ შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დასაშვებ სახეობას მიკუთვნებული ობიექტები იმდაგვარად, რომ აღნიშნულით არ შემცირდეს 4.4.8.2. პუნქტით გათვალისწინებული ტერიტორიის ფუნქციური დანიშნულება“. ამავე ხელშეკრულების 4.4.9.2. პუნქტის თანახმად კი აღნაგობის უფლების მქონის ვალდებულებას წარმოადგენდა საკუთარი ხარჯებითა და საშუალებებით უზრუნველყო სააუქციონო პირობების შესრულების მიზნით განხორციელებული ქქედებისათვის დაწესებული ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება. აღნაგობის ხელშეკრულების მე-9 პუნქტით დადგენილ იქნა ხელშეკრულების ვადამდე გაუქმების პირობები. აღნიშნული ნორმის თანახმად, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის გარემოება, თუკი აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის გამოყენებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა.

ამასთან, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალების, მხარეთა განმარტებების და შპს „და...“ 2015 წლის 20 აპრილის დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ შპს „....-ზე“ 2010 წლის 10 ივნისის აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 7391 კვ.მეტრი ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი ფაქტობრივად მდებარეობს შპს „დ...“ აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემული და ამჟამად მის მფლობელობაში არსებული ობიექტების (კაფე-ბარი „...“) წინ ზღვაზე გასასვლელზე, პირდაპირ ზღვის პირას, სადაც შპს „....-ის“ მიერ მოწყობილი იქნა პირსი, ორ მხარეს კაფე-ბარი და სავაჭრო ობიექტები. აღნიშნული ობიექტების მოწყობამ კი შეზღუდა შპს „დ...“ ობიექტებიდან ზღვის სანაპიროზე დამსვენებელთა პირდაპირი მოხვედრის შესაძლებლობა, გააუარესა შპს „დ...“ კაფე-ბარი „...“ ზღვის ხედი, ნაცვლად ზღვისა აღნიშნული კაფე-ბარებიდან დამსვენებელი ხედავს მხოლოდ შპს „....-ის“ მიერ აგებული ობიექტების სახურავს.

შპს „და...“ დასკვნის თანახმად, შპს „....-ის“ მიერ განხორციელებულმა განაშენიანებებმა პირდაპირ იმოქმედა შპს „დ...“ მიერ აღნაგობის უფლებით აღებულ მინის ნაკვეთზე განთავსებული ქ. ბათუმის ცენტრალურ ბულვარში მდებარე №2 და №3 კაფე-ბარების (ე.წ....) საბაზრო ღირებულებაზე, რადგან აღნიშ-

ნული ობიექტების ირგვლივ შეიქმნა არაკონკურენტუნარიანი გარემო, რამაც გააუარესა მათი საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა. ზღვაზე გასასვლელზე აგებულმა კაფე-ბარებმა და სხვა ობიექტებმა შეზღუდეს ზღვის პირდაპირი ხედვის საშუალება, რაც დასკვნის თანახმად ერთ-ერთ შემზღვდავ გარემოებად ითვლება. ამასთან, სასამართლომ ამავე აუდიტის დასკვნის საფუძველზე გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზეც, რომ ქ. ბათუმის მერიასთან გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებებით შპს „...“ ჩაყენებულია უპირატეს მდგომარეობაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ შპს „დ...“ 1 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთში სასყიდლის სახით იხდის წელიწადში 37,40 ლარს, 2016 წლიდან კი ეს გადასახადი გაიზრდება 49,90 ლარამდე, ხოლო შპს „...“ აღნაგობის მთელი პერიოდის განმავლობაში წელიწადში იხდის 1 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთში მხოლოდ 2,03 ლარს. შესაბამისად, აღნაგობის უფლებით აღებული მიწის ნაკვეთის დიდი სიდიდე და დაბალი გადასახადი უკეთეს უპირატეს პირობებში აყენებს შპს „...-ს“ და მას შეუძლია კონკურენტის მიმართ გამოიყენოს დემპინგური ფასები. შესაბამისად, სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მტკიცება, რომ სწორედ აღნიშნულის გამო მკვეთრად მცირდება „...“ ფუნქციონირების შედეგად მისაღები წმინდა საოპერაციო შემოსავალი, რაც შესაბამისად ამცირებს მის საბაზო ღირებულებას, რითაც აშკარა ზიანს განიცდის მოსარჩელე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...-მა“ 2009 წლის 10 ივნისს აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, ზღვისპირა ბულვარში უნებართვოდ განახორციელა ზ/აღნიშნული სადავო ობიექტების მშენებლობა, რომლის ფუნქციონირებითაც აშკარა ზიანი ადგება მოსარჩელეს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მის მიერ კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა მოპოვებული სათანადო ნებართვები. აღნიშნული დასტურდება ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2013 წლის 16 ოქტომბერს მიღებული №227 დადგენილებით, რომლის თანახმადაც შპს „...“ ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში უნებართვოდ მშენებლობის ნარმოების გამო დაჯარიმებული იქნა 3000 ლარით. ამავე დადგენილებით გადაწყდა შპს „...-ის“ მიერ ზღვისპირა ბულვარში განხორციელებული საზოგადოებრივი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და უნებართვოდ აშენებული ობიექტის დემონტაჟი. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული დადგენილება ამჟამად აღსრულებული არ არის და შპს „...-ის“ მიერ დღემდე გრძელდება სადავო უნებართვოდ აშენებული ობიექტების

ფუნქციონირება.

ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ და-ჯარიმების და სათანადო ნებართვის გარეშე აგებული ნაგებო-ბის დემონტაჟის შესახებ გამოტანილი დადგენილების მიღების შემდეგ შპს „...-მა“ დაიწყო ზ/აღნიშნული საზოგადოებრივი ობი-ექტის მშენებლობის ნებართვის მოპოვების სამუშაოები, რის-თვისაც მან 2014 წლის 10 თებერვალს მიმართა ქ. ბათუმის მე-რიას და მოითხოვა ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი ობიექ-ტის მშენებლობის მიზნით შესაბამისი არქიტექტურული პრო-ექტის შეთანხმება, რაზედაც ქ. ბათუმის საკრებულოს თავ-მჯდომარის 2014 წლის 25 თებერვლის №3/330 ბრძანებით უა-რი ეთქვა. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებებით, სწორედ აღნიშნული ნე-ბართვის მიღებაზე უარის თქმის დადგენილების კანონიერება-ზე მიმდინარეობს ამჟამად ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...-ს“ შორის სასამართლო დავა, რომელიც ამ ეტაპისათვის დასრუ-ლებული არ არის. თუმცა მხარეებს შორის სადაც არ არის ის გარემოება, რომ შპს „...-ს“ ობიექტი სათანადო ნებართვის გა-რეშე აქვს აშენებული და იგი ამჟამად ისე ფუნქციონირებს.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაო-ბაზე, რომ მოპასუხე შპს „...-ის“ მიერ სათანადო ნებართვის გა-რეშე აშებული საზოგადოებრივი ობიექტის ფუნქციონირებით მას ადგება მნიშვნელოვანი ზიანი, ამასთან, შპს „...-ის“ მიერ დარ-ღვეული იქნა აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებუ-ლი პირობები და მის მიერ აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის გამოყენებით ირღვევა საქართველოს კანო-მდებლობა, რაც ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...-ს“ შორის 2010 წლის 10 ივნისს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების 9.1.3.2. პუნქტის თანახმად წარმოადგენს აღნაგობის ხელშეკ-რულების ვადამდე მოშლის საფუძველს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ქ. ბათუმის მერიის მიერ დღემდე არ მომხდარა შპს „...-თან“ ხელშეკრულების შეწყვეტა.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუცი-ის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმარ-თოს სასამართლოს“. უფლების სასამართლო წესით დაცვის შე-საძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რაც გათვალის-წინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით. ამ ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. კანონის დასახელებული

დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას. უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცავს მოდავე მხარეების კანონიერ ინტერესებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საჯახაო და პირად ურთიერთობებს. აღნიშნული კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მონესრიგდეს საჯარო სამართლით. ამავე ნორმის მესამე ნაწილი კი ადგენს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტომდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასეს მხარეთა მოთხოვნების მართებულობას.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, დადგენილია, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობის და კონკურენციის განვითარებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1 მუხლის თანახმად კი მხოლოდ ვალდებულების ძალით არის კრედიტორი უფლებამოსილი მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცი-

ლებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ეფუძნება დასპოზიციურობის პრინციპს, რაც გულისხმობს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. აღნიშნული პრინციპის გამოხატულებაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით, ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით აღიარებულია შეჯიბრებითობის პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდება სარჩელში და შესაგებელში მითითებული გარემოებების უტყუარად არსებობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობის მხარეების ვალდებულებას წარმოადგინონ სარჩელში ან შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უფრო მყარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რითაც სასამართლოს შეუქმნიან თავიანთი პოზიციის დამაჯერებელ შინაგან რწმენას. შესაბამისად, გადაწყვეტილება იქნება იმ შინაარსის, რა შინაარსის გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას შექმნის მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, იმპერატიულად არის დადგენილი, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოების

ბანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სასამართლო განმარტავს, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგ მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მტკიცებულების სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევა ენინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობისა ან არ არსებობის შესახებ. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სასამართლომ შეაფასა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ბათუმის მერიამ და შპს „...-მა“, რომლებმაც გასააჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოიხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის და შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივრები, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში შეფასების ობიექტს წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით აღნა-

გობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების კანონიერება. სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართალუროთი-ერთობა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობაა, რის გამოც წარმოდგენილი სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილებია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „....-ის“ და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები და კმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება; შპს „დ...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგან, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავით გათვალისწინებული სპეციალური ნორმები, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები გათვალისწინებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ დამატებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც, რომლის მიხედვითაც ხელშემკვრელი მხარეების გარდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერებასთან დაკავშირებით დავის უფლება გააჩნია ასევე ისეთ პირს, რომელსაც ადმინისტრაციული ხელშეკრულება უზღუდავს უფლებებს ან აკისრებს რაიმე ვალდებულებას, ანუ ცალსახაა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მესამე პირის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა სახეზე უნდა იყოს მისი, როგორც დაინტერესებული მხარის კა-

ნონიერი უფლების შეზღუდვის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაინტერესებული მხარის ცნება უკავშირდება პირის უფლებას – წარმოდგენილ იქნეს მხარედ სასამართლოში. დაინტერესებულ მხარედ ითვლება ის პირი, რომლის კანონიერ ინტერესზეც უშუალო (ინდივიდუალურ) გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, შესაბამისად, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს დაამტკიცოს მისი უფლების დარღვევის ფაქტი, დავაში მისი უფლებადამცავი ინტერესი და ამასთან, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესების სფერო სწორედ მიღებული ზომების შედეგად დაირღვა. გარდა ამისა, მოსარჩელის უფლება და ინტერესი კანონით უნდა იყოს დაცული ანუ სახეზე უნდა იყოს ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესზე. ამასთან, ინტერესის არსებობა გულისხმობს მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს თეორიული ინტერესის დამკვების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ კვლავ მიუთითა, რომ სარჩელის აღმოჩენის საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იურიდიული, კანონიერი დაინტერესება. კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სარჩელის აღმოჩენის საბაბის ფაქტები (უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება). კანონმდებლობა სავალდებულოდ მიიჩნევს მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დადასტურებას. პალატამ დამატებით განმარტა, რომ ინტერესის არსებობის საკითხს წყვეტს სასამართლო. ინტერესის არსებობისათვის არ კმარა მის შესახებ მხოლოდ მოსარჩელის განცხადება. მისი არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს უფლების დარღვევა ან დარღვევის საშიშროება, რომლებზედაც მოსარჩელემ უნდა მიუთითოს. ამდენად, სარჩელი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს მხოლოდ იმ პირმა, რომელსაც ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა გასაჩივრებული ხელშეკრულებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მისი კანონიერი უფლებების შეზღუდვის მოტივად უთითებს იმ გარემოებას, რომ 2010 წელს გასართობ ცენტრ „...“ მეზობლად, პირდაპირ პლაზე „... - მა“ უნდართვოდ ააშენა კონსტრუქციები და დაიწყო ფუნქციონირება იდენტური პროფილის მრავალფუნქციურმა გასართობმა ცენ-

ტრმა „...-მა“. უნებართვო მრავალფუნქციური გასართობი ცენტრი განთავსდა 7392 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელმაც დაუკარგა შპს „დ...“ გასართობ ობიექტს ფუნქციონალური დატვირთვა: ჩაიკეტა პლაზზე თავისუფალი გასასვლელი, დაიხურა ზღვის ხედი, სანებართვო მოთხოვნების შეუსრულებლობის გზით მომსმარებელს მიაწოდა მომსახურება ნაკლებ ფასად და უკეთეს ადგილზე. ამიტომ, შპს „დ...“ გასართობმა ცენტრმა დაკარგა ფუნქციონალური დატვირთვა, ველარ მიზიდა მომხმარებელი, რაც საზიანოდ აისახა ბრუნვაზე. ამასთან, უთითებდა, რომ ქალაქ ბათუმის მერიის მხრიდან შპს „დ...“ მიქერავებული მიწის ნაკვეთის საიჯარო ლირებულება საკმაოდ აღემატებოდა შპს „...-ის“ მხრიდან ასანაზღაურებელ საიჯარო ვალდებულებას, რითაც მოსარჩელის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული გარიგების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს და ენინაალმდევება საჯარო წესრიგს. სადავო ხელშეკრულების დროს მოქმედი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა შპს „...-ის“ მიერ იმავე პროფილის საქმიანობის წარმოების შედეგად შპს „დ...“ საქმიანობაზე ფინანსური ზიანის მიყენების მოტივით სადაცვო ხელშეკრულების შეეყვეტის თაობაზე და აღნიშნა, რომ ამგვარი საბაზრო ეკონომიკის პირობებში სანარმოებს შორის კონკურენციის შედეგად ზიანის არსებობა და ამ მიმართებით საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა არ ქმნის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, რაც იმთავითვე შპს „...-ის“ საქმიანობის აკრძალვის ტოლფასია. პირიქით, თუკი მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ „ზღვისპირა პარკთან“ (უფლებამონაცვლე ქბათუმის მუნიციპალიტეტი) 2006 წელს დადებულ ხელშეკრულებასთან

შედარებით აპელანტთან 2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულება უფრო შედავათიან პირობებს ითვალისწინებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაცება შეცვლილი გარემოებებისადმი და არა სხვა პირთან დადგებული იგივე პროფილის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი ასევე ვერ გახდება შპს „...ის“ მიერ აღნავობის უფლებით გადაცემულ მინის ნაკვეთზე არსებულ ნაგებობაზე მშენებლობის წებართვის არარსებობა, რადგანაც როგორც საქმის მასალებით უტყუარადა დადგენილი, მითითებული ნაგებობის კანონიერ ჩარჩოში მოქცეუვის თვალსაზრისით მხარეთა შორის სასამართლოში მიმდინარეობს დავა და ამ ეტაპისთვის იგი დასრულებული არ არის. ამ დავის ქალაქ ბათუმის მერიის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისედაც მიღებულია გადაწყვეტილება უნებართვო ნაგებობის დემონტაჟის შესახებ, რაც დაექვემდებარება ალსრულებას. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც წარმოებული მშენებლობის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობს დავა, ამ მოტივით ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დაგენილება (მუხლი 63.1.) უნებართვო მშენებლობის წარმოების მიუხედავად ითვალისწინებს მშენებლობის წებართვის გაცემის შესაძლებლობას დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, რა მიმართებით დაკისრებული ჯარიმები შპს „...ს“ გადახდილი აქვს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „და...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საწინააღმდეგოდ სააპელაციო სასამართლო შეცვალა დავის საგანი და მსჯელობა იქონია იმაზე, რასაც მხარე არ მოითხოვდა. კერძოდ, მოსარჩევე მოითხოვდა ქ. ბათუმის მერიისთვის შპს „...-თან“ 2010 წლის 10 ივნისს დადებული მინის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების

შეწყვეტის დავალდებულებას; ხოლო სააპელაციო სასამართლომ დავის განხილვისას მიიჩნია, რომ დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

კასატორი მიუთითებს, რომ დავას პირველი ინსტანციის სასამართლოში განიხილავდა სამოქალაქო კოლეგია, რა დროსაც მოსარჩელე დასაბუთებაში შეზღუდული იყო სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. ამასთან, მოპასუხებებს არ განუცხადებიათ პრეტენზია დავის სამოქალაქო წესით განხილვაზე (განსჯადობაზე) პირველ ინსტანციაში და არ გამოუტქვამთ ასეთი პრეტენზია არც სააპელაციო ინსტანციაში საჩივრის განხილვის სტადიაზე. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა ასეთზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილი ამბობს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამონებებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით, რაც დასაშვებია თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული. სააპელაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით შეამონება განსჯადობა მაშინ, როდესაც მოპასუხე ამას არ მოითხოვდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებზე. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების შეცვლისას მსჯელობა იქნია ისეთ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ საბუთდებოდა და ამ ნორმათა არასწორ გამოყენებას არც აპელანტი მიანიშნებდა.

კასატორის განმარტებით, შპს „დ...“ თავდაპირველად სარჩელი აღძრა ადმინისტრაციული წესით, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ იგი გადაამისამართა სამოქალაქო კოლეგიაში. ადმინისტრაციული დარგიდან სამოქალაქო დარგში მოსარჩელეს შეეზღუდა სამართლებრივი უნარი დაესაბუთებინა თავისი მოთხოვნა ადმინისტრაციული ნორმებით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ თავისი ინიციატივით და 377-ე მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევით, საჩივრის განხილვის სტადიაზე, საქმე გადასცა ადმინისტრაცი-

ულ პალატას. კასატორის მოსაზრებით, ამგვარი დარღვევის სა-მართლებრივი შედეგი უნდა იყოს განსჯადობის დარღვევით განხილული დავის განსჯადობის წესით განხილვა, ე.ი. პირველ ინსტანციაში დაბრუნება. ნაცვლად ამისა, სააპელაციო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულმა პალატამ განიხილა სამოქალაქო საქმის სააპელაციო საჩივარი და გადაწყვიტა იგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარ-მოებაში იქნა მიღებული შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის განჩინებით შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი გან-ხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტი-ვების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ შპს „დ...“ საკა-საციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელა-ხალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წე-სების დარღვევით, ვინაიდან საქმე ექვემდებარებოდა სამოქა-ლაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდება-რეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებ-ლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანო-ნით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერ-ძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებ-რივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერ-

თობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებ-სა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დაგის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიწევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩევის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარებდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩევის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო. თუმცა, სადავო ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხარედ გამოსვლა თავისთვად არ ადასტურებს დავის საჯარო-სამართლებრივ ხსიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-

სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით. ამდენად, ხელშეკრულების მხარის საჯარო-სამართლებრივი სტატუსი არ არის საკმარისი ფაქტორი ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტილას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი წარმოადგენს, უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს-თან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში სახეზე იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო ურთიერთობა, ხოლო თუ ხელშეკრულების დადების საფუძველი კერძო-სამართლებრივია, სადავო სამართალურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზავ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოქმედებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და გამომდინარეობს თუ არა სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის უნდა დადგინდეს შპს „დ...“ მიერ სადავოდ ქცეული ხელშეკრულების

სამართლებრივი ბუნება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელ-შეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელ-შეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვა-ლეობების შინაარსს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2006 წელს სა-ჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „ზღვისპირა პარკმ“ გა-მოაცხადა კონკურსი ბათუმის ზღვისპირა პარკში მოწოდებუ-ლი და დადგენილი წესით დამტკიცებული სამშენებლო-საპრო-ექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ორი იდენტური ახალი კა-ფე-ბარის შენებლობისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სრული განახლების მოთხოვნით. გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა შპს „დ...“. 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვისპირა პარ-კსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ იქნა იჯარის ხელშეკრუ-ლება, რომლის თანახმადაც შპს „დ...“ იჯარით გადაეცა ბათუ-მის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე, ... ქუჩის გაგრძელებაზე მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებული კაფე-ბარები, თითოეუ-ლი ფაქტიური სასარგებლო ფართით 400 კვ.მეტრი. ხელშეკრუ-ლების თანახმად, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 49 წლით, საიჯარო ქირის ოდენობა კი პირველი 5 წლის განმავლობაში – 30 000 ლარს, ხოლო შემდგომ წლებში – 40 000 ლარს. მშენებლო-ბის დასრულებისა და ინფრასტრუქტურის სრული განახლების შემდგომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაიხსნა და ფუნქციონირე-ბა დაინყო საზოგადოებრივი კვების, დასვენებისა და გასარ-თობმა ცენტრმა „...“. 2009 წლის 6 აპრილს ქ. ბათუმის მერიას და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ იქნა შეთანხმება, რომლის თა-ნახმადაც ცვლილება შევიდა 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვის-პირა პარკსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულე-ბაში. ხელშეკრულებას ეწოდა „აღნაგობის ხელშეკრულება“, ხელშეკრულების ტექსტში მხარედ (მინის ნაკვეთის მესაკუთ-რედ) სსიპ „ზღვისპირა პარკის“ ნაცვლად მიეთითა ქ. ბათუმის მერია. აღნიშნული ხელშეკრულებით მინის ნაკვეთის აღნაგო-ბის უფლებით გადაცემის ვადად განისაზღვრა 49 წელი და ხელ-შეკრულება ძალაშია 2055 წლის 9 ივნისამდე. აღნაგობის უფ-ლებით გადაცემული მინის ნაკვეთის სარგებლობის საზღაური განისაზღვრა პირველი 5 წლის განმავლობაში 20000 ლარით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 30000 ლარით, ხოლო შემ-დეგ წლებში – 40 000 ლარით.

ასევე დადგენილია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექ-სის, „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართვე-ლი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფ-

ლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 28 სექტემბრის № 1-1/1476 ბრძანებისა და „ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში №... სექტომბერ არსებული 7391 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „....-ისთვის“ სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მერის 2010 წლის 18 მაისის № 220 ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 10 ივნისს შპს „....-სა“ და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება. აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „....-ს“ სარგებლობაში გადაეცა ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე სექტომბერ №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, ფართობით 7391 კვ.მ (საკადასტრო კოდი: ...). აღნაგობის საზღაურის მთლიანი ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს ყოველწლიურად 15 000 ლარს.

მოცემულ დავაში მხარეებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანო – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, შპს „დ...“ და შპს „....“, ხოლო დავის საგანია – ქ. ბათუმის მერიისთვის 2010 წლის 10 ივნისს შპს „....-თან“ გაფორმებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდებულება. მოსარჩევე – შპს „დ...“ დავის საგნისადმი კანონიერ ინტერესს ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ 2010 წელს გასართობ ცენტრ „....“ მეზობლად, პირდაპირ პლაზზე შპს „....-მა“ უნებართვოდ ააშენა კონსტრუქციები და დაიწყო ფუნქციონირება იდენტური პროფილის მრავალფუნქციურმა გასართობმა ცენტრმა „....-მა“. უნებართვო მრავალფუნქციური გასართობი ცენტრი განთავსდა 7392 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელმაც დაუკარგა შპს „დ...“ გასართობ ობიექტს ფუნქციონალური დატვირთვა: ჩაიკეთა პლაზზე თავისუფალი გასასვლელი, დაიხურა ზღვის ხედი, სანებართვო მოთხოვნების შეუსრულებლობის გზით მომხმარებელს მიაწოდა მომსახურება ნაკლებ ფასად და უკეთეს ადგილზე. ამიზომ, შპს „დ...“ გასართობმა ცენტრმა დაკარგა ფუნქციონალური დატვირთვა, ველარ მიიზიდა მომხმარებელი, რაც საზიანოდ აისახა ბრუნვაზე. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, ქ. ბათუმის მერიის მხრიდან შპს „დ...“ მიქირავებული მიწის ნაკვეთის საიჯარო ღირებულება საკმაოდ აღემატებოდა შპს „....-ის“ მხრიდან ასანაზღაურებელ საიჯარო ვალდებულე-

ბას, რითაც მოსარჩელის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, სადავო საკითხი ფორმალურად ადმინისტრაციულ დავას ემსგავსება, „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 28 სექტემბრის №1-1/1476 ბრძანებისა და „ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში №... სექტორზე არსებული 7391 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „...-ისთვის“ სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მერის 2010 წლის 18 მაისის №220 ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-სა“ და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მიზის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება, თუმცა მნიშვნელოვანია არა დავის ფორმალური მხარე, არამედ მისი შინაარსი და საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ქ. ბათუმის მერიისთვის 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-თან“ გაფორმებული მინის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდებულება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულ პირს -შპს „...-ს“ სათანადო საფასურის სანაცვლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცა უძრავი ქონება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, მან მოახდინა კერძო-სამართლებრივი უფლების რეალიზაცია და კერძო პირს სარგებლობაში გადასცა ქონება. თავის მხრივ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...-მა“ იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ. განსახილველ შემთხვევაში, ქ. ბათუმის მერიის მიერ შპს „...-თან“ 2010 წლის 10 ივნისს მინის ნაკვეთის სასყიდლი-

ანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება არ გულისხმობს მათ შორის ვერტიკალური, ქვემდებარეობითი ურთიერთობის არსებობას, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო არ გვევლინება როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიექტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

სადაც ხელშეკრულების კერძო-სამართლებრივ ბუნებას ასევე არ ცვლის ის გარემოება, რომ ქ. ბათუმის მერიასა და შპს „....“ შორის 2010 წლის 10 ივნისს გაფორმებული მინის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით აღნაგობის უფლების მქონე პირის – შპს „....-ის“ ვალდებულებად განისაზღვრა აღნაგობის უფლებით გადაცემულ მინის ნაკვეთზე, ზღვის შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებით, საკუთარი ხარჯითა და საშუალებებით, პირის აშენება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ხელშეკრულებით აღნიშნული პირობის განსაზღვრა თავად აღნაგობის უფლების შინაარსიდან გამომდინარეობს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233.1 მუხლის თანახმად, მინის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვაჭიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება) და არ ადასტურებს ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივ მიზნებს. აღნიშნული პირობის განსაზღვრა მხარეთა შეთანხმების საგანს წარმოადგენდა, სადაც ადმინისტრაციული ორგანო – ქ. ბათუმის მერია არ გვევლინება როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამოშხატველი სუბიექტი.

ამასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის

საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოგალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. სადაც ხელ-შეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ – ქ. ბათუმის მერიამ კერძო პირს, შესაბამისი საფასურის სანაც-ვლოდ, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახე-ზე არ გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი, მხარეთა შორის არსებული სადაც სა-მართალურო თერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომე-ლიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალა-ქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, შე-საბამისად, მასთან დაკავშირდებით წარმომბილი დაგა, სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე ზოგა-დი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2, 65<sup>1</sup> მუხლებისა და ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის საფუძველ-ზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ და-ვას წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი ეხება სახელმწიფო ქონების კერძო პი-რისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემას და არა სახელმწი-ფო ქონების განსახელმწიფო ბრიობას, საკუთრებაში კერძო პი-რისთვის გადაცემას, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმო-ების წესით განიხილება.

შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა კოლეგიაზ განსჯადობის წესების დაცვით განიხი-ლა მოცემული სამოქალაქო დავა. საქალაქო სასამართლო გა-დაწყვეტილებაში მსჯელობს მოსარჩელის მიერ სადაც კუ-ულ საკითხებზე, რომელიც სარჩელის ძირითად მოტივად მის მიმართ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთ-ხოვნების დარღვევას მიუთითებდა. ხოლო სააპელაციო სასა-მართლო, რომელმაც საქმე ადმინისტრაციული წესით განიხი-ლა, საერთოდ არ მსჯელობს სარჩელის აღნიშნულ მოტივებზე.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამარ-თლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. ამდე-ნად, სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის

იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს ან მხარის მოსაზრებები განსჯადობის შესახებ უსწოროა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეს არსებითი განხილვისათვის გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და დასაშვებია სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხზე დავა, განსჯადობის საკითხის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს მხარისგან დამოუკიდებლად დააყენოს განსჯადობის საკითხი სადაც სამართალურთიერთობის კვლევის შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის ზემდგომ ინსტანციებში განხილვის პროცესშიც. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის (ordre public) შემადგენელ ნაწილად. სასამართლოს განსჯადობაზე მხარეებს შორის შეთანხმება (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადობის იმპერატიული წესის დარღვევის აღმომფხვრელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის მოსაზრები, კერძო-სამართლებრივი უფლების დასაბუთება საჯარო კანონმდებლობის დებულებების საფუძველზე არ ცვლის დავის განსჯადობას და არ ინვევს თავისი არსით კერძო-სამართლებრივი დავის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე განხილვის საჭიროებას. განსჯადობის განმსაზღვრელი ფაქტორია მისი შინაგანი ბუნება და არა მოსაზრების მოსაზრება. მოსაზრებელ განსაზღვრავს სასამართლო მოთხოვნას და არა დავის სამართლებრივ ბუნებას. განსჯადობის შესახებ დავა დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეს შორის.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა ინვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე. ამასთანავე, საგნობრივი განსჯადობის წესის დარღვევით საქმის განხილვა თავისთვად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპ-

როცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალ-ნარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მმ-პერატიული დანაწესის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გა-დაუზავნის განსჯად სასამართლოს.

ამასთან, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13); 03.11.2016წ. განჩინება საქმეზე №ბს-853-845(გ-15); 29.06.2017წ. განჩინება საქმეზე №73-72(კ-17)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26.2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასკოლური აღნაგობის ხელშეკრულების სამართლებრივი პუნქტი

### განჩინება

№ბს-73-72(კ-17)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
3. როინიშვილი

**დავის საგანი:** პირვანდა ამტეხლოს დაკისრება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 31 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიამ სასარჩელო  
განცხადებით მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-  
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“ მი-  
მართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე  
11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილის – 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის  
დროებით სასყიდლინი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით  
გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“  
შემოთავაზებული აღნაგობის უფლების წლიური საფასურით  
31000 ლარი (დღგ-ს გარეშე); ხოლო 2009 წლის 16 ოქტომბერის  
შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმებულ იქნა აღნაგობის ხელ-  
შეკრულება, რომლითაც განისაზღვრა აღნაგობის ყოველწლი-  
ური საზღაური 36580 ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით). აღ-  
ნაგობის საფასური მხარეს უნდა გადაეხადა ყოველთვიურად,  
არაუგვიანეს 25 რიცხვისა, 3049 ლარის ოდენობით.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით, 2010 წლის 8 ოქტომბერს  
ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწ-  
ყვეტილება შპს „თ...“ კაპიტალიდან ქონების ამოღების თაობა-  
ზე, მათ შორის ზემოაღნიშნული ქონებისა. ამდენად, ქ. თბილი-  
სის მთავრობამ მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირისაგან  
მოახდინა ქონების დაბრუნება. შესაბამისად, ხელშეკრულების  
მხარედ შპს „თ...“ ნაცვლად განისაზღვრა ქ. თბილისის მერია.

ვინაიდან მხარის მიერ არ სრულდებოდა ზემოაღნიშნული  
ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის საფასურის გა-  
დაწდა დადგენილ ვადაში, მოსარჩელემ მოპასუხე შპს „...“ ქ.  
თბილისის მერიის სასარგებლოდ აღნაგობის საფასურის – 7 714

ლარის და პირგასამტებლოს – 38 358,58 ლარის გადახდის დაკისრება და 2013 წლის 25 ოქტომბრიდან (აღნაგობის ღირებულების გადახდის თარიღი) ყოველ გადაცილებულ დღეზე აღნაგობის საზღაურის – 36 580 ლარის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი საიჯარო ქირის (7 714 ლარი) სრულ გადახდამდე დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო შპს „...“ სახელზე რიცხულ ქონებას (მდებარე – ქ. თბილისი, ... №1, ... პარკი, შენობა №1, საარგებლო ფართი 310.72 კვ.მ).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე შპს „...“ ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა აღნაგობის საფასურის – 7 714 ლარის და პირგასამტებლოს თანხის – 20 000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილებით დადგინდა, რომ აუქციონის ფორმით, დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, უნდა გაცემულიყო შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ..., №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილი, ფართით 200 კვ.მ. შპს „თ...“ დაევალა აუქციონის ორგანიზების უზრუნველყოფა. ამავე დადგენილებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარებას საქალაქო სამსახურს დაევალა აუქციონის დასრულების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებულის (აღნაგობის უფლების მომპოვებლის) მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სამშენებლო-გეგმარებით პროექტის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული წესების დაცვით.

ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილების დანართით განისაზღვრა შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ..., №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილის, ფართით 200 კვ.მ-ის დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის აუქციონის პირობები.

შპს „თ...“ 11.02.2009წ. გამართული №2 აუქციონის №1 ოქმით ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“

შეთავაზებული აღნაგობის უფლების წლიური საზღაურით 31000 (დღგ-ს გარეშე) ლარით.

16.02.2009წ. შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომელის თანახმადაც, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილი, 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაეცა შპს „...“. აღნიშნული ხელშეკრულების 4.1 პუნქტით დადგინდა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის უფლების საზღაურის გადაუხდელობის შემთხვევაში „აღნაგობის უფლების შქონეს“ მიეცემოდა ნერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითებოდა დარღვევის გამოსწორების ერთოვანი ვადა და დაჯარიმდებოდა წლიური აღნაგობის უფლების საზღაურის 0.1%-ით დარღვევის დოიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.02.2009წ. მიღება-ჩაბარების აქტით შპს „თ...“ ჩაბარა შპს „...“ თავის საწესდებო კაპიტალში რიცხული ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილი, 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ამონანერი საჯარო რეესტრიდან №... – 15.08.2008 ზონა ..., სექტორი ... კვარტალი ..., ნაკვეთი 20/38) დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით 15 წლის ვადით.

ქ. თბილისის მთავრობის 08.10.2010წ. №27.51.1303 დადგენილებით შპს „თ...“ კაპიტალიდან ამოღებულ იქნა ქ. თბილისში, ... №1-ში, ... პარკის ტერიტორიაზე არსებული 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი ...) ლირებულებით – 23016000 ლარი და მასზე განთავსებული ქონება საერთო ლირებულებით – 248140 ლარი. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა შპს „თ...“ კაპიტალიდან ამოღებული ქონების ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ქ. თბილისის მთავრობის 17.12.2010წ. №34.17.1565 დადგენილებით დადგინდა, რომ უნდა განხორციელებულიყო მესაკუთრის ცვლილება ქ. თბილისის მთავრობის 08.10.2010წ. №27.51.1303 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში და შპს „თ...“ ნაცვლად, მესაკუთრედ განსაზღვრულიყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული.

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 15.03.2011წ. №ბ-12/15921-16 ბრძანებით გარგისანად იქნა აღიარებული (მიღებული იქნა ექსპლუატაციაში) ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ... №1-ში მდებარე მშენებ-

ლობადამთავრებული ობიექტი (სავაჭრო რიგები (პავილიონი)).

საჯარო რეესტრის 08.11.2010წ. №... ამონანერით ქალაქ თბილისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო მეაღნაგედ შპს „....“.

საჯარო რეესტრის 06.06.2013წ. №... ამონანერით ქალაქ თბილისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო შენობა №1 სასარგებლო ფართით 310.72 კვ.მ მითითებულია შპს „....“ აღნაგობის ვადის პერიოდით.

სასამართლოს მითითებით, შპს „....“ მიერ 2009 წლის 16 ოქტემბრალს გაფორმებული №556/1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის საზღაურის გადახდის პირობების დარღვევის შედეგად გადასახდელია დავალიანება 7714.00 ლარი, ძირითადი თანხა, ხოლო პირგასამტებლო – 38 358.58 ლარი.

საქმეზე 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით დაინიშნა მთავარი სხდომა. მთავარი სხდომის დანიშვნამდე, კერძოდ, 26.11.13წ. მოპასუხებ წარმოადგინა შესაგებელი, სადაც დაეთანხმა დავალიანებას 7714 ლარის ოდენობით, დაეთანხმა პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულებას, მაგრამ აღნიშნა, რომ პირგასამტებლო შეუსაბამოდ მაღლი იყო და მორიგების პირობებში მიუთითა, რომ სამართლიანობიდან გამომდინარე თანახმა იყო გადაესადა პირგასამტებლო 20 000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით. ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლოს მითითებით, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულება. კერძოდ, უდავოა,

რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო აღნაგობის ხელ-შეკრულება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულე-ბის არსებით პირობებზე, ასევე ვალდებულების შეუსრულებ-ლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შეთან-ხმდნენ პირგასამტებლოს გადახდის შესახებ.

განსახილება შემთხვევაში სასამართლომ საქმეზე დადგე-ნილად მიიჩნია, რომ მოპასუხება არ შეასრულა ხელშეკრულე-ბით ნაკისრი ვალდებულება. ხელშეკრულების ძალით კრედი-ტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ამდენად, ძირითადი თანხა 7714 ლარი მოპასუხეს უნდა გადაეხადა მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სარჩელის მოთხოვ-ნა პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილშიც, თუმცა აღნიშნა, რომ მოთხოვნილი პირგასამტებლოს თანხა შეუსაბამოდ მაღა-ლია. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენი-ლია, რომ მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზ-რუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატე-ბითი საშუალებებიც: პირგასამტებლო, ბე და მოვალის გარან-ტია. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტებ-ლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თან-ხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შე-უსრულებლობის ან არაჯეროვანად შესრულებისათვის.

სასამართლოს მითითებით, განსახილება შემთხვევაში მხა-რეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-ბულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტებლოს ოდენობა განისაზღვრებოდა გადაუხდელი თანხის 0.1% დარ-ღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამდენად, მხარეებმა არ განსაზღვრეს კონკრეტული თანხა. შეთანხმდნენ, რომ პირგასამტებლო იქნებოდა გადაუხდელი თანხის 0.1% დარ-ღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სასამართლომ მოპასუხე მხარის მითითება შეუსაბამოდ მა-ლალ პირგასამტებლოზე შეამოწმა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია, რომ სასა-მართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შე-ამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებების გათვალის-წინებით პირგასამტებლოს თანხა, რაც მხარეთა მიერ განსაზ-ღვრული იყო არა კონკრეტული თანხით, არამედ პროცენტუ-ლად – გადაუხდელი თანხის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – ყოველდღიური თანხის შეჯამე-ბის შედეგად მიღებული ჯამი – 38 358.58 (ოცდათვრამეტიათას

სამასორმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდათვრამეტი თეთრი) ლარი – შეუსაბამოდ მაღალია. პირგასამტეხლო ბევრად აღემატება ძირითად თანხას.

სასამართლომ გაითვალისწინა პირგასამტეხლოს დანიშნულება და მიზანი, რომ პირგასამტეხლოს თანხამ მოვალეს აგრძნობინოს ვალდებულების შეუსრულებლობის უარყოფითი შედეგი, თუმცა ეს თანხა გამანადგურებლად არ უნდა მოქმედებდეს ვალდებული პირის ფინანსურ მდგომარეობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლო უნდა შემცირდეს – 20 000 (ოციათასი) ლარამდე, რაც შეესაბამება პირგასამტეხლოს მიზანსაც და დარღვეული ვალდებულების პროპორციულიცაა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არსებითად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებები და დასკვნები და მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას და აღნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და მიუთითოს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქალაქო სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ იმგვარად მიიღო გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, რომ არ დაასაბუთა მოვალის მიერ

ვალდებულებების შესრულების ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რატომ ჩაითვალა 38 358.58 ლარი შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტებლოდ და რა დაედო საფუძვლად პირგასამტებლოს ამგვარ შემცირებას.

კასატორის განმარტებით, პირგასამტებლოს შემცირებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ძირითადი ვალდებულების მოცულობის და პირგასამტებლოს თანაფარდობა, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და მოვალის ქონებრივი მდგომარეობა, რაზეც სააპელაციო სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე პირგასამტებლოს შემცირების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიწჩეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესების დარღვევით, ვინაიდან საქმე ექვემდებარებოდა სამოქა-

ლაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზინანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი

უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარ-სით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორ-მების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორ-განო. თუმცა, სადაც ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორ-განოს მიერ მხარედ გამოსვლა თავისთავად არ ადასტურებს და-ვის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრა-ციული ორგანო უფლებამოსილია გამოყენოს საქმიანობის კერ-ძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დაღოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელშიც ადმინისტრაცი-ული ორგანო არ არის ადჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფ-ლებამოსილებით. ამდენად, ხელშეკრულების მხარის საჯარო-სამართლებრივი სტატუსი არ არის საკმარისი ფაქტორი ხელ-შეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის. განსჯადო-ბის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი წარმოადგენს, უპი-რატესობა ენიჭება სადაც სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელ-შეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იუ-რიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს-თან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში სახე-ზე იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-სის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინის-ტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაც ურთიერ-თობა, ხოლო თუ ხელშეკრულების დადების საფუძველი კერ-ძო-სამართლებრივია, სადაც სამართალურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა. საჯარო-სამართლებრივი და კერ-ძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვინისათვის არსები-თი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციუ-ლი ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვე-პუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების და-დება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამ-

დენად, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოქმედებდა თუ არა აღმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და გამომდინარეობს თუ არა სადავო სამართალურთიერთობა აღმინისტრაციული კანონმდებლობიდან. განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის უნდა დადგინდეს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილების მიხედვით, აუქციონის ფორმით, დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, უნდა გაცემულიყო შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ..... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მინის ნაკვეთის (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილი, ფართით 200 კვ.მ-ის „...“ დაევალა აუქციონის ორგანიზების უზრუნველყოფა. ამავე დადგენილებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა აუქციონის დასრულების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებულის (აღნაგობის უფლების მომზოვებლის) მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სამშენებლო-გეგმარებითი პროექტის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული წესების დაცვით. ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილების დანართით განისაზღვრა შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მინის ნაკვეთის (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილის, ფართით 200კვ.მ-ის დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის აუქციონის პირობები.

შპს „თ...“ 11.02.2009წ. გამართული №2 აუქციონის №1 ოქმით ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 200 კვ.მ მინის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“ შეთავაზებული აღნაგობის უფლების წლიური საზღაურით 31000 (დღგ-ს გარეშე) ლარით. 16.02.2009წ. შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მინის ნაკვეთის ნა-

წილი, 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაეცა შპს „....“. ქ. თბილისის მთავრობის 08.10.2010წ. №27.51.1303 დადგენილებით შპს „თ...“ კაპიტალიდან ამოღებულ იქნა ქ. თბილისში, ... №1-ში, ... პარკის ტერიტორიაზე არსებული 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი ...) ლირებულებით – 23016000 ლარი და მასზე განთავსებული ქონება საერთო ლირებულებით – 248140 ლარი. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა შპს „თ...“ კაპიტალიდან ამოღებული ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა. ქ. თბილისის მთავრობის 17.12.2010წ. №34.17.1565 დადგენილებით დადგინდა, რომ უნდა განხორციელებულიყო მესაკუთრის ცვლილება ქ. თბილისის მთავრობის 08.10.2010წ. №27.51.1303 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში და შპს „თ...“ ნაცვლად მესაკუთრედ განსაზღვრულიყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული.

საჯარო რეესტრის 08.11.2010წ. №... ამონაწერით ქალაქ თბილისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო მეაღნაგედ შპს „....“. საჯარო რეესტრის 06.06.2013წ. №... ამონაწერით ქალაქ თბილისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო შენობა №1 სასარგებლო ფართით 310.72 კვ.მ მითითებულია შპს „....“ აღნაგობის ვადის პერიოდით.

შპს „....“ მიერ 2009 წლის 16 თებერვალს გაფორმებული №556/1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის საზღაურის გადახდის პირობების დარღვევის შედეგად გადასახდელია დავალიანება 7714.00 ლარი (ძირითადი თანხა), ხოლო პირგასამტეხლო – 38 358.58 ლარი.

მოცემულ დავაში მხარეებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანიზაციის უზნიციპალიტეტის მერია და შპს „....“, ხოლო დავის საგანია – შპს „....“ ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ აღნაგობის საფასურის – 7 714 ლარის და პირგასამტეხლოს – 38 358.58 ლარის გადახდის დაკისრება და 2013 წლის 25 ოქტომბრიდან (აღნაგობის ლირებულების გადახდის თარიღი) ყოველ გადაცილებულ დღეზე აღნაგობის საზღაურის – 36 580 ლარის 0,1% ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი საიჯარო ქირის (7 714 ლარი) სრულ გადახდამდე დაკისრება.

მართალია, სადავო საკითხი ფორმალურად ადმინისტრაციულ დავას ემსგავსება, ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გაცემის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 06.09.07 წლის №10-54 გადაწყვეტილებისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგინდა აუქციონის ფორმით, დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული მიწის ნაკვეთის (ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნანილი, ფართით 200 კვ.მ) გაცემა და შპს „თ...“ 11.02.2009წ. გამართული №2 აუქციონის №1 ოქმით ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“, რის საფუძველზეც 16.02.2009წ. შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, თუმცა მნიშვნელოვანია არა დავის ფორმალური მხარე, არამედ მისი შინაარსი და საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო პირგასამტებლოს დაკისრება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულ პირს – შპს „...“ სათანადო საფასურის სანაცვლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება, რომელმაც იყისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, მან მოახდინა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი თავისი უფლებების რეალიზაცია და ითხოვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღნაგობის საფასურსა და პირგასამტებლოს. განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის მიერ შპს „...“ აღნაგობის საფასურისა და პირგასამტებლოს ანაზღაურების მოთხოვნა არ გულისხმობს მხარეებს შორის ვერტიკალური, ქვემ-

დებარეობითი ურთიერთობის არსებობას, ადმინისტრაციული ორგანო მოპასუხისგან მოითხოვს ვალდებულების შესრულებას როგორც აღნაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორი და არა, როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიქტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

ამასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ კერძო პირს, შესაბამისი საფასურის სანაცვლიდ, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. ამასთან, მოსარჩევე — ქ. ობილისის მუნიციპალიტეტის მერია მოთხოვნის საფუძვლად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 417-ე (პირგასამტებლოს ცნება), 418-ე (პირგასამტებლოს განსაზღვრის ფორმა), 317-ე (ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები) მუხლებს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკის 2.3 მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახე-ზე არ გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი, მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, შე-

საბამისად, მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2, 65<sup>1</sup> მუხლებისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილეველ დავას წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი ეხება სახელმწიფო ქონების კერძო პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემას და მისგან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობასა და პირგასამტებულოს დაკისრებას და არა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას, საკუთრებაში კერძო პირისთვის გადაცემას, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. ამდენად, სასამართლოს, რომელსაც არ გააჩინია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს ან მხარის მოსაზრებები განსჯადობის შესახებ უსწოროა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეს არსებითი განხილვისათვის გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და დასაშვებია სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხზე დავა, განსჯადობის საკითხის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს მხარისგან დამოუკიდებლად დააყენოს განსჯადობის საკითხი სადაც სამართალურთიერთობის კვლევის შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის ზემდგომ ინსტანციებში განხილვის პროცესშიც. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობაზე მხარეებს შორის შეთანხმება (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადობის იმპერატიული წესის დარღვევის აღმომფხვრელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის მოსაზრებები, კერძო-სამართლებრივი უფლების დასაბუთება საჯარო

კანონმდებლობის დებულებების საფუძველზე არ ცვლის დავის განსჯადობას და არ იწვევს თავისი არსით კერძო-სამართლებრივი დავის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე განხილვის საჭიროებას. განსჯადობის განმსაზღვრელი ფაქტორია მისი შინაგანი ბუნება და არა მოსარჩევის მოსაზრება. მოსარჩევე განსაზღვრავს სასამარჩელო მოთხოვნას და არა დავის სამართლებრივ ბუნებას. განსჯადობის შესახებ დავა დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეს შორის.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალნარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰქონებს მხარეთა უფლებებზე. ამასთანავე, საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა თავისთავად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალნარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანხმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

ამასთან, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13); 03.11.2016წ. განჩინება საქმეზე №ბს-853-845(გ-15)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნანილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26.2 მუხლებით, საქართველოს სამოქალა

ქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩი-ვარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამაურნალო დანესახულების მიერჩართარებული  
მაურნალობის ხარჯების ანაზღაულებაზე  
ვალდებული პირის დადგენა**

**განრიცხვა**

№ბს-97-96(ქ-17)

13 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღნერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 15 სექტემბერს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2013 წლის 12 ივლისს სამედიცინო დაწესებულებას გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის მიმართა გ. ო-ქა, რომელიც კლინიკიდან გაეწერა იმავე წლის 25 ივლისს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში პაციენტს გაენია სრულყოფილი სამედიცინო მომსახურე-

ბა. პაციენტის კლინიკაში მოთავსებისთანავე კლინიკის წარმომადგენელი დაუკავშირდა სადაზღვევო კომპანია „...“, რომლის წარმომადგენელმაც დაადასტურა და დაამოწმა, რომ პაციენტი – გ. ო-ი იყო მისი ბენეფიციარი და მზღვეველი მოახდენდა პაციენტზე გასაწვი ხარჯების ანაზღაურებას. მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს აცნობა მზღვეველმა კლინიკას, რომ პაციენტი დაზღვეული იყო 2013 წლის 4 ივლისიდან, რაც გულისხმობდა, რომ პაციენტისთვის განეული სამედიცინო მომსახურების საფასური, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, უნდა აენაზღაურებინა სოციალური მომსახურების სააგენტოს. ფაქტობრივად, პაციენტ გ. ო-ის მკურნალობის საფასურზე პასუხისმგებელი სუბიექტის ვინაობა გამოიკვა 2013 წლის 16 ივლისს და დადგინდა, რომ ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს. კლინიკამ იმავე დღესვე აცნობა სააგენტოს შექმნილ ვითარებაზე, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა პაციენტის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ კლინიკისგან პაციენტზე ინფორმაცია მიიღო 4 დღის დაგვიანებით.

მოსარჩეულებ თავდაპირველად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მის მიერ 2013 წლის 16 ივლისიდან 2013 წლის 25 ივლისის პერიოდში პაციენტ გ. ო-ისთვის განეული 3991,35 ლარის ოდენობით სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების დაკისრება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად, 2013 წლის 16 ივლისიდან 2013 წლის 25 ივლისის პერიოდში პაციენტ გ. ო-ისთვის განეული 10079,34 ლარის ოდენობით სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოსარჩელე შპს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის 12 ივლისიდან 2013 წლის 25 ივლისამდე პაციენტ გ. ო-ისათვის განეული

სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება 10079, 34 ლარის ოფენიბით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 12 ივნის, 21:50 საათზე, პაციენტი – გ. ო-ი „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის 112-ის“ მიერ მიყვანილ იქნა შპს „...“, დიაგნოზით – მწვავე მუცელი, პრიტონისტი, მარჯვენა საკერცხის კისტა. პაციენტს ჩაუტარდა დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები, რის შემდეგაც იგი მოთავსდა გინეკოლოგიურ განყოფილებაში და გაუკეთდა მთელი რიგი სამედიცინო გამოკვლევებით.

2013 წლის 12 ივნის, 23:40-01:50 საათზე გაუკეთდა ოპერაცია: მარჯვენამხრივი ტუბოვარექტომია (LASF00), მუცლის ღრუს სანქცია (JASK00), ილეოცეკალური კუთხის ტომპონირება, დრენირება (JASK03, JASH30), ლაპარასტომის ფორმირება. 2013 წლის 14 ივნის, გაუკეთდა გეგმიური სანაციური რელაპარატომია, მუცლის ღრუ დაიხურა ყრუდ, ტამპონის და დრენაჟების დატოვებით.

2013 წლის 13 ივნის, 02:15 საათზე ოპერაციული მკურნალობის შემდგომ (ზოგადი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოხატული იყო სეპტიური შოკის სურათი) პაციენტი მოთავსდა რეანიმაციულ განყოფილებაში, პაციენტის ზოგადი მდგომარეობა იყო მძიმე, იმყოფებოდა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე 13.07.2013-დან 16.07.13-მდე.

2013 წლის 16 ივნის, 13:00 საათზე მოიხსნა მართვითი სუნთქვის აპარატიდან, 14:00 საათამდე პაციენტი იმყოფებოდა სიპაპ რეჟიმზე (III-დონის ინტენსიური თერაპია). 2013 წლის 17 ივნის 14:00 საათიდან, 2013 წლის 21 ივნის 12:00 საათამდე მძიმე ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით პაციენტს კონსერვატიული მკურნალობა გაუგრძელდა რეანიმაციულ განყოფილებაში (II-დონის ინტ. თერაპია). 2013 წლის 21 ივნის 12:00 საათიდან 2013 წლის 22 ივნის 12:00 საათამდე (I-დონის ინტ. თერაპია), საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების შემდგომ, 2013 წლის 22 ივნის გადაყვანილ იქნა ზოგად ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც გაუგრძელდა კონსერვატიული მკურნალობა, შეხვევები.

2013 წლის 25 ივნის, პაციენტი სტაციონარიდან გაეწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

შპს „...“ თანამშრომელმა სადაზღვევო კომპანია „...“ ცხელ ხაზზე 2013 წლის 12 ივნის და 2013 წლის 14 ივნის განახორციელა სატელეფონო შეტყობინება პაციენტ გ. ო-ისათვის სამედიცინო მომსახურების შემდგომ ანაზღაურებასთან დაკავ-

შირებით. სადაზღვევო კომპანიის ოპერატორის მიერ დადასტურდა კლინიკის მხრიდან შეტყობინების მიღება და პაციენტების განცხლი სამედიცინო მომსახურებისათვის შესაბამისი ანაზღაურება.

2013 წლის 16 ივლისს, სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორთან საუბრისას, შპს „...“ ცნობილი გახდა, რომ გ. ო-ი ირიცხებოდა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ და სახელმწიფო იყო ვალდებული პაციენტის მკურნალობის ანაზღაურებაზე.

დადგენილია, რომ პაციენტი გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი არის 2013 წლის 4 ივლისიდან. ასევე, დადგენილია, რომ შპს „...“ 2013 წლის 16 ივლისს, 13:54 საათზე, ელექტრონული შეტყობინება გადაუგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს პაციენტ გ. ო-ისათვის განცხლი სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. შეტყობინებას თან ერთოდა 2013 წლის 16 ივლისის №172411 ნერილი, სადაც კლინიკამ განმარტა, რომ პაციენტი გ. ო-ი კლინიკაში შევიდა 2013 წლის 12 ივლისს, უძმიმეს მდგომარეობაში, გავრცელილი ჩირქოვანი პერიტონიტით, სუნთქვის უკმარისობისა და სეპტიური შეკვის მოვლენებით. მოხდა პაციენტის პიროვნების იდენტიფიკაცია, დაუყოვნებლივ ჩაუტარდა საჭირო სადიაგნოზო კვლევები და კონსულტაციები. შეფასდა სიტუაცია და შესვლიდან 1:50 საათის შემდეგ დაეწყო ოპერაციული მკურნალობა, პარალელურად მიმდინარეობდა პაციენტის მკურნალობის დაფინანსების წყაროს გარკვევა. დაფიქსირდა, რომ ის იყო სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი, თუმცა სადაზღვევო პოლისი ხელთ არ ჰქონდა, ამიტომ „...“ ცხელი ხაზით განხორციელდა დაზღვეულის უფლებამოსილების დადასტურება. მზღვეველის ცხელ ხაზზე პაციენტი გ. ო-ის, როგორც „...“ დაზღვეულის სტატუსის დადასტურების შემდეგ, ნარიმართა მზღვეველთან ურთიერთობა, როგორც ამას ფორმატი ითვალისწინებდა.

2013 წლის 16 ივლისს კლინიკაში „...“ ექსპერტის გამოცხადების შემდეგ გაირკვა, რომ პაციენტი მასთან დაზღვეული იყო 2013 წლის 4 ივლისიდან. ამ გარემოების დაგვიანებით გარკვევა გამოიწვია პაციენტის მიერ პოლისის არქონამ, რის გამოც მისი მდგომარეობის სიმძიმის გამო, პერსონალმა დაზღვეულის სტატუსი დაადგინა მზღვეველთან გადამოწმებით. აღნიშნულმა ხელი შეუშალა პაციენტის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარად კვალიფიცირებას, რის გამოც იგი პროგრამის ბენეფიციარად დაფიქსირდა 2013 წლის 16 ივლისს, 14:00 საათი-

დან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კლინიკამ მოითხოვა საყოველთაო ჯანდაცვის სააღრიცხვო სისტემაში პაციენტ გ. ო-თან მიმართებაში შემთხვევის დაწყების დროდ 2013 წლის 16 ივლის 14:00 საათის დაფიქსირება და სახელმწიფოსთან ანგარიშის წარდგენა ამ მომენტიდან განხეული ხარჯების მიხედვით.

შპს „...“ პაციენტ გ. ო-ისათვის განხეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება 2013 წლის 12 ივლისიდან 2013 წლის 25 ივლისამდე შეადგენს 10079, 34 ლარს.

შპს „...“ წერილის პასუხად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 25 ივლისის №04/68410 წერილით შპს „...“ ეცნობა, რომ პაციენტ გ. ო-ის შემთხვევაში კლინიკის მხრიდან შეტყობინება განხორციელდა დაგვიანებით (მიუხედავად წერილში აღნერილი ვითარებისა) და აღნიშნული შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ განიხილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 21 ნოემბრის №04/104308 წერილი და მასზე თანდართული პაციენტის – გ. ო-ის 2013 წლის 14 ნოემბრის №124879 გაცხადება, რომელიც ეხებოდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლების 2013.07.2013 – 2013.07.2013 წერილში შპს „...“ განხეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2013 წლის 12 ივლისის მდგომარეობით (პაციენტის მკურნალობის დაწყების დრო) გ. ო-ი ირიცხებოდა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლები, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი №1), პირველი, მე-2 პუნქტის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. დროულად არ იქნა დადგენილი სამკურნალო დაწესებულების შესაბამისი სამსახურის მიერ და პროგრამის განმახორციელებელთან არ გაკეთდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შეტყობინება, რითაც დაირღვა მითითებული დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნული დარღვევის გამო, დაწესებულებამ პროგ-

რამის განმახორციელებლისაგან გ. ო-ის მკურნალობის ხარჯების დაფინანსებაზე კანონით გათვალისწინებული უარი მიიღო (№04/68410; 25.07.2013).) და კანონმდებლობის დარღვევით, მკურნალობის საფასურის (1122,00 ლარი) გადახდა დააკისრა პაციენტს, რაც დადასტურდა შპს „...“ მიერ პაციენტ გ. ო-ის წინააღმდეგ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში მკურნალობის ღირებულების გადაუხდელობის გამო აღძრული სარჩელით.

სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „...“ მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დაგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია, მიმწოდებელმა პროგრამის/ვაუჩერის მოსარგებლეს მოსთხოვოს იმ მომსახურების ანაზღაურება, რომელიც პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან არ იქნა ანაზღაურებული საჯარიმო სანქციის დაკისრების გამო. ამრიგად, დანესებულებამ უარი განაცხადა (არ უზრუნველყო) პაციენტ გ. ო-ს მიეღო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება (ბიუჯეტური დაფინანსებით უზრუნველყოფილი და სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობა) და დანესებულების შეცდომით გამოწვეული ფინანსური ტვირთი პაციენტს დააკისრა. კანონმდებლობის აღნიშნული დარღვევა ინსპექტირების აქტში განხილულ იქნა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნების ფარგლებში – „იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს ან მომსახურება გაუნია დაგვიანებით (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გარდა), ან არასრულად, ან არაჯეროვნად, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასანევი/განეული მომსახურების ღირებულების სამმაგი რდენობის სახით, რაც შეადგენდა 33600,00 ლარს (11200,00 ლარი X3).

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 აგვისტოს №40/72915 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დადასტურებულ იქნა 2013 წლის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზებში ხარვეზების არსებობა, კონკრეტულად, იგი სრულად არ ასახავდა პროგრამით მოსარგებლებს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2013

წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაზე“, რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არქონებისა წელმისაწვდომობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა. მითითებული დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არქონები პირები.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „...“ ჩართული იყო „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“, შესაბამისად, მის მიერ აღებულ იქნა ვალდებულება ზემოხსენებული დადგენილებით განსაზღვრული წესით ამ პროგრამით გათვალისწინებული მოსარგებლეთათვის შესაბამისი მომსახურების განხორციელებაზე. სასამართლომ ასევე უდავოდ მიიჩნია, რომ კლინიკაში შესაბამისი სამედიცინო მომსახურება მიიღო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლები – გ. ო-მა. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა პაციენტი გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ შემთხვევის შეტყობინება დაგვიანებით განახორციელა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია შემთხვევის (განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული კოდირების შესაბამისად) შესახებ შეტყობინება გააკეთოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა, ან შემთხვევის დასრულებამდე (თუ პაციენტი ეწერება 24 საათზე ადრე, გარდა გარდაცვალებისა) განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით. გადაუდებელი ამბულატორიული შემთხვევის დროს, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინება გააკეთოს არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. სასამართლომ ხსენებული სამართლებრივი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნა, რომ პროგრამაში მონაწილე მიმწოდებელი ორგანიზაციის იმპერატიულ ვალდებულებას წარმოადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადაში პროგრამის

განმახორციელებელ დაწესებულებასთან შემთხვევის შესახებ შეტყუბინების განხორციელება.

საკითხის განხილვა-გადაწყვეტისათვის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე მასზედ, რომ პაციენტი გ. ო-ის (მისი ახლობლების) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „...“ პაციენტის მოთავსების დღესვე, კერძო სადაზღვევო კომპანია „...“ განხორციელა შეტყუბინება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანია „...“ მიერ დადასტურებულ იქნა შეტყუბინების მიღება და პაციენტი გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურებისათვის შემდგომში შესაბამისი ანაზღაურება. სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს, სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორთან საუბრისას შპს „...“ ცნობილი გახდა, რომ პაციენტი გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი იყო 2013 წლის 4 ივლისდან იგი ითვლებოდა არა კერძო სადაზღვევო კომპანიის ბენეფიციარად, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლედ, იგი ირკცხებოდა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ და სახელმწიფო იყო ვალდებული პაციენტის მკურნალობის ანაზღაურებაზე. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ შპს „...“ 2013 წლის 16 ივლისს 13:54 საათზე, ანუ მას შემდეგ, რაც მისათვის ცნობილი გახდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში პაციენტი გ. ო-ის მოსარგებლედ არსებობა, დაუყოვნებლივ სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან განახორციელა შემთხვევის შესახებ შესაბამისი შეტყუბინება, ხოლო მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ შპს „...“ ეცნობა, რომ პაციენტი გ. ო-ის შემთხვევაში კლინიკის მხრიდან შეტყუბინება განხორციელდა დაგვიანებით, რის გამოც აღნიშული შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემომითითებული ურთიერთობის განმარტება უნდა განხორციელებულიყო სამოქალაქო კოდექსით რეგულირებულ სამართლებრივ ინსტიტუტთან შესაბამისობაში, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვის მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილ-

სინდისიერად, დათქმულ დღროსა და ადგილას. სასამართლომ განმარტა, რომ არაჯეროვანი შესრულება თავისი არსით გულისხმობს, ვალდებულების არა მხოლოდ დაბალი ხარისხით შესრულებას, ასევე შესრულებისათვის შეთანხმებული ვადის დარღვევასაც. ამდენად, იმის დასადგენად, ვალდებულება შესრულებულია თუ არა არაჯეროვნად, აუცილებელია განისაზღვროს მხარეებისათვის წარმოშობილი უფლება-მოვალეობები, მათი შესრულებისა და ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია, შპს „...“ პაციენტ გ. ო-ის შემთხვევაში მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ კლინიკის მხრიდან შეტყობინება განხორციელდა დაგვიანებით, რამეთუ მოსარჩელის მიერ ადგილი არ ჰქონია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, 24 საათის განმავლობაში პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებასთან შემთხვევის შესახებ შეტყობინების განხორციელების უგულებელყოფას, რამეთუ უდავო იყო, რომ პაციენტ გ. ო-ის (მისი ახლობლების) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „...“ პაციენტის მოთავსების დღესვე – 2013 წლის 12 ივლისს, კერძო სადაზღვევო კომპანია „...“ წარმომადგენელთან განახორციელა შეტყობინება, კომპანიის მიერ დადასტურებულ იქნა შეტყობინების მიღება და პაციენტ გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურებისათვის შემდგომში შესაბამისი ანაზღაურება. თუმცა, სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს, სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორთან საუბრისას შპს „...“ ცნობილი გახდა, რომ პაციენტი გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი იყო 2013 წლის 4 ივლისიდან, იგი ითვლებოდა არა კერძო სადაზღვევო კომპანიის ბენეფიციარად, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლედ, იგი ირიცხებოდა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ და რომ სახელმწიფო იყო ვალდებული პაციენტის მკურნალობის ანაზღაურებაზე. ამის შემდგომ, შპს „...“ 2013 წლის 16 ივლისს 13:54 საათზე, ანუ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში პაციენტ გ. ო-ის

მოსარგებლედ არსებობა, დაუყოვნებლივ სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან განახორციელა შემთხვევის შესახებ შესაბამისი შეტყობინება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, შპს „...“ სასარგებლოდ, 2013 წლის 12 ივლისიდან 2013 წლის 25 ივლისამდე პერიოდში პაციენტ გ. ო-ისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების შესრულების სანაცვლოდ შესაბამისი ანაზღაურების ვალდებულება არ შეუსრულებია, ხოლო სხვა სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც პაციენტ გ. ო-ისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების შესრულების ანაზღაურება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ ვერ დაექვემდებარებოდა ანაზღაურებას, მოპასუხე მხარის მიერ მითითებული არ ყოფილა. ამდენად, სასამართლომ შპს „...“ სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება; შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებებს და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწი-

ფო პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები. ხსენებულ მუხლში ასევე განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც შეზღუდული არიან ამ პროგრამით სარგებლობისათვის, კონკრეტულად ამ კატეგორიას ასევე მიეკუთვნებიან 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირები.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა პაციენტ გ. ო-ისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ შემთხვევის შეტყობინება დაგვიანებით განახორციელა. ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია შემთხვევის (განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული კოდირების შესაბამისად) შესახებ შეტყობინება გააკეთოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა, ან შემთხვევის დასრულებამდე (თუ პაციენტი ენერება 24 საათზე ადრე, გარდა გარდაცვალებისა) განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით. გადაუდებელი ამბულატორიული შემთხვევის დროს, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინება გააკეთოს არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. სააპელაციო პალატამ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე განმარტა, რომ მოსარჩელე, როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული იყო შეტყობინება გაეკეთებინა არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას“ ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ბუნებრივია, აღნიშნულ ორგანიზაციას დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა უნდა ეცნობოს, რომ არსებობს პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურებას.

2013 წლის 12 ივლისს, 21:50 საათზე, პაციენტი გ. ო-ი „საა-

წრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის 112-ის“ მიერ მიყვანილ იქნა შპს „...“, მას გაუკეთდა ოპერაცია ამავე დღეს 2013 წლის 12 ივლისს, 23:40 -01:50 საათზე. დადგენილია, რომ შპს „...“ სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან განახორციელა შემთხვევის შესახებ შესაბამისი შეტყობინება, 2013 წლის 16 ივლისს, 13:54 საათზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ უხეშად დარღვა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები. ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უარი სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ პაციენტ გ. ო-ის შემთხვევაში კლინიკის მხრიდან შეტყობინება განხორციელდა დაგვიანებით, გამომდინარეობდა კანონმდებლობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, 24 საათის განმავლობაში პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებასთან შემთხვევის შესახებ შეტყობინების განხორციელების უგულებელყოფას.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები ან შემთხვევის შესახებ ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინების სისტემაში მიწოდებულ შესაბამის ინფორმაციას (განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის წესის გათვალისწინებით), ან შემთხვევის შესახებ შეტყობინების დაფიქსირების დროს დარღვეულია №1 დანართის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობები, ან სახეზეა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, ან სტაციონარული სამედიცინო მომსახურებისას პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნება 24 საათზე ნაკლებია (გარდა პროგრამით გათვალისწინებული გამონაკლისი

შემთხვევებისა), ასეთი შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შემთხვევის დადგომიდან 24 საათში მიწოდებული შემთხვევის შესაბეჭი ინფორმაცია თუ არ ემთხვევა შეტყობინების სისტემაში მიწოდებულ შესაბამის ინფორმაციას, ასეთი შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ანუ თუ მიწოდებული ინფორმაცია ხარვეზიანია ანაზღაურებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, არ უნდა ანაზღაურებულიყო ის შემთხვევაც, როდესაც შემთხვევის დადგომიდან 24 საათში არ იქნა მიწოდებული შესაბამისი ინფორმაცია.

მოსარჩევე და პირველი ინსტანციის სასამართლო უთითებს, რომ პაციენტი გ. ო-ის (მისი ახლობლების) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „...“ პაციენტის მოთავსების დღესვე, კერძო სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორთან განახორციელა შეტყობინება. ამასთან, კომპანია „...“ მიერ დადასტურებულ იქნა შეტყობინების მიღება და პაციენტი გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურებისათვის შემდგომში შესაბამისი ანაზღაურება. თუმცა მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს, სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორთან საუბრისას, შპს „...“ ცნობილი გახდა, რომ პაციენტი გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი იყო 2013 წლის 4 ივლისიდან, აღნიშნულ დრომდე იგი ითვლებოდა არა კერძო სადაზღვევო კომპანიის ბენეფიციარად, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლებდ, და ზემოთ სხენებული გარემოება გახდა შეტყობინების დაგვიანებით გადაცემის საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ თუ მოსარჩევე სადაზღვევო კომპანიის ოპერატორმა შეიყვანა შეცდომაში და დაპირდა, რომ გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულებას აანაზღაურებდა და ამის გამო მოსარჩევემ არ გააკეთა შესაბამისი შეტყობინება „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-11 მუხლით განსაზღვრულ ვადაში, მოსარჩელეს შეუძლია მიყენებული ზიანის აანაზღაურების ვალდებულებაზე ედავოს შესაბამის სადაზღვევო კომპანიას ან მის ოპერატორს საქართველოს სამოქალაქო სამართლნარმოების წესით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 აგვისტოს №40/72915 წერილზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან და-

დასტურებულ იქნა 2013 წლის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზებში ხარვეზების არსებობა, კონკრეტულად, იგი სრულად არ ასახავდა პროგრამით მოსარგებლებს. სააპელაციო პალატამ მიუთითა მხარეებს იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაც არ იყო, რომ შესაბამისი შემთხვევა დადგა 2013 წლის 12 ივლისს, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შემთხვევის შესახებ შესაბამისი შეტყობინება განახორციელდა 2013 წლის 16 ივლისს, 13:54 საათზე. ამასთან, შეტყობინების დაგვიანებით განხორციელება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზებში ხარვეზების არსებობამ გამოიწვია. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული დაგვიანება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პაციენტი გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „....“ ბენეფიციარი იყო და მოსარჩელე ვარაუდობდა, რომ ეს სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებდა შესაბამის სამედიცინო მომსახურების ღირებულებას. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 აგვისტოს №40/72915 წერილში მითითებული გარემოება არ ქმნიდა სარჩელის დაკაყოფილების საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გააჩნდა ვალდებულება აენაზღაურებინა შპს „....“ 10079,34 (ათიათას სამოცდაცხრამეტი ლარი და ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „....“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა გამოყენებული ნორმები.

კასატორის მითითებით, ის ფაქტი, რომ პაციენტი გ. ო-ი 2013 წლის 12 ივლისის მდგომარეობით ირიცხებოდა №36 დადგენილების მოსარგებლედ, არ შეესაბამება სიმართლეს და სააპელაციო სასამართლომ შესაბამისი მტკიცებულების არსებობის გარეშე გაიზიარა მოპასუხის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. შეტყობინების დაგვიანებით გადაცემა და დაფინანსებაზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენის გართულება იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ პაციენტი გ. ო-ი 2013 წლის

12 ივლისის მდგომარეობით არ ირიცხებოდა ზემოაღნიშნული დადგენილების მოსარგებლები. სააპელაციო სასამართლომ მსჯელობისას არ გაითვალისწინა მოსარჩელის ის პოზიცია, რომ 2013 წლის 12 ივლისს შეამონება პროგრამის განმახორციელებლის ბაზების მონაცემები, რომლის მიხედვითაც, პაციენტი გ. ო-ი ირიცხებოდა, როგორც კერძო დაზღვევის მოსარგებლები.

კასატორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი. კლინიკამ პაციენტის სტატუსი შეამონება მოპასუხის მართვის ქვეშ მყოფ ელექტრონულ ბაზაში, სადაც ფიქსირდებოდა, როგორც კერძო დაზღვევით მოსარგებლები. კლინიკამ პაციენტის ახლობლებთან დააზუსტა კონკრეტული სადაზღვევო კომპანია, პაციენტის სტატუსი გადაამონება შესაბამის სადაზღვევო კომპანიასთან, რომელმაც დაუდასტურა, რომ პაციენტი ნამდვილად იყო მისი დაზღვეული, რაც გამორიცხავდა, იმავდროულად, მისი №36 დადგენილებით მოსარგებლებისა. სხვა საშუალება კლინიკას პაციენტის იდენტიფიცირებისათვის არ გააჩნდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ზემოაღნიშნული ნორმით და მიეჩნია, რომ შეტყობინების ვადის გადაცილება არ მომხდარა, რადგან ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ იყო გამოწვეული.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტემბერლის №36 დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც შეტყობინების გადაცემის 24-საათიანი ვადის ათვლას იწყებს შემთხვევის დადგომიდან. სასამართლოს განმარტებით, შემთხვევის დადგომა ემთხვევა პაციენტის კლინიკაში შემოსვლის თარიღს და სწორედ პაციენტის კლინიკაში მიყვანიდან უნდა მომხდარიყო 24-საათიანი ვადის ათვლა. მოცემულ შემთხვევაში, პაციენტის კლინიკაში შემოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეტყობინების გადაცემა, რა თქმა უნდა, არ უნდა ჩაითვალოს დაგვიანებად, რადგან „შემთხვევა დადგა“, სწორედ რამდენიმე დღის შემდეგ. კერძოდ, პაციენტ გ. ო-ის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი შემთხვევა დადგა პაციენტის №36 დადგენილების პენეფიციარად იდენტიფიცირების დროს, 2013 წლის 16 ივლისს, რის გამოც სასამართლოს მოპასუხისათვის უნდა დაეკისრებინა 2013 წლის 16 ივლისიდან 2013 წლის 25 ივლისამდე განეული მომსახურების ღირებულება. თუმცა, ვინაიდან პაციენტი კლინიკაში შესვლის

თარიღიდანვე სარგებლობდა სახელმწიფოს დაფინანსებით, რაც დროულად ვერ გამოვლინდა მოპასუხის ბრალებული ქმედებით, კასატორს მიაჩინია, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს სრული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 394-ე მუხლის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის შპს „...“ მიერ პაციენტი გ. ო-ისათვის განეული 10079,34 ლარის ოდენობით სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას, დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის

მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სათანადო შეფასება მიეცეს იმ გარემოებას, მიუძღვის თუ არა ბრალი შპს „...“ შეტყობინების ვადის გადაცილებაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, მოცემული ადმინისტრაციული საქმე ხომ არ არის შესაჩერებელი სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2013 წლის 12 ივლისს, 21:50 საათზე, პაციენტი გ. ო-ი „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის 112-ის“ მიერ მიყვანილ იქნა შპს „...“, დიაგნოზით – მწვავე მუცელი, პრიტონისტი, მარჯვენა საკვერცხის კისტა. პაციენტს ჩაუტარდა დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები, რის შემდეგაც იგი მოთავსებულ იქნა გინეკოლოგიურ განყოფილებაში და ჩაუტარდა მთელი რიგი სამედიცინო გამოკვლევები.

შპს „...“ თანამშრომელმა სადაზღვევო კომპანია „...“ ცხელ ხაზზე 2013 წლის 12 ივლისს და 2013 წლის 14 ივლისს განახორციელა სატელეფონო შეტყობინება პაციენტი გ. ო-ისათვის სამედიცინო მომსახურების შემდგომ ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სადაზღვევო კომპანიის ოპერატორის მიერ დადასტურდა კლინიკის მხრიდან შეტყობინების შილება და პაციენტი გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურებისათვის შესაბამისი ანაზღაურება.

2013 წლის 16 ივლისს, სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორთან საუბრისას, შპს „...“ ცნობილი გახდა, რომ გ. ო-ი ირიცხებოდა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ და სახელმწიფო იყო ვალდებული პაციენტის მეურნალობის ანაზღაურებაზე.

დადგენილია, რომ პაციენტი გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი არის 2013 წლის 4 ივლისიდან.

ასევე, დადგენილია, რომ შპს „...“ 2013 წლის 16 ივლისს, 13:54 საათზე, ელექტრონული შეტყობინება გადაუგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს პაციენტ გ. ო-ისათვის განეულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. შეტყობინებას თან ერთვოდა 2013 წლის 16 ივლისის №172411 ნერილი, სადაც კლინიკამ განმარტა, რომ პაციენტი გ. ო-ი კლინიკაში შევიდა 2013 წლის 12 ივლისს, უმძიმეს მდგომარეობაში, გავრცობილი ჩირქოვანი პერიტონიტით, სუნთქვის უკმარისობისა და სეპტიციური შოკის მოვლენებით. მოხდა პაციენტის პიროვნების იდენტიფიკაცია, დაუყოვნებლივ ჩაუტარ-

და საჭირო სადიაგნოზო კვლევები და კონსულტაციები. შეფასდა სიტუაცია და შესვლიდან 1:50 საათის შემდეგ დაეწყო ოპერაციული მკურნალობა, პარალელურად მიმდინარეობდა პაციენტის მკურნალობის დაფინანსების წყაროს გარკვევა. დაფიქსირდა, რომ ის იყო სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი, თუმცა სადაზღვევო პოლისი ხელთ არ ჰქონდა, ამიტომ „...“ ცხელი ხაზით განხორციელდა დაზღვეულის უფლებამოსილების დადასტურება. მზღვეველის ცხელ ხაზზე პაციენტ გ. ო-ის, როგორც „...“ დაზღვეულის სტატუსის დადასტურების შემდეგ, წარიმართა მზღვეველთან ურთიერთობა, როგორც ამას ფორმატი ითვალისწინებდა.

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ უარი განაცხადა პაციენტ გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ შემთხვევის შესახებ შეტყობინება განახორციელა დაგვაინხებით, კერძოდ, დაარღვია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია შემთხვევის შესახებ შეტყობინება გააკეთოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა, ან შემთხვევის დასრულებამდე განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

საკასაციო სასამართლო, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სარწმუნოდ უნდა გამოარკვიოს, რამ განაპირობა კლინიკის მიერ შეტყობინების დაგვიანებით განხორციელება და არის თუ არა სახეზე მოსარჩელის ბრალის გამომრიცხავი გარემოებები, მით უფრო იმ პირობებში, როცა პაციენტ გ. ო-ის (მისი ახლობლების) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „...“ პაციენტის მოთავსების დღესვე, კერძო სადაზღვევო კომპანია „...“ განახორციელა შეტყობინება. მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ კომპანია „...“ მიერ დადასტურდა შეტყობინების მიღება და პაციენტ გ. ო-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურებისათვის შემდგომში შესაბამისი ანაზღაურება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს, სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორთან საუბრისას შპს „...“ ცნობილი გახდა, რომ პაციენტი გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი

იყო 2013 წლის 4 ივნისიდან, იგი ითვლებოდა არა კერძო სა-დაზღვევო კომპანიის ბენეფიციარად, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლედ და სახელმწიფო იყო ვალდებული პაციენტის მკურნალობის ანაზღაურებაზე. შპს „...“ იმავე დღეს, 13:54 საათზე, ანუ მას შემდეგ, რაც მისთვის ცრო-ბილი გახდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში პაციენტი გ.ო-ის მოსარგებლედ არსებობა, დაუყოვნებლივ, სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სო-ციალური მომსახურების სააგენტოსთან განახორციელა შემ-თხვევის შესახებ შესაბამისი შეტყობინება, ხოლო მოპასუხე ად-მინისტრაციულმა ორგანომ სამედიცინო მომსახურების ანაზ-ღაურებაზე უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ პაციენტი გ.ო-ის შემთხვევაში კლინიკის მხრიდან შეტყობინება განხორცი-ელდა დაგვიანებით, რის გამოც აღნიშნული შემთხვევა ანაზ-ღაურებას არ ექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შეტყობინების ვადის გადაცილე-ბა არ მომხდარა კლინიკის ბრალით და მიიჩნევს, რომ სააპელა-ციო სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რასაც არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა მხარეთა შორის დავის სწორად გადაწყვეტისათვის, კერძოდ, არსებობდა თუ არა შპს „...“ ბრალეულობა შეტყობინების გან-ხორციელების დაგვიანებაში. მნიშვნელოვანია ასევე ის გარე-მოება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცი-ალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 აგვისტოს №40/72915 წერილში აღნიშ-ნულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დადასტუ-რებულ იქნა 2013 წლის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზებში ხარვეზების არსებობა, კონკრეტულად, იგი სრულად არ ასახავდა პროგრამით მოსარგებლებს. მოცემულ შემთხვე-ვაში სადაც არ არის, რომ შემთხვევა დადგა 2013 წლის 12 ივ-ლისს, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შემთხვევის შესახებ შესაბამისი შეტყობინება განხორციელდა 2013 წლის 16 ივნისს, 13:54 საათზე. ამასთან, შეტყობინების დაგვიანებით განხორციელება საყოველთაო ჯანდაცვის პროგ-რამის ბაზებში ხარვეზების არსებობამ გამოიწვია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრო-ბის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცე-ბულ „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელ-მწიფო პროგრამაზე“, რომლის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის

თანახმად, მიმწოდებული ვალდებულია შემთხვევის (განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული კოდირების შესაბამისად) შესახებ შეტყობინება გააკეთოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა, ან შემთხვევის დასრულებამდე (თუ პაციენტი ეწერება 24 საათზე ადრე, გარდა გარდაცვალებისა) განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით. გადაუდებელი ამბულატორიული შემთხვევის დროს, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინება გააკეთოს არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, მოსარჩელე, როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული იყო შეტყობინება დაეფიქსირებინა არა უგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ შესაბამისი შემთხვევა დადგა 2013 წლის 12 ივლისს, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შემთხვევის შესახებ შეტყობინება განხორციელდა იმავე წლის 16 ივლისს, თუმცა შეტყობინების დაგვიანებით განხორციელება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პაციენტი - გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი იყო და მოსარჩელე ვარაუდობდა, რომ აღნიშნული სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებდა შესაბამის სამედიცინო მომსახურების ღირებულებას. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შპს „...“ ოპერატორი 2013 წლის 12 ივლისიდან ინტენსიურად უკავშირდებოდა სადაზღვევო კომპანია „...“ ოპერატორს პაციენტის მდგომარეობისა და მიმდინარე სამედიცინო მომსახურების განვის თაობაზე, რომელიც ადასტურებდა შეტყობინების მიღებას და პაციენტისათვის განხელი სამედიცინო მომსახურებისათვის შესაბამისი აანაზღაურების დაფინანსებას, თუმცა კლინიკისთვის მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს გახდა ცნობილი, რომ პაციენტი - გ. ო-ი სადაზღვევო კომპანია „...“ ბენეფიციარი იყო 2013 წლის 4 ივლისიდან და იგი ჯერ კიდევ ითვლებოდა არა კერძო დაზღვევის, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლები. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეტყობინების დაგვიანებით გადაცემა გამოიწვია ასევე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზებში ხარვეზების არსებობამ, სადაც პაციენტი - გ. ო-ი ირიცხებოდა, როგორც კერძო დაზღვევის მოსარგებლები.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ განიხილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 21 ნოემბრის №04/104308 ნერილი და მასზე თანდართული პაციენტის – გ. ოის 2013 წლის 14 ნოემბრის №124879 განცხადება, რომელიც ეხებოდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დაგენილებით დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლების გ. ოისათვის 12.07.2013-25.07.2013წნ. პერიოდში შპს „...“ განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხს.

სააგენტომ დაადგინა, რომ 2013 წლის 12 ივლისის მდგომარეობით (პაციენტის მკურნალობის დაწყება) გ. ო-ი ირიცხებოდა „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლები, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (დაართი №1) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც დროულად არ იქნა დადგენილი სამკურნალო დანესებულების შესაბამისი სამსახურის მიერ და პროგრამის განმახორციელებელთან არ გაკეთდა, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შეტყობინება, რითაც დაირღვა ხსენებული დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა. ზემოაღნიშნული დარღვევის გამო, დაწესებულებამ პროგრამის განმახორციელებლისაგან გ. ო-ის მკურნალობის ხარჯების დაფინანსებაზე კანონით გათვალისწინებული უარი მიიღო (№04/68410; 25.07.13წ.) და კანონმდებლობის დარღვევით, მკურნალობის საფასურის (1122,00 ლარი) გადახდა დააკისრა პაციენტს, რაც დადასტურდა შპს „...“ მიერ პაციენტ გ. ოის წინააღმდეგ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მკურნალობის ღირებულების გადაუხდელობის გამო აღძრული სარჩელით.

ამდენად, მოცემულ საქმეზე მიმდინარეობს როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო სამართალწარმოება, ხოლო საქმის მასალების მიხედვით, არ იკვეთება, რა სტადიაშია პაციენტი გ. ო-ისათვის ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული დავა, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „...“ მიერ აღძრულ სარჩელზე დასრულდა თუ არ სამართალწარმოება და რა გადაწყვეტილება მიღებული. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და გა-

დაწყვიტოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხომ არ არსებობს მოცემული საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, მიმდინარე ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტამდე. მითითებული ნორმით დადგენილია, რომ სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სასურველია გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობა და საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, პაციენტი – გ. ო-ი საქმეში ჩააბას მესამე პირის სტატუსით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივრარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხე-

ლახლა განხილვისას სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, საკა-საციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვალის ათვლა**

#### **განჩინება**

№ბს-698-691(კ-16)

13 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 13 ნოემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სა-

აგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მო-პასუხის – „...“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ განახორციელა შპს „...“ შემოწმება. ინსპექტირება მოიცავდა 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდს. 2012 წლის 18 აგვისტოს გამო-იცა შემოწმების აქტი, რომლის თანახმად, ბავშვთა სამედიცი-ნო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა სტაციო-ნარული დახმარების კომპონენტების მიხედვით, კლინიკის მი-ერ მოწოდებული ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულებას, 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტამდე საინსპექციო პერიოდში, მოთხოვნილი აქცს 132 751.70 ლარი. ანაზღაურებუ-ლია 129 643.30 ლარი. 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარ-ტამდე საინსპექციო პერიოდში, მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, სამედიცი-ნო მომსახურებისათვის დაწესებულებას მოთხოვნილი აქცს 76 267.00 ლარი, მიღებული აქცს 76 013 ლარი. ინსპექტირებისას გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

1. მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 2 შემთხვევებში, საქართველოს შრო-მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №242/6 და 2006 წლის 28 ივნისის №180/6 ბრძანებების შესაბამისად, არ ჩატარებულა მასალის ჰისტომორ-ფოლოგიური კვლევა. აღნიშნულ შემთხვევებზე სააგენტოდან მიღებულია 1569.00 ლარი. შესაბამისად, დაწესებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის საასარგებლოდ ასანაზღაურებელი თან-ხა შეადგენს 1569.00 ლარს; 19 შემთხვევაში არ ჩატარებულა ოპერაცია. პაციენტებს ჩატარებული აქვთ კონსერვატიული მკურნალობა, ხოლო სააგენტოდან კლინიკას მიღებული აქცს მესამე სირთულის ოპერაციების შესაბამისად, თითოეულ შემ-თხვევაზე – 784.50 ლარი, სულ – 14905.50; 3 შემთხვევაში ანგა-რიმში ნარმოდგენილი დიაგნოზი არ შეესაბამება პაციენტის რე-ალურ მდგომარეობას. აღნიშნულ შემთხვევებზე კლინიკას სა-აგენტოდან მიღებული აქცს 2353.50 ლარი. „2011 წლის ჯან-მრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრი-რების ნესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართვე-ლოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინის-ტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „o“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულების მხრი-დან, ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა, სააგენტოს მხრი-

დან ანაზღაურებული თანხის ოდენობა – 784.50 ლარი; 11 შემთხვევაში დარღვეულია სამედიცინო ბარათების წარმოების წესი, კერძოდ, არასწორადა ნაწარმოები სტაციონარული პაციენტების სამედიცინო ბარათები. აღნიშნულ შემთხვევებზე დაწესებულებას სააგენტომ აუნაზღაურა პროგრამის შესაბამისად 3 351.00 ლარი. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის 10% – 335.10 ლარი. სულ მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 19 947.60 ლარი.

2. ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტი – „ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშებისა და ანაზღაურების წესის“ ზოგადი ნაწილის პირობის მიხედვით, სააგენტოს მიერ არ დაფინანსდება შემთხვევები თუ ბენეფიციარი განერის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში იმავე დიაგნოზით მოთავსდება იმავე სამედიცინო კლინიკაში. აღნიშნული შემთხვევა დაფიქსირდა 3 სამედიცინო ბარათში. დაწესებულებას სააგენტოდან მიღებული აქვს 1059.20 ლარი; 1 შემთხვევაში პაციენტი აღმოჩნდა 3 წლის ზევით. მომსახურების ლირებულებამ აღნიშნულ შემთხვევებზე შეადგინა 131.20 ლარი; 15 შემთხვევაში დაწესებულებას სააგენტოდან მოთხოვნილი და მიღებული აქვს ნოზოლოგიური კოდის მთლიანი ლირებულება – 164.00 ლარი, ნაცვლად 131.20 ლარისა. ზედმეტად მიღებულმა თანხამ შეადგინა 492.00 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დაწესებულების მხრიდან, ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის (1 584.00) 10% – 158.40 ლარი. სულ ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტის ფარგლებში, დაწესებულების მიერ ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 3 232.80 ლარი. ამდენად,

შპს „...“ მიერ 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე საინსპექციო პერიოდში, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, ასევე „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაცვის პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180,40 ლარი. შემონმების აქტი ჩაპბარდა კლინიკის დირექტორს. 2013 წლის 8 იანვარს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაიგზავნა წერილი კლინიკაში, თანხის გადახდის ვალდებულების შესახებ, შესაბამისი საბიუჯეტო ანგარიშის ჩვენებით, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამდენად, მოსარჩევემ შპს „...“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ 23 180,40 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარჩელო განცხადება, მოპასუხე შპს „...“ მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ, განსჯადობით გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი მოპასუხე შპს „...“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკამაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს შორის 2009-2010 წლებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფლებამონაცვლედა სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებაა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. ამრიგად, სსიპ სამედიცინო საქ-

მიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2012 წლის 13 აგვისტოს ინსპექტირების შედეგად დაკისრებული თანხის მოთხოვნის მიმართ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფლებამონაცვლე სუბიექტს 2010 წლიდან წარმოადგენს მოსარჩევე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 27 ივლისის ბრძანების საფუძველზე, სარევიზიო ჯგუფის (კომისიის) მიერ შემოწმდა 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდში შპს „...“ მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობა, რომლის შედეგადაც 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით გამოვლინდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშსნორებისა და ანაზღაურების წესის“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევა და რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180,40 ლარი. აქტი ხელმოწერილია მხარეების მიერ და აქტის შედგენის დღესვე ერთი ეგზემპლარი ჩაჰპარდა საავადმყოფოს დორექტორს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2013 წლის 8 იანვარს მომზადებული იყო №04/462 წერილი მასზედ, რომ მოპასუხეს ერთი თვის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით უნდა დაებრუნებინა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინსპექტირების (სარევიზიო) ჯგუფის მიერ გამოვლენილი დარღვევების გამო ზედმეტად მოთხოვნილი თანხა – 23 180,40 ლარის ოდენობით. აღნიშნული წერილის მოპასუხისათვის გაგზავნა და ჩაბარება საქმის მასალებით არ დასტურდება.

სასამართლოს მითითებით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სარჩელი ხანდაზმულია, რამდენადაც აქტი შედგენილია 2012 წლის 13 აგვისტოს, ხოლო ამ აქტის შესახებ მოსარჩელისათვის, როგორც სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა ყოფილიყო. საწინააღმდეგო გარემოე-

ბის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება თანხის დაპრუნების თაობაზე წარმოიშვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშსწორებისა და ანაზღაურების წესისა“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მხარემ თავისი პოზიცია შესაგებელში და სასამართლოს სხდომაზე დაამყარა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. ასეთ ვითარებაში, სასამართლო ვალდებული იყო, შეემონებინა ხანდაზმულობის საკითხი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. იმავე კოდექსის 122-ე მუხლის მიხედვით, თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო, ხოლო 123-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით, დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად; ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმებოდა დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეული იყო, შეეძლო მოეთხოვა თავისი უფ-

ლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. შესაბამისად, ხან-დაზმულობის ვადის დაწყების საფუძველი იყო უფლების დარღვევა, რის თანახმადაც კრედიტორს წარმოეშობოდა მოთხოვნა უფლების დასაცავად და აღსადგენად. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება კი დაკავშირებული იყო სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა (კრედიტორმა) შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან, ივარაუდებოდა, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. სანინააღმდეგოს მტკიცების ტკირთი მოსარჩელეს აკისრია. იმ პირობებში, როდესაც უტყუარი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა 2012 წლის 13 აგვისტოს აქტის მოსარჩელისათვის გადაცემის თაობაზე, საქმეში არ მოიპოვება, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დასადგენი გარემოებაა, უნდა სცოდნოდა თუ არა მოსარჩელეს აქტის შინაარსის თაობაზე მისი შედგენის თარიღიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მოიხმო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანება „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, განსაზღვრული იყო პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებები. კერძოდ, დაწესებულებებს წარმოადგენდნენ: ა) „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №77 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება; ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №77 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პროგრამების განმახორციელებელი ერთ-ერთი დაწესებულებაა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სისპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

სასამართლოს ოვალსაზრისით, აღნიშნული ნორმები მიუთითებენ მასზედ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, 13.08.2012 წელს შედგენილი სარევიზიო აქტით განსაზღვრული თანხის – 23

180,40 ლარის მოთხოვნაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათველა უნდა დაწყებულიყო სწორედ აღნიშნული თარიღიდან – 2012 წლის 13 აგვისტოს მომდევნო დღიდან, რადგან მოსარჩელე მხარისათვის, როგორც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან ერთად პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ორგანოსათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აქტის შინაარსის შესახებ მისი შედგენის თარიღიდან, რაც მიუთითებდა მასზე, რომ მან იმთავითვე შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანდა სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეცდებოდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფდა, რომ სარჩელის წარდგენისას ან სხვა საშუალებით მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობისას წყდებოდა მხოლოდ იმ ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც არ დასრულებულა ანუ სახეზე უნდა ყოფილიყო ისეთი შემთხვევა, რომ კანონით დადგენილი ვადა (მაგ., სამი წელი) გასული არ ყოფილიყო.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ თანხის დაკისრების მოთხოვნით სარჩელი აღდრული იყო 2015 წლის 13 ნოემბერს. შესაბამისად, ვინაიდან მოთხოვნილ თანხაზე ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად განისაზღვრა 2012 წლის 13 აგვისტოს მომდევნო დღე, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი სამნლიანი ხანდაზმულობის ვადა სარჩელის აღძვრის დროისათვის გასული იყო, რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. რაც შეეხებოდა 2013 წლის 3 იანვრის №04/34 წერილს, რომელზედაც აპელირებდა მოსარჩელე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხებმ სადავოდ გახადა მისი ჩაბარების ფაქტი. საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა აღნიშნული წერილის გაგზავნისა და მოპასუხეზე ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, წერილის ჩაუბარებლობა ვერ გამოიწვევდა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, ვინაიდან იგი არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო ისეთ შემთხვევად, როგორიცაა სახელმწიფო ორგანო-

სათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილით გადმოცემული იყო შემოწმების აქტიდან წარმოშობილი მოთხოვნის დადასტურება და განსაზღვრულ ვადაში მოპასუხის მიერ მისი შესრულების ვალდებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილი იყო უარი ეთევა მოქმედების შესრულებაზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა – შპს „...“ დაეკისრა 23 180.40 ლარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებებს და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №92 დადგენილება, რომლის 22-ე მუხლი განსაზღვრავდა პროგრამებში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებს. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, მიმწოდებელი ვალდებული იყო, უზრუნველეყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვაანეს 60 კალენდარული დღისა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედე-

ბისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 იანვრიდან, როცა №04/462 წერილი გაეგზავნა შპს „...“ და განხორციელდა შეტყობინება დავალიანების ოფენობისა და მისი გადახდის წესზე. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა აღნიშნული წერილის ადრესატისთვის ჩაპარების ფაქტი. შესაბამისად, პალატა ამ დოკუმენტს, როგორც უტყუარ მტკიცებულებას ხანდაზმულობის ვადის ათვლის თვალსაზრისით ვერ განიხილავდა. განსახილევლ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტი მხარის პოზიცია მასზედ, რომ ხანდაზმულობის ვადა არ უნდა ათვლილიყო 2012 წლის 13 აგვისტოდან (აქტის შედგენიდან), რადგან ამ აქტით დადგინდა თანხების რაოდენობა და არა უფლების დარღვევის შეტყობინება, ასევე, აქტში არ იყო მითითება თანხების ანაზღაურების მექანიზმებზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დაგენილების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით მიმზიდებელი ვალდებული იყო უზრუნველეყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. ვალდებულების აღიარებიდან 60 დღე ამოინურა – 2012 წლის 13 ნოემბრის, საიდანაც ერთი თვე იყო აქტის ძალაში შესვლის დრო (2012 წლის 13 სექტემბერი), რადგან მხარეს უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა მითითებული აქტი, ხოლო დანარჩენი 60 დღე (2012 წლის 13 ნოემბრამდე) წარმოადგენდა აღიარებული ვალდებულების შესრულების დროს. ამ ვადის ამონურვის დღიდან, 2012 წლის 13 ნოემბრიდან, უნდა ათვლილიყო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული იყო (სარჩელი შეტანილია 2015 წლის 13 ნოემბერს).

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამედიცინო საქმიანო-

ბის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტამდე შპს „...“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180.40 ლარი (თანხის ოდენობა მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებას სადაცოდ არ გაუხდია), რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრებოდა კომპანიას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმდება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ უკუძალა მიანიჭა კანონს და გაავრცელა იგი იმ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, კერძოდ, გამოიყენა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №92 დადგენილება მაშინ, როცა უნდა გამოყენებინა „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანება. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა ხანდაზმულობის ვადის დენა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენას კრედიტორის მიერ უფლების დარღვევის შეტყობის ფაქტს უკავშირებს. სასამართლომ კი ხანდაზმულობის ვადა აითვალა არასწორად გამოყენებული კანონის შესაბამისად.

კასატორი აღნიშნავს, რომ მასა და ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს მოქმედებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანება. კომისიის მხრიდან გამოვლენილი დარღვევები სწორედ იმ პერიოდშია ჩადენილი, როცა მოქმედებდა მითითებული ბრძანება და ჯერ ამოქმედებული არ იყო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება. 2011 წლის ხსნებული ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ „მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა“. ამდენად, თუ კომპანია არ დაეთანხმებოდა 2012 წლის 18 აგვისტოს აქტს, მას უფ-

ლება ჰქონდა გაესაჩივრებინა იგი 1 თვის ვადაში. გასაჩივრების ვადის გამოუყენებლობა მიჩნეულ უნდა იქნეს კომპანიის მხრიდან ვალდებულების აღიარებად, რაც, ცხადია, ცნობილი იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის. ამდენად, ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით, ამ უკანასკნელს 2012 წლის 18 სექტემბრიდან ჰქონდა 1 თვის ვადა დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ვადის გასვლით, 2012 წლის 18 ოქტომბრიდან იწყება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენა. ამისგან განსხვავებული რეგულაციაა მოცემული მთავრობის №92 დადგენილებაში, რომლის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სანქციის შესრულება უნდა განხორციელდეს აღიარებიდან არა უგვიანეს 60 კალენდარული დღისა.

აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ კანონისათვის უკუძალის მინიჭება ენინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლითაც დაუშევებელია აქტს უაუეფეტი მიეცეს, თუკი იგი აუარესებს პირის მდგომარეობას. კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაზე, სადაც განმარტებულია, რომ კანონის შეფარდებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს ფაქტობრივი გარემოებების ხდომილებისას არსებული კანონი და არა ის კანონი, რომელიც საკითხის გადაწყვეტისას მოქმედებს.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა ასევე ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღიარებული სანქციები უნდა დაპრუნებულიყო არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. აღიარება ნიშავს მხარეთა შორის შეთანხმებას მოთხოვნის არსებობისა და მისი ოდენობის შესახებ, ვინაიდან დარღვევის გამოსავლენად კომისიის დასკვნა იყო საჭირო. აქტს მისი შედგენისთანავე დაეთანხმა კასატორი და ამის დასტურად მას ხელი მოაწერა შპს „...“ დირექტორმა. შედგენილი აქტი სადაცომ არ გამხდარა, კასატორი მას დაეთანხმა და აღიარა ვალდებულება. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ კასატორს გააჩნდა აქტის გასაჩივრების 1-თვიანი ვადა და სახელმწიფო დაელოდა ამ უფლების გამოყენებას, აღნიშნული ვადა ამოინურა 2012 წლის 18 სექტემბერს, ისე რომ კომპანიას არ გამოუყენებია აქტის გასაჩივრების უფლება. სწორედ ამ თარიღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა დაეფარა კომპანიას საბიუჯეტო

დაგვალიანება, რაც მისი მხრიდან არ განხორციელებულა. შესაბამისად, 2012 წლის 19 ოქტომბრიდან სახელმწიფოსათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მისი დარღვეული უფლების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სწორედ აღნიშნული დანაწესის გამო ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 18 ოქტომბერს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2015 წლის 13 ნოემბერს, შესაბამისად, მოთხოვნა ხანდაზმულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშეგძობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩინეულ იქნა დასაშეგებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე<sup>ს</sup>“ ქვებუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-

სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შპს „...“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს“ შორის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2009-2010 წლებში გაფორმდა ხელშეკრულებები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 27 ივნისის ბრძანების საფუძველზე, სარევიზიო ჯგუფის (კომისიის) მიერ შემოწმდა 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდში შპს „...“ მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობა, რომლის შედეგადაც, 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით, გამოვლინდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშსწორებისა და ანაზღაურების წესის“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევა, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180,40 ლარი. აქტი ხელმინერილია მხარეების მიერ და აქტის შედგენის დღესვე ერთი ეგზემპლარი ჩაპერდა საავადმყოფოს დირექტორს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „...“ ვალდებულება თანხის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო. სააპელაციო სასამართლომ კი დავის გადაწყვეტილისას მიუთითა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაზე, მაგრამ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთება და მსჯელობა იმ გარემოებებზე, თუ რამ განაპირობა მითითებული დადგენილების გამოყენება იმ პირობებში, როცა გამოვლენილი დარღვევების ჩადენას ადგილი ჰქონდა ამ დადგენილების ამოქმედებამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „2012 წლის ჯანმრთე-

ლობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-3 მუხლზე, სადაც პირდაპირაა აღნიშნული, რომ „ამ დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებათა ფარგლებში ვაუჩერის პირობებით ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე (ხოლო შესყიდული საქონლის მარაგის არარსებობის შემთხვევაში – საქონლის მინდებამდე) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები გაგრძელდეს „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების შესაბამისად, მაგრამ არა უგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა...“. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ „თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება გაგრძელდეს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია, ან აუარესებს პირის მდგომარეობას. ნორმა, რომლისთვისაც კანონმდებელს უკუძალა არ მიუნიჭებია, ვრცელდება იმ სამართალურთიერთობაზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო წესის

თანახმად, კანონის მოქმედების ძალა შემოფარგლულია კანონის გამოქვეყნებისა და გაუქმების პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არ გამოიყენება: 1) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც განხორციელდა მის გამოცემამდე და 2) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც დადგა მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ორივე შემთხვევაზე წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული პრინციპის ორ მხარეს: განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო გამოიყენებს იმ კანონს, რომლის მოქმედების პირობებში ამ ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

საკასაციო სასამართლო სააქტელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ შპს „...“ ინსპექტორება მოიცავდა 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდს, რა დროსაც დადგინდა, რომ შპს „...“ ვალდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაეხადა 23 180,40 ლარი. ამდენად, გამოვლენილი დარღვევების ჩადენას ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ ამოქმედებული არ იყო „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ კანონის უკუძალის მინიჭება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლითაც დაუშვებელია აქტს უკუცევითი ძალა მიენიჭოს, თუკი იგი აუარესებს პირის მდგომარეობას. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ კანონის შეფარდებისას სასამართლო იყენებს ფაქტობრივი გარემოებების ხდომილებისას არსებულ კანონს და არა საკითხის გადაწყვეტისას მოქმედ კანონს (საქმე №ბს-1013-599(კ-05); საქმე №ბს-672-658(კ-12); საქმე №ბს-618-606(კ-12); საქმე №ბს-849-831(კ-12); საქმე №ბს-57-52(კ-13)). სააპელაციო სასამართლომ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნავა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება, თუმცა საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს ამავე კანონის 24-ე მუხლზე, სადაც განმარტებულია, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, ხოლო ნორმატიულ აქტს, რომელიც

ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

საკასაციო სასამართლო განსახილველ შემთხვევაში, ასევე, მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულების მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ასრულებს სადაც სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადაც სამართლურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ნინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩიათვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადა გამოთვალა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №92 დადგენილების შესაბამისად, რომლის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების

შესრულება აღიარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღი-სა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შემოწმების აქტი გამოიცა 2012 წლის 13 აგვისტოს, ხოლო ვალდებულების აღიარებიდან 60 დღე ამოიწურა 2012 წლის 13 ნოემბერს, საიდანაც ერთი თვე არის აქტის ძალაში შესვლის დრო, რადგან მხარეს უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა მითითებული აქტი. ამდენად, სარჩელის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა უნდა ათვალის 2012 წლის 13 ნოემბრიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულია (სარჩელი შეტანილია 2015 წლის 13 ნოემბერს). სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლისას არ გაიზიარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 იანვრის №04/462 წერილი, რომელიც გაეცნავნა შპს „...“, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ამ წერილის ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაიწყოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მასალებით სრულყოფილად არ დასტურდება უფლების შესახებ შეტყობის ფაქტი, მით უფრო იმ პირობებში, როცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებასა და „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაში განხსნავებული რეგულაცია მოცემული ვალდებულების შესრულების ვადებთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა გამოიყვლიოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე!<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა ანუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საკასაციო საჩივრის

აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში  
პრეპულ უძრავ ქრებასთან დაკავშირებული დავის  
სასარჩელო ხადაზმულობის ვადა**

**განცილება**

№ბს-133-131(2კ-17)

26 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული ხელშეკრუ-  
ლების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 30 ივნისს ს. გ-ას სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – საქართველოს ეკონომი-  
კისა და მდგრად განვითარების სამინისტროს და საქართვე-  
ლოს პრეზიდენტის, მესამე პირების – საქართველოს ოკუპი-  
რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირ-  
თა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და ზ. გ-ას მი-  
მართ.

მოსარჩედემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-  
ვითარების სამინისტროს და ზ. გ-ას შორის 2009 წლის 11 სექ-  
ტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწი-  
ლობრივ, კერძოდ, ს. გ-ას საცხოვრებელი ფართით დაქმაყოფი-  
ლების ნაწილში ბათილად ცნობა და „სახელმწიფო ქონების პირ-  
დაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართვე-  
ლოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 ივლისის №496 განკარგულე-  
ბის ნაწილობრივ, კერძოდ, ს. გ-ას ნაწილში ბათილად ცნობა მო-  
ითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ს. გ-ას  
სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართვე-  
ლოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 ივლისის №496 განკარგულე-  
ბა იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ს. გ-ას საცხოვრებე-  
ლი ფართით უზრუნველყოფას; ბათილად იქნა ცნობილი საქარ-

თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ზ. გ-ას შორის 2009 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ს. გ-ას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება ნაწილობრივ (ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში) სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პრეზიდენტმაც. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს პრეზიდენტის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე, ს. გ-ა და მამა, ზ. გ-ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირები არიან. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქების არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მეორე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრე-

ბული ხელშეკრულებით მოსარჩელის მამას – ზ. გ-ას გადაეცა საცხოვრებელი ბინა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგინდის გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება შას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგინდის გზით. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება, რომელსაც თავის მხრივ, უფლება აქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება. აღნიშნული წორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტაციის სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად პირის თანხმობა იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ ეს ხელშეკრულება პირს აკისრებს რაიმე ვალდებულების შესრულებას ან მის უფლებას ზღუდავს. ამდენად, 2009 წლის 11 სექტემბრის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ზ. გ-ას შორის დადებული ხელშეკრულება ს. გ-ას ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი, რადგან არ არსებობს მის დადებაზე მოსარჩელის წერილობითი თანხმობა, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის მოთხოვნებთან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ასევე ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 ივლისის №496 განკარგულება ს. გ-ას საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ნაწილში. აღნიშნული განკარგულება გამოცემულია მოსარჩელის მონაწილეობის გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს, რადგან აღნიშნული დარღვევის არასებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე შესაძლებელია მიღებული ყოფილიყო სხვაგ-

ვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინა-ალმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ნარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევად, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა გასაჩინორებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ მოსაზრებებს. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სადაც საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის ნარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის ნარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ ს. გ-ასათვის ცნობილი იყო. საქმის მასალებით დგინდება, რომ სადაც ხელშეკრულების თაობაზე ს. გ-ამ შეიტყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 26 იანვრის №05-01/06/1639 წერილით. აღნიშნული მტკიცებულების სანინააღმდეგო მტკიცებულებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნარმოდგენილი არ არის. ხელშეკრულებაშივე მითითებულია, რომ ხელშეკრულება შედგენილ იქნა ერთ ეგზემპლარად. ხელშეკრულება გადაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციოდ, არ გადასცემიათ მხარეებს. ასევე

საჯარო რეესტრის მონაცემებში, კერძოდ, ამონაწერში მითითებულია მხოლოდ მესაკუთრე. დამატებით რაიმე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბინას სხვა მოსარგებლები ჰყავს ან ბინაზე რაიმე უფლება აქვს ს. გ-ას, რეგისტრირებული მონაცემებით არ დასტურდება. ამდენად, ვარაუდი, რომ ს. გ-ას უნდა სცოდნიდა სადაც ხელშეკრულების თაობაზე, არ დასტურდება. ამასთანავე სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 ივლისის №496 განკარგულება, რომლის საფუძველზეცაა გაფორმებული ხელშეკრულება, ს. გ-ას არ ჩაპარებია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად და ამ ნაწილში მოპასუხე მხარემ ვერ მიუთითა გასაჩივრების ვადის გაცდენის საფუძვლით წარმოების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინება ნაწილობრივ (ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში) საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პრეზიდენტმა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორების განმარტებით, საქმეზე წარმოდგენილი მასალებით დასტურდებოდა, რომ, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მიერ სადაც განკარგულების გამოცემის დროს, ისე ხელშეკრულების დადების დროს დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები, რაც გამორიცხავდა სადაც აქტისა და ხელშეკრულების ბათილად გამოცხადების შესაძლებლობას.

კასატორების მითითებით, უდავო იყო ის გარემოება, რომ უძრავი ქონება საკუთრების უფლებით გადაეცა არა ერთ პირს – ზ. გ-ას, რომელიც წარმოადგენდა მოსარჩელის ოჯახის წევრს – მამას, არამედ დევნილის ოჯახს, ვინაიდან, დევნილთა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების სუბიექტს სწორედ დევნილის ოჯახი წარმოადგენს და არა თითოეული დევნილი პირი ცალ-ცალკე. კასატორებმა ასევე აღნიშნეს, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადას-

ტურდებოდა, რომ მოსარჩელე სადავო აქტის გამოცემის დროს პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ ფართში არ ცხოვრობდა. ამასთან, თუ ხელშეკრულებაში მითითებული პირები მათთვის საკუთრებაში გადაცემულ მისამართზე არ ცხოვრობდნენ, ზ. გ-ა ვალდებული იყო განცხადებინა ამის შესახებ ან მინიმუმ ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებაზე.

კასატორის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოსაზრებით, სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულებაში მითითებული პირების თანხმობა არ იყო საჭირო, ვინაიდან, აღნიშნული ხელშეკრულებით მათ არ დაკისრებიათ რაიმე ვალდებულება. უფრო მეტიც, სადავო ხელშეკრულებით მათ საკუთრებაში გადაეცათ საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის საკუნონმდებლო დანაწესი – წერილობით თანხმობასთან დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა.

კასატორებმა ასევე მიუთითეს ხანდაზმულობის ვადებზე და აღნიშნეს, რომ როგორც სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის, ასევე ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა 3 წელს. კასატორების მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ს. გ-ა წარმოადგენდა სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების მხარის – ზ. გ-ას შვილს და ისინი ერთი ოჯახის წევრები იყვნენ. ამდენად, წარმოუდგენელი იყო, რომ მოსარჩელე ს. გ-ას არ სცოდნოდა 2009 წლის 11 სექტემბერს სამინისტროსა და ზ. გ-ას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის განჩინებებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს პრეზიდენტის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განსახილველად ჩაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამ:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. გ-ა არის ზ. გ-ას შვილი. ს. გ-ას ჰყავს არასრულწლოვანი შვილი ნ. ი-ი. ზ. გ-ა, ს. გ-ა და ნ. ი-ი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირები არიან – აფხაზეთიდან დევნილები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ერთ ოჯახად №.... საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ოჯახის რეგისტრაცია განხორციელდა თბილისში, ვაკეში, დაბა წყნეთში, ... ქუჩაზე, ..., კორპ. ....ში. სახელმწიფოს შეთავაზებაზე, ოჯახის უფროსმა – ზ. გ-ამ თანხმობა განაცხადა თბილისში, ვაკეში, დაბა წყნეთში, ... ქუჩა №...-ში მე-3 სართულზე მდებარე ბინა №...-ის საკუთრებაში გადაცემაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 ივნისის №496 განკარგულებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში მითითებული ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცათ დანართშივე მითითებულ ფიზიკურ პირებს (ოჯახის უფროსებს). აღნიშნული განკარგულების მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ მყიდველი ვალდებული იყო განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური პირები (ოჯახის წევრები) უზრუნველეყო საცხოვრებელი ფართობით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ზ. გ-ას შორის 2009 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ზ. გ-ას გადაეცა პირობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, დაბა წყნეთი, ... ქუჩა №..., მე-3 სართული, ბინა №27, ფართი 34.21 კვ.მ. (საკადასტრო კოდი №...). ხელშეკრულების 2.2. მუხლის თანახმად, ზ. გ-ამ აიღო ვალდებულება გ. გ-ა, თ. გ-ა, ს. გ-ა და მ. დ-ა უზრუნველეყო საცხოვრებელი ფართით მისთვის გადაცემულ ქონებაში. ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, მყიდველმა დაადასტურა, რომ ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მყიდველი და ხელშეკრულების 2.2. პუნქტში ჩამოთვლილი პირები, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე არ სარგებლობენ ან არ ფლობენ სხვა რაიმე სახის საცხოვრებელ ან არასაცხოვრებელ ფართს, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებისა. ხელშეკრულების 2.5. პუნქტით დადგინდა, ზ. გ-ას ვალდებულება – საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ იგი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება გამოიყენოს ისე, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირები უზრუნველყოფილ იქნენ საცხოვრებლით. ხელ-

შეკრულების 3.1. მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტებლოს ოდენობა. ხელშეკრულების 3.2. მუხლის თანახმად, მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების, გარდა ამ ხელშეკრულების 2.3. და 2.4. პუნქტებით გათვალისწინებული პირობების, შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტებლოს ოდენობა განისაზღვრა 500 ლარით. მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ქონება 2009 წლის 14 სექტემბერს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ზ. გ-ას სახელზე.

ს. გ-ას სახელზე 2011 წლის 9 თებერვალსა და 6. ი-ის სახელზე 2010 წლის 4 თებერვალს გაცემული იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ან კეტებით ირკვევა, რომ მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი არის თბილისი, ვაკე, დაბა. წყებით, ... ქუჩა, ..., კორპ. .... საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 26 იანვრის №05-01/06/1639 წერილით ს. გ-ას ეცნობა, რომ 2009 წლის 11 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა სამინისტროს და ზ. გ-ას შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ზ. გ-ას საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ფართი. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ს. გ-ამ თანხმობა განაცხადა 2009 წლის 11 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ს. გ-ა 2009 წლის 11 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 ივლისის №496 განკარგულების მისი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში ბათილად ცნობას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ თავისი მამის ზ. გ-ასათვის გადაცემულ ბინაში მას არ უცხოვრია, მეუღლესა და არასრულნლოვან შეილთან ერთად ცხოვრობს ქირით და არც თანხმობა გაუცია ხელშეკრულების გაფორმებაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არ შეამონეს სარჩელის შესაბამისობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნებთან და დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა ისე, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რო-

მელიც დაადასტურებდა ს. გ-ასა და თავისი არასრულწლოვანი შვილის ზ. გ-ას ოჯახისაგან ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტს. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გა-დაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კა-ნონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დევნილის რე-გისტრაციის ადგილი არის – სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშული დევნილის საცხოვრებელი ადგი-ლი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხე-დავად ამ ადგილს საკუთრების ფორმისა. აღნიშული მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს დევნილის ფაქტობრივი საცხოვ-რებელი ადგილის ცნებას – დევნილის მიერ დევნილობის პერი-ოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრა-ციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს. ამასთანავე, მე-12 მუხ-ლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილი ვალდებულია საცხოვ-რებელი ადგილის შეცვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესა-ხებ. საქმეში დაცული მტკიცებულებებით – იძულებით გადაად-გილებული პირის – დევნილის ანკეტებით დასტურდება, რომ ზ. გ-ა, მ. დ-ა, გ. გ-ა, თ. გ-ა, ს. გ-ა და ნ. ი-ი ოჯახის ერთი სარეგისტრა-ციო – ... ნომრით არიან რეგისტრირებული და აღნიშულის სა-ნინააღმდეგო რაიმე სახის მტკიცებულება სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არც მხარეს წარმოუდგენია და არც სასამარ-თლოს გამოუკვლევია ს. გ-ას ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი. მართალია, მოსარჩელე მიუთითებს, რომ დაოჯახების შემდეგ ცხოვრობს ქირით მეუღლესა და შვილთან ერთად სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე, მაგრამ მის მიერ არ არის წარმოდგენილი აღნიშული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება. მოსარჩელეს ასევე არ წარმოუდგენია მის მიერ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გა-დაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-12 მუხ-ლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდე-ბულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამას-თან, ს. გ-ას სახელზე 2011 წლის 9 თებერვალს გაცემულ ანკეტა-ში ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილად მითითებულია ქ. თბი-ლისი, ვაკე, დ. წყნეთი, ... ქ. .... კორპ. .... იგივე მისამართია ფაქ-ტობრივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული 2010 წლის 2 თე-ბერვალს დაბადებული ს. გ-ას შვილის – ნ. ი-ის სახელზე 2010 წლის 4 თებერვალს გაცემულ დევნილის ანკეტაში. ამდენად, სა-აპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა სადაც საკითხი, რომ არ დაუდგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები – მოსარჩელის ზ. გ-ასთან ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი. აღ-

ნიშნული გარემოების დადგენას მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრისათვის, რადგან მოსარჩევე 2009 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან არ იცოდა ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და მის მიერ არ იყო თანხმობა გაცემული. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლთან მიმართებაში. ამასთანავე, მიუთითებს, რომ აღნიშნულ მოთხოვნაზე ვრცელდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, რომლის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სადაც საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელი. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ ს. გ-ასათვის ცნობილი იყო მისი გაფორმებისას, თუმცა სასამართლოს არ გამოიკვლევია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 26 იანვრის №05-01/06/1639 ნერილის მიღებამდე ს. გ-ას უნდა შეეტყო თუ არა მისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლზე და განმარტავს, რომ თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 26 იანვრის №05-01/06/1639 ნერილით ს. გ-ას მისი 2014 წლის 30 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად ეცნობა, რომ 2009 წლის 11 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ზ. გ-ას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით მყიდველი – ზ. გ-ა ვალდებულია ს. გ-ა, როგორც მისი ოჯახის წევრი უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართით მისთვის გადაცემული ქონებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას უნდა გამოეკვლია 2014 წლის 30 დეკემბრამდე, რატომ არ მიმარ-

თა ს. გ-ამ დევნილთა სამინისტროს საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოთხოვნით, თუ მისთვის ცნობილი არ იყო ზ. გ-ასა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 2009 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ. ს. გ-ას მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის მიმართვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის შესაძლოა წარმოადგენდეს მხარის მიერ გაშვებული ხანდაზმულობის ვადის აღდგენის მცდელობას. ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიკვლიოს 2009 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით და მის შემდეგ ს. გ-ას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ს. გ-ას, როგორც მოსარჩელის 2009 წლის 11 სექტემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უფლების წარმოშობის მომენტს, რამდენადაც დადგენას საჭიროებს, რა დროიდან უნდა სცოდნოდა ს. გ-ას მისი უფლების დარღვევის – მისი თანხმობის გარეშე 2009 წლის 11 სექტემბრის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს პრეზიდენტის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოსათვის;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. ადმინისტრაციული ორგანოს ვალიგულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

**პაროლის ვალიგულების მიზანის შედეგად  
დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურება**

### განხილვა

№ბს-710-702(2კ-15)

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

02.04.2014 წ. გ. გ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის – 500 000 ლარის და ადვოკატის ხარჯის – 2 000 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1995 წლიდან 2002 წლის 21 ივლისამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საჩერერის მე-16 სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ს-4 ... ოფიცრის თანამდებობაზე, სამხედრო წოდებით კაპიტანი. 21.07.2002 წ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოჰყვა ავტოკატასტროფული და მიღლო მძმე დაზიანება: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, სახისა და შუბლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაუუჯილობა ც-7 დონეზე, ც-6 მალის ხაზოვანი მოტეხილობა, ზედა პარაპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლა, რის შედეგადაც დაკარგა შრომის უნარი 100%-ით, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი უვადოდ და მიეჯაჭვა ეტლს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ავტოვარიის შედეგად მას მიადგა არამარტო მატერიალური, არამედ მორალური ზიანიც, რაც უნდა ანაზღაურდეს, რადგან არაერთგზის ჩატარებული მკურნა-

ლობის მიუხედავად გ. გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, რის გამოც იგი ჩავარდა უმწეო, სასონარკვეთილ მდგომარეობაში, წაერთვა აქტიური ცხოვრების შესაძლებლობა, შეეცვალა ცხოვრების წესი და რიტმი, დაუქვეითდა ცხოვრების ხალისი, გაუჩნდა არასრულფასოვნების კომპლექსი, მიადგა მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტკივილი, რასაც ამძაფრებდა მკურნალობისათვის საჭირო მატერიალური სახსრების არარსებობა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ავარიის შემდგომ მისი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი იყო 2003 წელს დანიშნული ჰენსია – 94 ლარი, რომელიც 2013 წლის 1 აპრილიდან გახდა 284 ლარი, რაც ვერ უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო და მედიკამენტოზური მკურნალობის ჩატარებას. გ. გ-ი მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრული და სამართლიანი ოდენობაა 500 000 ლარი, რადგან სიცოცხლე და ჯანმრთელობა პირის აბსოლუტური უფლებებია, ამასთანავე, მიღებული ტრავების შედეგად მოსარჩელეს დაერღვა ორგანიზმის მიშნებულოვანი ფუნქციები, რამაც განაპირობა შრომის უნარის სრული დაკარგვა, თვითრეალიზებისა და სრულფასოვანი ცხოვრების შეუძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.12.2014 წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, გ. გ-ს ხანდაზმულობისა და მიზეზობრივი კავშირის დაუდგენლობის მოტივით უარი ეთქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მის სასარგებლობდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.2015წ. გადაწყვეტილებით გ. გ-ის საპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-ის სასარგებლობდ დაეკისრა მორალური ზიანის – 20 000 ლარის და ადვოკატის ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება მიზეზობრივი კავშირის არარსებობასთან დაკავშირებით, მიუჟითა სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 997-ე, 1005-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლომ №62022013 სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ

დადგენილების საფუძველზე აღნიშნა, რომ 21.07.2002წ. შემთხვევის დროს, ავტომანქანას მართავდა გ. ჩ-ე, რომელმაც ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების დაცვა, რამაც გამოიწვია ავტომანქანის გადაბრუნება, კ. შ-ის გარდაცვალება, ხოლო გ. გ-ის სხეულის მძიმე დაზიანება. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ №55066 სამხედრო ნაწილის 08.01.03წ. №8 ცნობის თანახმად, გ. გ-ი 21.07.2002წ. სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოყვა ავტოკატასტროფაში, რის შედეგადაც მიიღო ტრავმა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრებისა და მთავარი სამმართველოს უფროსის 04.03.03წ. №542 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი გ. გ-ი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩხერის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 16.04.03წ. შემოწმების აქტიდან ამონანერის საფუძველზე პალატამ დაადგინდა, რომ გ. გ-ი არის პირველი ჯგუფის ინგლიდი, ინვალიდობა უვადოა და გამოწვეულია სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმების შედეგად. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ გ. ჩ-ემ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 276.5 მუხლით, თუმცა ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო სს საქმე შეწყდა. პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ბრალდებული ქმედების შედეგად მოსარჩევემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება: გახდა და პირველი ჯგუფის ინვალიდი, დაკარგა შრომის უნარი უვადოდ, მიეჯაჭვა ეტლს და დაკარგა დამოუკიდებლად მოძრაობისა და გადაადგილების უნარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, მიუთითა სსკ-ის 413-ე მუხლზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-972-936(კკ-08) გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ფაქტი შესაძლოა არ უკავშირდებოდეს უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. სააპელაციო პალატამ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მეურნალობის მიუხედავად მოსარჩევემ ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერ აღიდგინა, ის არის შეზღუდული შესაძლებ-

ლობების მქონე, პირველი ჯგუფის ინვალიდი, მიღებული ტრავ-მის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის ფუნქციები, ვერ ახერხებს ოჯახის რჩენას, ავადმყოფობის გამო დარჩა უმუშე-ვარი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მო-რალური ზიანის დადგომა არ უკავშირდება ცალსახად მატერი-ალური ზიანის მიყენების მომენტს და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩევეს მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე ხან-დაზმულობის მოტივით ეთქვა უარი არ გამორიცხავს მის უფ-ლებას, მოითხოვოს და აინაზღაუროს არაქონებრივი ზიანი. ჰა-ლატამ მიუთითა, რომ მორალური (არაქონებრივი) ზიანი ანაზ-ღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით, ანაზღაუ-რების მოცულობა დგინდება ზიანის მიმეუნებლის ბრალის ხა-რისხის და საქმის ინდივიდუალური თავისებურებების მიხედ-ვით. მორალური ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს ხელყოფილი უფლების რესტიტუციას, რამდენადაც ჯანმრთე-ლობის მდგომარეობის შეფასება ფულადი ფორმით შეუძლებე-ლია. კომპენსაციის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ნეგატიური განცდების შემსუბუქება, რომელიც დაეხმარება მოსარჩევეს სულიერი წონასწორობის მიღწევაში. კომპენსაციის განსაზ-ღვრისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ ჰქინდა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების განზრახვა, ასევე გაითვალისწინა თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სპეცი-ფიკა, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონით დადგენილი კომპენსაციის ოდენობები და მიიჩნია, რომ გ. გ-ის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ოცი ათასი ლარის ნაწილში. სსკ-ის 53.1 მუხ-ლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქარ-თველოს თავდაცვის სამინისტროს გ.გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ადვოკატის ხარჯის – 1 000 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.07.2015 წ. გადაწ-ყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. გ-მა და საქართვე-ლოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართე-ბულად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მო-საზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, ვინაიდან მორა-ლურ ზიანს ის დღესაც განიცდის. კასატორმა აღნიშნა, რომ სა-აპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა ასანაზღაუ-რებელი მორალური ზიანის ოდენობა. კასატორი თვლის, რომ ანაზღაურება არ არის გონივრული და სამართლიანი. კასატორი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი თანხის – 500 000 ლარის სრული

ანაზღაურებაც კი ვერ უზრუნველყოფს გადატანილი და მომავალში გადასატანი ფსიქიკური ტკივილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, გ. გ-ის მიზანია განცდილი ფიზიკური და მორალური ზიანის შემსუბუქება. საპელაციო პალატას მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიეღო დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება დამდგარი ზიანის მიმართ, ასევე არსებული ობიექტური გარემოებები, კერძოდ, შეილახა კასატორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, კასატორმა 30 წლის ასაკში სრულად დაკარგა შრომისუნარიანობა, გახდა პირველი ჯგუფის ინგალიდი, დაკარგა გადაადგილების და დამოუკიდებლად საკეცების მიღების უნარი, კასატორს ავარიისას ჰყავდა ორი მცირენლოვანი შვილი, რომელთა მატერიალურად უზრუნველყოფის სახსრები გ. გ-ს აღარ გააჩნდა. აღნიშნული გარემოებები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეულობა და მატერიალური მდგომარეობა სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა. კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მოწინააღმდეგე მხარისათვის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 480 000 ლარის დაკისრება კასატორისათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

კასატორმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივარში მიუთითა სსკ-ის 102-ე, 412-ე, ასკ-ის მე-17 მუხლებზე და აღნიშნა, რომ არ დასტურდება სამინისტროს ბრალეული ქმედების შედეგად გ. გ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთანავე, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, არამედ ხელყოფილი სიკეთის დადებითი ემოციით შეცვლა. მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების ფარგლებს განსაზღვრავს სასამართლო საქმის მასალების ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად. მორალური ზიანის ოდენბის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის საკითხი, ზიანის ხარისხი, დაზარალებულის განცდების სიღრმე და სხვა ინდივიდუალური თავისებურებანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროსათვის მორალური ზიანის სახით 20 000 ლარის დაკისრება უპრეცენდენტოა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის აშკარად შეუსაბამოა. კასატორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ გ. გ-ის მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან იგი ავტოკატასტროფაში მოჰყვა 2002 წელს, ხოლო სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღდრა 2014 წელს, რა დროსაც გასული

იყო სკ-ის 128-ე და 1008-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. რაც შეეხება საადვოკატო ხარჯის ანაზღაურების თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებას, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რადგან არ დასტურდება, რომ ადვოკატისათვის აღნიშნული თანხა გ. გ-ის მიერ გადახდილია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. გ-ის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ გ. გ-ი 1995-2002 წლებში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის, საჩერის მე-16 სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ს-4 (...) ოფიცრის თანამდებობაზე, სამხედრო წოდებით – კაპიტანი. გ. გ-ი 21.07.2002წ. მოყვა ავტოკატასტროფაში, მიიღო ტრავმა: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ზედა პარაპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ლრუს ორგანოების ფუნქციების მოშლა, თავის და ხერხემლის დახურული ტრავმა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრებისა და მთავარი სამმართველოს უფროსის 04.03.2003წ. №542 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე გ. გ-ი დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ჩაირიცხა რეზერვში, ავადმყოფობის გამო. გ. გ-ი არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, უვადოდ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საჩერის მე-16 სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის (ს/ხ...) ს-4 (...) ოფიცერი გ. გ-ი იღებდა სამხედრო წოდებისათვის სარგოს – 4.53 ლარს, თანამდებობრივ სარგოს – 39.24 ლარს, ნამსახურების პირცენტულ დანაბატს – 8.75 ლარს, კვების კომპენსაციას – 59 ლარს, სულ 111.52 ლარს, საიდანაც დაენიშნა პენსია – 94.79 ლარი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის (საქმე №3/3294-03) გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო

ფონდს გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 9.33 ლარის გადახდა 2003 წლის 01 ივნისიდან, ასევე მიუღებელი საპენსიო დანამატის სხვაობა 2003 წლის აპრილიდან. 2013 წლის 1 აპრილიდან გადაანგარიშების შედეგად გ.გ-ს დანიშნული აქვს კომპენსაცია თვეში 284 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. სზავის 208.1 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სკ-ის 992-ე მუხლი ადგინს დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგად წინაპირობებს, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით, კერძოდ, ტრავმის შესახებ 08.01.2003წ. №19 ცნობით, 05.02.2003წ. დამტკიცებული 30.01.03წ. №7 ავადმყოფობის მოწმობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 04.03.2003წ. №542 ბრძანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 16.04.2003წ. სსებ შემოწმების აქტის ამონაწერით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 24.02.2014წ. ცნობით, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ქუთაისის რეგიონული სამხედრო პროკურორის 20.10.2002წ. დადგენილებით დასტურდება, რომ 2002წ. მომხდარი ავტოავარიის შედეგად გ.გ-მა მიღლო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რის შედეგადაც გახდა შესაძლებლობის მკვეთრად შეზღდული სტატუსის მქონე უვადოდ, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი და განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით, უდავოდ

დასტურდება, რომ გ. გ-ის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია საჩერე-ჭიათურის გზატკეცილზე 21.07.2002წ. მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუ ფიზიკური პირის ბრალეულობა გამოიხატება განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში, რაც პირის სუბიექტური დამოკიდებულებით განისაზღვრება, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამ სხვაობას განაპირობებს ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო, როგორც ასეთი, თავად არ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, იგი თავის საქმიანობას ასრულებს თავისი ორგანოების ან ფიზიკური პირების მეშვეობით. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობა ვლინდება სწორედ ამ პირისა თუ ორგანოს ბრალეულობაში. საქმეში დაცული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ქუთაისის რეგიონული სამხედრო პროკურორის 20.10.2002წ. დადგენილებით დასტურდება, რომ ქ. საჩხერეში, ... ქუჩაზე 21.07.2002წ. მოძრაობდა საჩხერის გვარდის სამხედრო ნაწილის კუთვნილი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა კაპიტანი გ. ჩ-ე. ავტომანქანაში ასევე ისხდნენ სერჭანტი კ. შ-ე და ლოჯისტების ოფიცერი, კაპიტანი გ. გ-ი, რა დროსაც ავტომანქანა გადაბრუნდა, ადგილზე გარდაიცვალა კ. შ-ე, ხოლო ავტომანარის შედეგად მიღებული ტრავმებით ქ. ჭიათურის საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მოთავსდა გ. გ-ი, რომელიც იმავე დღეს მძიმე მდგომარეობის გამო გადაყვანილ იქნა თბილისის რესუბლიკურ საავადმყოფოში. სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით პროკურატურის მიერ დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომანქანას მართავდა გ. ჩ-ე, მან ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების დაცვა, რამაც გამოიწვია ავტომანქანის გადაბრუნება, რის შედეგადაც გ. გ-მა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ კაპიტანმა გ. ჩ-ემ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276.5 მუხლით, თუმცა გ. ჩ-ის გარდაცვალების გამო შეწყდა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება. აღნიშნულის გარდა, ტრავმის შესახებ 08.01.2003წ. №19 ცნობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 15.04.2003წ. სსებ შემოწმების აქტის ამონანერით და 30.09.2008წ. ძალოვანების საინვენტარიზაციო ფორმით №55066 სამხედრო ნაწილის 08.01.2003წ. №8 ცნობით დგინდება, რომ გ. გ-მა დაზიანებები მიიღო სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულე-

ბის დროს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის ბრალეულად მიჩნევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მას ჰქონდა სხვაგვარად მოქცევის ვალდებულება და შესაძლებლობა. ბრალი განიმარტება, როგორც ქმედუნარიანი პირის განზრახვის ან გაუფრთხილებლობის მომცველი ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო და სუბიექტურად გაკიცხვადი ქმედება. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ ავტომობილის საჭესთან მყოფმა გ. ჩ-ებ ჩაიდინა სისხლის სამართლის კიდევსი 276.5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, კერძოდ, დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესი, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება (გ. გ-ის ნაწილში) და სიცოცხლის მოსპობა (კ. შ-ის ნაწილში). სსკ-ის 106-ე მუხლში 24.09.2010. №3619 კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ აქტებს არ აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა, ამდენად, ქუთაისას რეგიონალური სამხედრო პროკურატურის სისხლის სამართლის საქმის №62022013 შეწყვეტის დადგენილებას განსახილველი დავისადმი არ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, თუმცა, შესაძლებელია მისი მტკიცებულებად დაშვება და შეფასება. საქმეში დაცული მტკიცებულებებით დასტურდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურის – კაპიტან გ. ჩ-ის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად გ. გ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას ის შეადგენს, რომ პასუხისმგებლობა ზიანისათვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი (სკ-ის 999.1 მუხ.). სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან სამსახურებრივი ურთიერთობების საფუძველზე. სკ-ის 155.2 მუხლის თანახმად, მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან, მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. ადმინისტრაციული ორგანოს წარმოეშობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ დაგინდება, რომ ავტოავარიის შედეგად ზიანის მიყენებისას მძლო-

ლი მოქმედებდა დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში. ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას (სკ-ის 199.1 მუხ.), რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა. დადგენას საჭიროებს მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების მფლობელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებართვით გამოყენება, რათა გაირკვეს დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობა, მფლობელის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობა – სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვის გარეშე გამოყენება (სკ-ის 999.4 მუხ.), სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. აღნიშნულისათვის არ არის საქმარისი საქმეზე დადგენილი გ.გ-ის მიერ ტრავმის მიღება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სკ-ის 999-ე მუხლი ქმნის არაბრალებული მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს, ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის სახით გარკვევას საჭიროებს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მფლობელის ნებართვის გამოყენება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლოა იყოს ქონებრივი (მატერიალური) და არაქონებრივი (მორალური). სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა მიიჩნევა მატერიალურ ზიანად, ხოლო პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც დაკავშირებულია პირის სულიერ ტანჯვასთან არამატერიალური ზიანია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში. მოცემულ საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ გ.გ-მა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძველს, თუმცა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის დაბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს.

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლება-დარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.

სკ-ის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვა-და სამ წელს შეადგენს. ცალკეულ, საგამონაკლისო შემთხვევა-ში არ არის გამორიცხული მორალური და მატერიალური ზიანის განსხვავებულ მომენტებში დადგომის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული არ უარყოფს მორალური ზიანის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის მოქმედებას. განსახილველ შემთხვე-ვაში 21.07.2002წ. მიღებული დაზიანებების (კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, სახისა და შუბ-ლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა ც-7 დონეზე, ზედა პარაპრეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს თრგანოვების ფუნქციის მოშლა) შედეგად გ. გ-მა 100%-ით და-კარგა შრომის უნარი და გახდა პირველი ჯავაზის ინვალიდი უვა-დოდ, რაც არ ტოვებდა სრულად გამოჯაანმრთელების, შემდგომ-ში სამხედრო სამსახურის გაგრძელების პერსპექტივას, შესა-ბამისად, არ დასტურდება მატერიალური ზიანის და მორალური ზიანის დადგომის მომენტებს შორის სხვაობა, მორალური ზია-ნის სხვა, უფრო გვიანდელი პერიოდიდან ათვლის შესაძლებ-ლობა. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 07.12.01 წ. კანონის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექ-სპერტიზის წამყვან პოზიციად ითვლება პირის სამედიცინო და სოციალური სტატუსის დარღვევის ან მისი დაკარგვის ხარის-ხის განსაზღვრა, კომპენსაციურ-ადაპტაციური შესაძლებლო-ბები (4.3, 52.2 მუხ.), პირის შესაძლებლობის სტატუსის განსაზ-ღვრას, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხების გა-დაწყვეტას საფუძველად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომითი და ფსი-ქლოლგოური მონაცემების კომპლექსური შეფასება (მე-5 მუხ.), სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა ტარდება შესაბამისი სა-დიაგნოსტიკო-სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებე-ბის განხორციელების შემდეგ (მე-6 მუხ.). საქმეში დაცული სა-ქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საჩხერის ბიუროს 16.04.03წ. შემოწმების აქტის ამონანერის თანახმად, გ. გ-ს დაუდგინდა ინვალიდობის პირველი ჯავაზი. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 16.04.03წ. შემოწმების აქ-ტის ამონანერით ირკვევა, რომ სამხედრო სამსახურებრივი მო-ვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმით გ. გ-ს ინვალი-

დობა დაუდგინდა უვადოდ. ამდენად, შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული ხარისხი, დასახიჩრების შეუქცევადი შედეგი, ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი და მკვეთრი დარღვევით, აღნიშნულის შედეგად აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლა, ნერვული განცდები ტრავმის მიღებისთანავე იყო ცხადი. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 24.02.2014წ. ცნობის მიხედვით გ. გ-ი არის შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე. გ.გ-ისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების დროს მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის უვადოდ დადგენის საფუძვლებს ადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13.01.2003წ. №1/6 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ (მე-9 მუხ.). ამავე პერიოდში მოქმედი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, პირს იმ შემთხვევაში უდგინდებოდა შრომისუნარიანობის 100%-ით დაკარგვა, თუ დაზარალებულს პქონდა ორგანიზმის ფუნქციის გამოხატული დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდიდა ან აბრკოლებდა ნებისმიერი შრომის შესრულებას, შათ შორის სპეციალურად შექმნილ პირობებშიც კი. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ენების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 34-ე მუხლის საფუძველზე მუშაკისათვის ტრავმით და პროფესიული დაავადების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული წესი მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებდა რაიმე სპეციალურ რეგულირებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადები მხოლოდ ნორმატიულად შეიძლება განისაზღვროს. განსახილველ შემთხვევაში მოსამსახურის მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით ხანდაზულობის სპეციალური ვადა გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს სკ-ის 1008-ე მუხლით განსაზღვრული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის ნარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ხანდაზ-

მულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის – ზიანის დადგომის და ზიანის მიმყენებლის შესახებ. სუბიექტურ ფაქტორს ყურადღება ექცევა იმ შემთხვევაში უკეთუ ხანდაზმულობის ნარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია. საერთო წესის თანახმად, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა უფლების დარღვევისთანავე შეიტყო დამდგარი ზიანის შესახებ. სანინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, რადგან თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 102-ე მუხ.). ზიანის დადგომის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო აფტოვარიის შედეგად დასახიჩრების მიღების, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევის, შრომის უნარის დაკარგისთანავე. გ. გ-ს პირველი ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა ტრავმის მიღებიდან მოკლე პერიოდში. სააპელაციო პალატის მითითება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩერის რაიონული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 16.04.03ნ. შემონმების აქტზე ადასტურებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღებას და არა კანონით განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადაში სარჩელის აღდგრას. საქმის მასალების მიხედვით, სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულია 02.04.2014წ., შესაბამისად არ დასტურდება მოსარჩელის მიერ არათუ სკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, არამედ აგრეთვე სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის დაცვა. ამასთანავე, სააპელაციო პალატა არ უთითებს ხანდაზმულობის ვადის ათვლის სხვა მომენტს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ უკვე 2003 წელს გ. გ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მატერიალური ზიანის – საპენსიო დანამატის სხვაობის ანაზღაურება, ქ. ტბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის ივნისის №3/3294-03 გადაწყვეტილებით, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ამდენად, მოსარჩელისათვის დამდგარი ზიანის და ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაცია ზიანის დადგომისთანავე იყო ცნობილი, გ. გ-ს პერიოდა სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლო-

ბა, თუმცა არ იკვეთება ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების, შეწყვეტის, მატერიალურ ზიანთან ერთად მორალური ზიანის ხანდაზმულობის ვადის ათვლის გამომრიცხავი გარემოება.

მოსარჩევლის მიერ წარუშლელი დასახიჩრების მიღება არ გამორიცხავს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაცულობას, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებზე (პირადი არაქონებრივი უფლებები, მეანაბრეთა მოთხოვნები ანაბრების გამო (სკ-ის 128.2 მუხ.)), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (სუსგ 08.04.2009წ. №ძს-972-936(3კ-08)) არანაირად არ გულისხმობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გაუვრცელებლობას, მორალური ზიანის ყოველთვის მატერიალურ ზიანზე გვიან დადგომას. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზულობის ვადის ათვლის მომენტი უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოების შეფასების შედეგად. განსახილველ საქმეში არ დასტურდება მატერიალური ზიანის დადგომის მომენტისაგან განსხვავებულად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ათვლის შესაძლებლობა. საფუძველს არის მოკლებული აგრეთვე კასატორის გ. გ-ის მითითება სუს 25.07.2013წ. №ძს-494-488(2კ-12) გადაწყვეტილებაზე, რომელშიც მოპასუხე სადავოდ არ ხდიდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება კანონმდებლობის ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება), არ აყენებდა ხანდაზმულობის საკითხს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. მოპასუხე მოცემულ საქმეზე სადავოდ ხდის ფაქტობრივ გარემოებებს, სარჩელის წარდგენისთანავე სადავოდ ხდიდა მოსარჩელის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის დაცვის საკითხს, რაც განაპირობებს მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხის დასაბუთების საჭიროებას.

გ. გ-ის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლე-

ბა. მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის, ხან-დაზმულობის ვადის გასვლა (სარჩელის კანონით დადგენილ ვა-დაში წარდგენის აუცილებლობისაგან განსხვავებით) არ აბრკო-ლებს სასამართლოსადმი ან სხვა ორგანოსადმი მიმართვის უფ-ლებას. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძუ-ლებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩე-რების (სკ-ის 132-ე, 134-ე მუხ.) ან შეწყვეტის (სკ-ის 137-ე, 138-ე, 139-ე მუხ.) საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-ის საკასაციო საჩივარში დასმული მორალური ზიანის ოდენობის საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია ხანდაზმულო-ბის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. დაზარალებულის (ცხოვრე-ბის პირობებს (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური), სუბიექტურ დამოკიდებულებას, ნეგატიური ფსიქოლოგიური განცდების ინ-ტენსივობას მნიშვნელობა აქვთ მორალური ზიანის ანაზღაუ-რების ოდენობის განსაზღვრისათვის, ხოლო უკანასკნელს თა-ვის მხრივ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სასარჩელო ხანდაზმუ-ლობის ვადის დაცვის პირობებში.

დაუსაბუთებელია, აგრეთვე, სააპელაციო პალატის გასაჩივ-რებული განჩინება სასამართლოს ხარჯების ნაწილში. სასამარ-თლოს ხარჯები შედგება სახელმწიფო ბაჟისაგან და საქმის გან-ხილვასთან დაკავშებული ხარჯებისაგან. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სკ-ის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე გათავისუფლებულია სასამართლო ბაჟის გადახდი-საგან. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არის დასაბუ-თებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. გ-ის სასარგებლო ადვოკატზე გაწეული ხარჯის – 1 000 ლარის ანაზ-ღაურება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ად-ვოკატის მომსახურებისათვის მოითხოვდა მის მიერ გადახდი-ლი თანხის – ორი ათასი ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას. საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები სსკ-ის 37.3 მუხლის თანახმად შეადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. გ-ის მიერ საადვოკატო ხარჯების გაწევისათვის თანხის გადახდა. საქმეში დაცული 31.03.2014 ხელშეკრულება არ ადასტურდება მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურების ხარჯების გაწევას. ამასთანავე, მო-პასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს

მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა ეკისრება მეორე მხარეს, თუ მის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება. ვინაიდან არ დასტურდება მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები, დაუსაბუთებელია, აგრეთვე, მოპასუხისათვის საადვოკატო ხარჯის დაკისრება. შესაბამისად, სააპელაციო პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს აგრეთვე სასამართლო ხარჯების ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამდღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს. ამდენად, გ. გ-ისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.07.2015წ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლით და

### **და ადგილი:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. გ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.2015წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-239-237(2\_16)

1 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

გ. დ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 15 მარტს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და განვევის სამსახურმა გაიწვია სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 2012 წლის 7 მაისის ბრძანებით დაინიშნა ... ბრიგადის ოცეულის 1-ლი დაცვის ათეულის მსროლელად. 2012 წლის 25 მაისს საგუშაგოზე ყოფნისას მასთან მივიდა საპარო თავდაცვის ბრიგადის ოფიცერი გ. ხ-ი, რომელმაც ჩამოართვა მასზე გაპიროვნებული ცეცხლსასროლი იარაღი და დაუწყო ინსტრუქტაჟის ჩატარება, რომლის დროსაც მოხდა გასროლა. გ. დ-მა მიიღო ჯანმრთელობის მძმე დაზიანება მარცხენა მუხლის არეში. გ. დ-ს უჭირს გადაადგილება ხელჯობის გარეშე, დარჩა დიდი ზომის ნაწილური მარცხენა ბარძაყზე, მარცხენა ქვედა კიდურის კუნთები ბარძაყის და წვივის არეშე ატროფი-

რებული აქცის, საჭიროებს ხანგრძლივ რეაბილიტაციას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით გ. დის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის (ფაქტობრივად მიყენებული ზიანის სახით 400 ლარი და მკურნალობისათვის განსაზღვრული სამომავლო ხარჯის სახით 900 ლარი) სახით – 1 300 ლარის გადახდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით. მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის სარჩეოს სახით ყოველთვიურად (სიცოცხლის ბოლომდე) 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გ. დის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა მორალური ზიანის დაკისრების და ყოველთვიური სარჩეოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; გ. დის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 10000 ლარის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩეოს სახით 194,2 ლარის გადახდა, გ. დის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 ივლისის განაჩენით დადგენილია, რომ 2012 წლის 25 მაისს, დაახლოებით 4.20 საათზე, ... ბრიგადის ...-ის ჯავშანსატანკო-საავტომობილო და შეიარაღების კონტროლის ოფიცერმა, უფროსმა ლეიტენანტმა – გ. ხ-მა გადამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და სადლელამისო საყარაულო წესში მყოფ, ამავე სამხედრო ნაწილის წვევამდელს, რიგით გ. დ-ს გამოართვა ავტომატური ცეცხლსასროლი იარა-

ლი, დაუწყო ინსტრუქტაჟის ჩატარება, მოუხდა ერთჯერადი გასროლა, რის შედეგადაც გ. დ-ს მიაყენა ცეცხლსასროლი ჭრილობა მარცხენა ფეხის არეში. ზემოაღნიშნული განაჩენის თანახმად, გ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით;

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიულ-სამძებრო მთავარი სამმართველოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციისა და ოპერატიული უზრუნველყოფის სამმართველოს მესამე განყოფილების მთავარი ინსპექტორის თ. ჩ-ის 2013 წლის 16 იანვრის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ... ბრიგადის საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის ... საზენიტო-საარტილერიო ბატარეიის სამხედრო მოსამსახურის, რიგით გ. პ. ძე დ-ის ჯანმრთელობის დაზიანება დადგა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, მეთაურის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს;

ლ. სამსარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის 2012 წლის 25 ივნისის №020315-2012/05/1-4 სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გ. დ-ის სხეულზე არსებული დაზიანებები – გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა მუხლის სახსრის და მუხლებება ფოსოს არეში, მუხლებება არტერიისა და ვენის დაზიანებით, ბარძაყის ძვლის სახსარშიდა და დისტალური მესამედის ღია ფრაგმენტოვანი მოტებილობა ფრაგმენტების ცდომით, დიდი და მცირე წვივის ნერვის დაუზუილობა, ჰიპოვოლემიური შეკვეთი და წვივის კუნთების ნეკროზი მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო.

გ. დ-ის დიაგნოზია: მარცხენა ბარძაყისა და წვივის ცეცხლნასროლი ჭრილობების შემდგომი მდგომარეობა; ბარძაყის ძვლის დისტალური ბოლოს ცეცხლნასროლი ფრაგმენტოვანი მოტებილობა. წვივის სისხლძარღვებისა და ნერვების დაზიანება. მარცხენა ბარძაყის მაკორეეგირებელი ოსტეოტომიის, დეფორმაციის გასწორების, ოსტეოსინტესის შემდგომი მდგომარეობა. მარცხენა კოჭ-წვივის სახსრის ღია ართროდეზის, აქილოპლასტიკის, ტერფის ექვინუსური დეფორმაციის გასწორების შემდგომი მდგომარეობა. გ. დ-ი დროებით უგარგისისა სამხედრო სამსახურისათვის და ესაჭიროება რეაბილიტაციური მკურნალობა ხანგრძლივი ვადით.

დადგენილია, რომ 2012 წლის 25 მაისს მიღებული ტრაგემის გამო გ. დ-ს ჩაუტარდა არაერთი სამედიცინო მკურნალობა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების 2014 წლის 10 ივნის ცნობის თანახმად, სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით, გ. დ-ს უარი ეთქვა სოციალური პაკეტის დანიშვნაზე იმ საფუძვლით, რომ მხარის მიერ წარდგენილი სეაქტის ამონანერის მიხედვით, გ. დ-ს დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი ზომიერად გამოხატული ფორმით, შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზი დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულების შესრულებისას მიღებულ ტრავმასთან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მომუშავე თანამშრომლის ბრალეულ ქმედებასა და მოსარჩევის ამჟამინდელ მდგომარეობას შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ბრალეული ქმედების შედეგად მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, მოსარჩელე გახდა შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მატარებელი, რაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამორიცხავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის უარყოფისა და მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიცია მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის დაკისრების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის თაობაზე და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელიც სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიუყენების შემთხვევებში, ადგენს დაზარალებულის უფლებას მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის გარემოებებით დადგენილია, რომ მკურნალობის მიუხედავად მოსარჩელემ ჯანმრთელობის მდგომარეობა სრულად ვერ აღიდგინა, როგორც აღინიშნა, მას შეზღუდული შესაძლებლობები დაუდგინდა უვადოდ, მიღებული ტრაგემის შედეგად დარღვეული აქვს კიდურის ფუნქციონირება, ვერ ახერხებს თავისუფლად გადაადგილებას,

არის 22 წლის, რაც ნიშნავს იმას, რომ სრულიად ახალგაზრდამ უნდა შეძლოს ცხოვრების შეცვლილ რიტმთან ადაპტირება, ეს გარემოებები კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოშობს მის უფლებას მოთხოვოს და აინაზღაუროს არაქონებრივი ზიანი. სააპელაციო სასამართლომ, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხისა და საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ გონივრული და სამართლიანი ოდენობა იყო 10 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტ გ. დ-ის შეფასებები ყოველთვიური სარჩოს დანიშვნაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და დაადასტურა, რომ დასანიშნი სარჩოს ოდენობის განსაზღვრის შეუძლებლობა არ იძლევა მოთხოვნის უარყოფის საკმარის სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ სარჩოს დანიშვნის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება არა სოციალური სფეროს მარეგულირებელ ნორმებს, არამედ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ კანონმდებლობას. მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, მოსარჩელის მითითებით, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი, რომელიც ადგენს: იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება; თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუზაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ მოსარჩელე 2009 წელს ჩაირიცხა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტში და 2011 წელს, ანუ ტრავმის მიღებამდე, დაასრულა აღნიშნული კურსი სპეციალობით დაცვა და პატრულირება. სხეულის არსებული დაზიანება გამორიცხავს აღნიშნული პროფესიით მოსარჩელის დასაქმების შესაძლებლობას, მოსარჩელეს წაერთვა არჩეული პროფესიით განვითარების საშუალება, ქრონიკული დაავადების გამო გაიზარდა მისი მოთხოვნილებები და ყოველთვიური დანახარჯები, დადგენილია, რომ ის საჭიროებს განგრძობად მკურნალობას, არსებულ პირობებში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლის შემადგენლობა, რაც ქმნის მოთხოვნის მითითებულ ნაწილში დაკმაყოფილების ფაქტობრივ და სამარ-

თლებრივ საფუძველს. რაც შეეხება თანხის ოდენობას, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიუთითა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსარჩელის დასაქმება, ასევე მითითებული უწყებისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ, ჰიპოთეტურ ვარაუდს და არ იძლევა რეალური დამგების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელე დასაქმდებოდა მითითებულ უწყებაში, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამორიცხავს ყოველთვიურ სარჩოს დაანგარიშების პროცესში სახელთასო სარგოს ჩართვის შესაძლებლობას. ამავდროულად, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ ადეკვატური და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის გათვალისწინებით, იმისათვის რომ მოსარჩელისათვის უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული ყოფა და შეექმნას სოციალური უსაფრთხოების გარანტია, რაც აღიარებულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლით, ყოველთვიური სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს ქვეყანაში დადგენილი საარსებო მინიმუმისა (რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის შეადგენს 154.2 ლარს) და მინიმალური ხელთასის ოდენობის 40 ლარის (დადგენილია საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის №767 ბრძანებულებით) შეკრების საფუძველზე და დადგინდეს 194.2 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გ. დ-ზე ორჯერ გასცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 7000 და 1300 ლარის ოდენობით. სახელმწიფოს მიერ გადახდილი ერთჯერადი მატერიალური დახმარება წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის დაზიანების კომპენსაციას, რომ არა ჯანმრთელობის დაზიანება, არ დადგებოდა თავდაცვის მინისტრის 26/09/2007 წლის №560 ბრძანებით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის ვალდებულება.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არა-ქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. დამკვიდრებული მოსაზრებით, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძვლის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, პირდაპირ, ცალსახად არის დადგენილი, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია, ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება იგი არ ანაზღაურდება.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩელის დაკისრების ნაწილშიც და აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

გ. დ-მა კანონით დადგენილ ვადაში შეგებებული საკასაციო საჩივარი წარმოადგინა, რომლითაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებასა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას ითხოვს.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლიანოდენობად 10 000 ლარის მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ გ. დ-ს მიყენებული ზიანით ასევე მიადგა მძიმე მორალური ტრავმა, მას დღემდე ტანჯავს მიყენებული დაზიანება და დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადიდ, ვერ გადაადგილდება ჯეროვნად, გამოხატული აქვს ავადმყოფობა ქრონიკულად საჭიროებს მუდმივ მუკურნალობას. გასათვალისწინებელია მისი ასაკიც – ფიზიკური დასახიჩრების მომენტისათვის გ. დ-ი გახლდათ 19 წლის, მიყენებული დაზიანების გამო თვეების განმავლობაში იგი იმყოფებოდა სტაციონარში, ჩაუტარდა რამდენიმე ოპერაცია, არ შეეძლო სიარული, დღემდე ხელჯოხით გადაადგილდება. სტაციონარიდან განერის

შემდეგ არ გადიოდა სახლიდან, უჭირდა ურთიერთობა მეგობრებთან და ოჯახის წევრებთანაც კი, კომუნიკაციის პრობლემა დღემდე სრულად დაძლეული არ არის, იგი ფსიქოლოგიურად დათრგუნული და ტრაგირებულია. აღარ შეუძლია ფიზიკური დატვირთვა, სამუდამოდ გამოეთიშა სპორტულ აქტივობებს, თითქმის მუდმივად სახლშია, ერიდება გარეთ გასვლას.

კასატორი ხაზს უსვამს, რომ უშუალოდ ზიანის მიმყენებლის ბრალი სახეზეა, საქმეზე თანდართულია გამამტყუნებელი განაჩენი. სახელმწიფოს უდავოდ ეკისრება ვალდებულება შეარჩიოს სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოხელეები, ასევე პერმანენტულად უზრუნველყოს მაღალი პროფესიული სტანდარტის არსებობა სახელმწიფო/საჯარო სამსახურში, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება სამართალდამცავ თუ სხვა ძალოვან ორგანოებში დასაქმებულ პირებს, ვინაიდან ხსენებულ პირთა მხრიდან პროფესიული მოვალეობს დარღვევას შეიძლება განსაკუთრებულად მძიმე შედეგები მოჰყვეს.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ტრავმის შედეგად გ. დ-ს დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობები, შესაბამისად, გახდა შრომისუუნარო და სამუდამოდ განაწირულია უმუშევრობისთვის. მისი ქრონიკული დაზიანებები ფაქტობრივი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა, იგი 21 წლისაა, იმ ეტაპზე, როდესაც მოზარდი პროფესიული თვალსაზრისით ცოდნის პრაქტიკულ დონეზე გამოვლენას იწყებს, თუმცა აპელანტს, სამწუხაროდ, კარიერული წინსვლის ფიზიკური შესაძლებლობა არ მიეცა, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახური თუ სხვა ინდივიდუალური გარემოებები (აპელანტი მარტო ცხოვრობს პენსიონერ ბებიასთან ერთად, მათი ერთადერთი შემოსავალი ბებიის საპენსიო გასაცემელია), რაც, საბოლოო ჯამში ამართლებს განსახილველ ვითარებაში მოთხოვნილი თანხის ოდენობას მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

კასატორი ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ ყოველთვიური სარჩიოს განსაზღვრის პრინციპს და მიუთითებს, რომ გ. დ-მა გაიარა დაცვისა და პატრულირების სრული კურსი, ამდენად დიდი შანსი ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულიყო, სადაც მინიმალური შრომის ანაზღაურება 700 ლარია.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. დ-ის შეგებე-

ბული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემობები მიიჩინა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 ივლისის განაჩენით დადგენილია, რომ 2012 წლის 25 მაისს, დაახლოებით 4.20 საათზე, ... ბრიგადის ...-ის ჯავშანსატანკო-საავტომობილო და შეიარაღების კონტროლის ოფიცერმა, უფროსმა ლეიტენანტმა – გ. ხ-მა გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და სადლებამისო საყარაულო წესში მყოფ, ამავე სამხედრო ნაწილის წვევამდელს, რიგით გ. დ-ს გამოართვა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, დაუწყო ინსტრუქტაჟის ჩატარება, მოუხდა ერთჯერადი გასროლა, რის შედეგადაც გ. დ-ს მიაყენა ცეცხლსასროლი ჭრილობა მარცხენა ფეხის არეში. ზემოაღნიშნული განაჩენის თანახმად, გ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით;

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იპერატიულ-სამძებრო მთავარი სამმართველოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციისა და ოპერატორული უზრუნველყოფის სამმართველოს მესამე განყოფილების მთავარი ინსპექტორის – თ. ჩ-ის 2013 წლის 16 იანვრის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ... ბრიგადის საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის ... საზენიტო-საარტილერიო ბატარეიის სამხედრო მოსამსახურის, რიგით გ. პ. ძე დ-ის ჯანმრთელობის დაზიანება დადგა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, მეთაურის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს;

ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის 2012 წლის 25 ივნისის №020315-2012/05/1-4 სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გ. დ-ის სხეულზე არსებული დაზიანებები – გამჭოლი ჭრილობა მარცხენა მუხლის სახსრისა და მუხლევეშა ფოსოს არეში, მუხლევეშა არტერიისა და ვენის დაზიანებით, ბარძაყის ძვლის სახსარშიდა და დისტალური მესამედის ღია ფრაგმენტოვანი მოტეხილობა ფრაგმენტების ცდომით, დიდი და მცირე წვივის ნერვის დაუკულობა, ჰიპოვოლემიური შოკი და წვივის კუნთების ნეკროზი

მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო.

გ. დ-ის დიაგნოზია: მარცხენა ბარძაყისა და წვივის ცეცხლნასროლი ჭრილობების შემდგომი მდგომარეობა. ბარძაყის ძვლის დისტალური ბოლოს ცეცხლნასროლი ფრაგმენტოვანი მოტეხილობა. წვივის სისხლძარღვებისა და ნერვების დაზიანება. მარცხენა ბარძაყის მაკორეგირებელი ოსტეოტომიის, დეფორმაციის გასწორების, ოსტეოსინტესის შემდგომი მდგომარეობა. მარცხენა კოჭ-წვივის სახსრის ღია ართოდეზის, აქილოპლასტიკის, ტერფის ექვინუსური დეფორმაციის გასწორების შემდგომი მდგომარეობა. გ. დ-ი დროებით უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის და ესაჭიროება რეაბილიტაციური მუშაობისათვის.

დადგენილია, რომ 2012 წლის 25 მაისს მიღებული ტრავმის გამო გ. დ-ს ჩაუტარდა არაერთი სამედიცინო მკურნალობა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარევოს რაიონული განყოფილების 2014 წლის 10 ივნისის ცნობის თანახმად, სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარევოს რაიონული განყოფილების 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით, გ. დ-ს უარი ეთქვა სოციალური პაკეტის დანიშვნაზე იმ საფუძვლით, რომ მხარის მიერ წარდგენილი სსეაქტის ამონანერის მიხედვით, გ. დ-ს დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი ზომიერად გამოხატული ფორმით, შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზი დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულების შესრულებისას მიღებულ ტრავმასთან.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორებს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმის განხილვისას მათ ეყრდნობა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამარ-

თლოს განმარტებას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ყველასათვის გარანტი-რებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამარ-თლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახუ-რის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელები-სას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლო-ბის განსაკუთრებულ წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლები. კერძოდ, მითითებული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალ-სახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორ-განოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწი-ფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის გან-ხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინის-ტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კო-დექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებ-ზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. საქართვე-ლოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სა-ხელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლო-ბით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მო-სამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომე-ლიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხი-ლებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზ-ღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი დაზარალებულს უფლება აქვს მქურნა-ლობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამარ-თლოს შეფასებას, რომ გ. დ-ის მკურნალობისათვის განეული და სამომავლოდ გასააწევი ხარჯების აანაზღაურების სამარ-თლებრივი საფუძველი არსებობს, ამასთან, ყურადღებას ამახ-ვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამარ-

თლომ მოპასუხეს დააკისრა უკვე გაწეული მკურნალობის ხარჯის – 400 ლარისა და სამომავლოდ გასაწევი ხარჯის – 900 ლარის (სულ 1300 ლარის) ანაზღაურება. აღნიშნული ფაქტის საპირისპიროდ კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გ. დ-ის სახელზე ორჯერ გასცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 7000 და 1300 ლარის ოდენობით. შესაბამისი მტკიცებულებები საქმეში მოიპოვება. კასატორი ადასტურებს, რომ დასახელებული კომპენსაცია გ. დ-ზე გაიცა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მეონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 38-ე პუნქტისა და 401-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელთა მოქმედება უპირობოდ ვრცელდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრილ ან დასახიჩრებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებისმიერ სამხედრო მოსამსახურებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეულობის მიუხედავად. მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე და 1005-ე მუხლები, რამდენადაც ზიანის მიმყენებელ პირს ნარმოადგენს თვითონ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, რამდენადაც გ. დ-ის დასახიჩრებამდე მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების მოვალეობა.

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოადგენილი გ. დ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებების, კერძოდ, 2014 წლის 24 ივლისისა და 2014 წლის 4 ივნისის ჯანმრთელობის ცნობების შეფასების შედეგად, ადგენს, რომ გ. დ-ს პოსტტრავმული ქრონიკული დაავადება აღენიშნება და ესაჭიროება ხანგრძლივი რეაბილიტაცია. საქმეში წარმოადგენილი სსე აქტის ამონანერით დასტურდება, რომ მოსარჩელეს დაუდგინდა შესაძლებლობების შეზღუდვა, მაგრამ ზომიერად გამოხატული, ქმედუნარიანობის ზომიერად შეზღუდვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საკასაციო პალატა ითვალისწინებს გ. დ-ის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს და ასევე

ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებაა გ. დ-ის ასაკი და ის მოცემულობა, რომელთან ადაპტირებაც მოსარჩელეს მოუწევს, მათ შორის, შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ სარჩოს დანიშვნის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება არა სოციალური სფეროს მარეგულირებელ ნორმებს, არამედ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ კანონმდებლობას.

მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

სააპელაციო სასამართლო მართებულად გაითვალისწინა, რომ ქრონიკული დაავადების გამო გაიზარდა გ. დ-ის მოთხოვნილებები და ყოველთვიური დანახარჯები, დადგენილია, რომ ის საჭიროებს გახვრძობად მკურნალობას.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორს გ. დ-ის მტკიცებას, რომ ამ უკანასკნელმა გაიარა დაცვისა და პატრულირების სრული კურსი, ამდენად დიდი შანსი ჰქონდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულიყო, სადაც მინიმალური შრომის ანაზღაურება 700 ლარია, შესაბამისად, სწორედ ამ ოდენობის სარჩო უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებისას სარჩოს გადახდის მიზანი არ არის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება კერძო სამართლებრივი მნიშვნელობით, არამედ სარჩოს არსი და იდევა არის დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე ფიზიკურ-სოციალური საჭიროებების კომპენსირება. სარჩოს დანიშვნას საფუძვლად ის რეალობა უდევს, რომ დაზარალებული, შრომის უნარის დაქვეითების, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული სირთულეების გამო, ვეღარ ახერხებს მისთვის ხორმალური ცხოვრების წესის გაგრძელებას, საკუთარი ძალებით საჭირო ანაზღაურების გამომუშავებას, ან ეზრდება დანახარჯები მკურნალობასა თუ გარემო პირობებთან დამატებით ადაპტაციის საჭიროების გამო. სწორედ ამ დანაკლისის კომპენსაციას ხმარ-

დება ყოველთვიური სარჩო, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩოს გამოთვლა დაკავშირებული უნდა იყოს საარსებო მინიმუმის არა ნორმატიულად განსაზღვრულ ოდენობასთან, არამედ კონკრეტული პირის აუცილებელი მოთხოვნილებების კომპენსირების შესაძლებლობასთან. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. დ-ისათვის დადგენილი ქმედუნარიანობის ზომიერად შეზღუდვის მდგომარეობის, მის მიერ სამუშაოს შესრულებისა და შრომის ანაზღაურების გამომუშავების შესაძლებლობის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა ყოველთვიური სარჩოს ოდენობა.

გ. დ-ის ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა იყო ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მტკიცებას, რომ ამ შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და მიუთითებს, რომ თავისი არსით არაქონებრივი ანუ მორალური ზიანი არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად კი, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის გამო. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხე-

დულებით, უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ სხეულის დაზიანება, ჯანმრთელობის მოშლა ზიანის მიმყენებლის მხრიდან ცალსახად წარმოშობს დაზარალებულისათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ხანგრძლივი უმნეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესის და რიგმის შეცვლა, მეურნალობის უმედეგობა თითოეულ ინდივიდში იწვევს ცხოვრების ხალისის დაქვეითებას, ნერვულ დაძაბულობას, არასრულფასოვნების კომპლექსის გაჩენას, რაც წარმოშობს ნეგატიური განცდების, თუნდაც მცირედით კომპენსირების აუცილებლობას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პროპორციულობის გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გ. დ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ მორალური ზიანის სახით – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების მატერიალურ-პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## **გ ა დ ა ნ დ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. დ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის 10000 (ათი ათასი) ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეყისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;
4. გ. დ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გ ა დ ა ნ დ ვ ი ტ ი ბ ი ტ ი ს გ ა ნ დ ა ზ ღ ვ რ ი ს ო ბ ი ე პ ტ უ რ ი პ რ ი ტ ე რ ი შ მ ი**

**გ ა დ ა ნ დ ვ ი ტ ი ბ ი ტ ი  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ს ს ა ხ ე ბ ი ტ ი**

№ბს-19-18(კ-17)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**ა ღ წ ე რ ი ლ მ ბ ი ტ ი ნ ა წ ი ლ ი:**

2013 წლის 1 ნოემბერს ლ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, მას ბრალი ედებოდა სსსკ-ის 180-ე მუხლის „ბ-გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გათვაისუფლდა დარბაზიდან. იგი პატიმრობაში 2012 წლის 26 ივლისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე იყო. უკანონო პატრიმრობაში ყოფნით მას მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2011 წლის ოქტომბერში შეიძინა სათესლე ნიორი 1 ტონა და 250 კგ. 8,125 ლარად, რომელიც დათესა ქ. ყვარელში ე.ნ. ... მინაზე. მინა ნაქირავები ჰქონდა ყვარელში მცხოვრები ე. წ-ი-დ-ისგან. მინის ქირა შეადგენდა თვეში 1000 ლარს, რომელიც უნდა გადაეხადა მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. ამასთან, ზეპირი ხელშეკრულება გამომშრალი და გადამუშავებული ნიორის გადაცემის შესახებ დადგებული ჰქონდა მყიდველთან, რომლისგანაც ბე-ს სახით მიიღო 2000 ლარი. 1 კგ. ნიორი ღირდა 7,70 ლარი, მიღებულმა მოსავალმა კი შეადგინა 13000 კგ.. რომელიც მოუვლელობის გამო განადგურდა, ვინაიდან დააპატიმრეს მოსავლის ალებიდან ერთ კვირაში. მოსარჩელემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ქ. ყვარელში, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე ნაქირავები ჰქონდა 12 ჰა მინის ნაკვეთი, რომელზედაც დათესილი ჰქონდა აბაშის ყვითელი სიმინდი. 1 ჰა მინის ნაკვეთის ქირა შეადგენდა 300 ლარს ანუ სულ ქირა შეადგენდა – 3,600 ლარს, რომელიც უნდა გადაეხდა მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. 1 ჰა-ზე უნდა მიეღო 7 ტონა მოსავალი ანუ სულ – 10 ჰა-ზე მინიმუმ 70 ტ., რაც მისი უკანონო პატიმრობაში ყოფნის გამო განადგურდა.

მოსარჩელის განმარტებით, მისმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა 121400 ლარი, ვინაიდან მას სიმინდის მოსავალი წინასწარ ჰქონდა გაყიდული და მოგების სახით უნდა მიეღო 100100 ლარი, ნივრის მოყვანისათვის საერთო დანახარჯმა შეადგინა 21300 ლარი ( $100100+21300=121400$  ლარი). სიმინდის მოსავლის ნანილში დანახარჯმა შეადგინა 12400 ლარი, მოსავალი რომ მიეღო უნდა გაეყიდა საბითუმო ფასად 1,35 ლარად, ვინაიდან, სიმინდის ფასი განისაზღვრებოდა საბაზრო ღირებულებით 1,35 – 1.40 ლარი. 10 ჰა-ზე სიმინდის მოსავალს სულ ცოტა 70 ტონას მიიღებდა, 70000 კგ.  $X 1,35 \text{ ლარზე} = 94500 \text{ ლარს}$  შეადგენს, საერთო ზარალმა შეადგინა  $94500+12400=106900$  ლარი. საერთო ჯამში უკანონო პატიმრობისგან გამოწვეულმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა 228300 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, მისი უკანონო პატიმრობა გაგრძელდა 2012 წლის 25 ივლისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე, რამაც მიაყენა როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანიც. უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილები, პატიმრობაში ყოფნისას ესმოდა პატიმართა ტანჯგა-წამების ხმა. რვა დღის განმვლობაში ე.წ. „ფუქსებში“ არაადამიანურ პირობებში იყო, სადაც ადგილი ჰქონდა პატიმართა წამებასა და ცემის ფაქტებს. მიიღო მორალური ტანჯვა, შიში, წყენა, იმედგაცრუება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე, რის გამოც ნევროპათოლოგის მკურნალობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშა.

ამდენად, მოსარჩელემ მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის სახით – 228 300 ლარისა და მორალური სახით – 5 000 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხლვისას საქმეში მოპასუხედ ჩაეპა საქართველოს მთავარი პროკურატურა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაეპა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება – 6 000 ლარის ოდენობით; ლ. კ-ის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 25 ივლისს, სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ლ. კ-ი დაპატიმრებულ იქნა გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის მიერ და იმავე წლის 27 ივლისს №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იქნა მოთავსებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით ლ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, გამართლდა და იმავე დღეს გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა პრალდების მხარემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტი-

ტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებულიყო ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, ზიანი მიყენებული უნდა ყოფილიყო მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა ყოფილიყო მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღვოდეს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ასევე სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყო ქმედების უკანონობის დადგენა და სახეზე ყოფილიყო პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან გამამართლებელი განაჩენი ადგენდა პირის უდანაშაულობას, რაც იწვევდა მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას, თუმცა უნდა არსებულიყო მეორე სავალდებულო წინაპირობაც – ქმედების უკანონობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2012 წლის 26 ივლისს გამოტანილ იქნა ლ. კ-ის მიმართ დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ხოლო 2012 წლის 27 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და ალევეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ეფუძნებოდა კანონს და კანონის საფუძველზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტებს. საქართველოს პროკურატურა წინასწარ ვერ განსაზღვრავდა კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება და მათ საფუძველზე განაჩენის გამოტანა წარმოადგენდა და სასამართლოს პრეროგატივას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უკანონო ქმედებას და იგი მოქმედებდა კანონის შესაბამისად, რაც გამორიცხავდა სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან მიმართე-

ბაში, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ასკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ლ. კ-მა ვერ უზრუნველყო კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების წარმოდგენა იმ გარემოებების დასადასტურებლად, რომლებზედაც ის ამყარებდა სასარჩელო მოთხოვნას.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, საქალაქო სასამართლომ აღნიშნულთან მიმართებაში მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმე, კერძოდ, მას 2012 წლის 25 ივნისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა, რაც არ იყო ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებული იყო გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან. ყოველივე ეს უარყოფითად აისახა დაპატიმრებული პირის ჯანმრთელობაზე. გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, შეიღახა მოსარჩელის პატივი და ლირსებაც. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავდა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა 6 000 ლარს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. კ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ლ. კ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინება საკასაციო

წესით გაასაჩივრეს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და ლ. კ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინება ლ. კ-ისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, კველასათვის გარანტირებული იყო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ჰქონდა კომპენსაციის მიღების უფლება. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით, პირს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სზაკ-ის 208.1 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო. სზაკ-ის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით იყო დადგენილი. ამდენად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამარ-

თლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებდა სახელმწიფო, გამოძიების, პროექტურის მოვალეობისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად (სკ-ის 1005.3). აღნიშნული კონსტიტუციური ნორმები არ შეიცავდნენ მითითებას ბრალზე, როგორც ზიანის ანაზღაურების პირობაზე. კანონმდებელი ითვალისწინებდა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეულ შემთხვევებს (მაგ. სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება), სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი საგამონაკლისო წესით ადგენდა სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების წესს თანამდებობის პირებისა და ორგანოების ბრალის მიუხედავად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 1005.3 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო შემდეგი წინაპირობების არსებობა: დამდგარი ზიანი, მართლწინააღმდეგობა – უკანონო ბრალდება/მსჯავრდება, მიზეზობრივი კავშირი უკანონო ბრალდებასა და დამდგარი ზიანს შორის, აგრეთვე პირის მარეაბილიტერებელი გარემოება. უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრებოდა როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის თავისუფლების ხელყოფასა და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი, თან სდევდა პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შეღახვა. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების გაწევაში და ა.შ., ხოლო არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შეღახვასთან და სხვ., თუმცა ანაზღაურებას ექვემდებარებოდა არა ყველა სახის მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებული იყო მოქმედი კანონმდებლობით (სკ-ის 413-ე მუხ.).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის გამამართლებელი განაჩენი უდავოდ წარმოადგენდა მო-

სარჩელის რეაბილიტაციის საფუძველს. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებული იყო აე-ნაზღაურებინა ის ზიანი, რომელიც უკავშირდებოდა რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემას, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალი-სა, ვინაიდან არ დაისცებოდა ნორმის ისე განმარტება, რომ პირს არ მისცემოდა უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შე-საძლებლობა (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლე-ბათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლი), საწინააღმდეგო ინტერ-პრეტაცია არ თავსდებოდა საქართველოს კონსტიტუციით აღი-არებულ ადამიანისა და მისი უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 1005.3 მუხ-ლის მიზნებისთვის მართლსანინააღმდეგოდ მიჩნეოდა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლზომიერების მიუხედა-ვად, დაუსაბუთებლად არღვევდა პირის კონსტიტუციით და-ცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ 1984 წლის 22 ნოემბრის ევროპული კონვენციის №7 ოქმის მესამე მუხლის თანახმად, „თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფ-ლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელ-და, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათ-ვის მას მიეკუთვნებოდა კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფო მოქმედი კანონის ან დაკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით“. საქმეზე „პოგოსიანი და ბაღდასარიანი სომხეთის წინააღმდეგ“ (Case of Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia, 12.09.2012 წ., გა-ნაცხადი №22999/06) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასა-მართლომ განმარტა, რომ უკანონო მსჯავრდების დადასტუ-რებისას, პირისათვის დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა უნდა მომხდარიყო ეროვ-ნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დანაწესის არარსებობის შემთხვევაშიც (ჭ51). ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მართლსანინააღმდეგო შედეგის არ-სებობა (დადასტურებული უკანონო მსჯავრდება/ბრალდება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ შეფარ-დება) განაპირობებდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, რადგან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მო-მენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედე-

ბები მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მიიჩნეოდნენ უკანონოდ, რადგან ხსენებული ნორმა მიზნად ისახავდა დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ რეაბილიტაცია სისხლის სამართლის პროცესში იყო იმ პირის უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაექვემდებარა სისხლის სამართლებრივ დევნისას თუ პასუხისმგებლობას. პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენი იყო, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებდა. განსახილველ შემთხვევაში ლ. კის მიმართ დამდგარი იყო გამამართლებელი განაჩენი – სახეზე იყო მარეაბილიტირებელი გარემოება, რასაც სააპელაციო პალატაც დადგენილად მიიჩნევდა, შესაბამისად, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის არსებობდა იმ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეული იყო უშალოდ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებით, მით უფრო, რომ კანონიერ ძალაში მყოფი 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით უდანაშაულოდ ცნობასა და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებასთან ერთად, ლ. კ-ს განემარტა ზიანის ანაზღაურების უფლების შესახებ.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი იყო ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრინციპი (სკ-ის 992-ე მუხ.), თუმცა აღნიშნული დანაწესი არ იყო აბსოლუტური ხასიათის. განსახილველ შემთხვევაში, სახელწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ზიანი ანაზღაურდებოდა ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. ამდენად, დაუსაბუთებელი იყო საპელაციო პალატის მითითება ბრალის, როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელ წინაპირობაზე, სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის. დაუშვებელი იყო დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992-ე, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანონო ბრალდებისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონო შეფარ-

დების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო პალატამ დასაშვებად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურება მაშინ, როცა მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის კანონმდებლობით უფრო მაღალი სტანდარტი იყო დადგენილი (სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, აღნიშნულის გათვალისწინებით სკ-ის 1005.3 მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს რებილიტირებული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას უკანონო ბრალდების შემთხვევაში).

ლ. კ-მა მიუთითა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთის შედეგად მას მიადგა მატერიალური ზიანი, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა რიგი მტკიცებულებები (მესამე პირთა ახსნა-განმარტებებს, დასკვნას დამდგარი ზიანის შეფასების შესახებ და სხვ.). მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატა შემოიფარგლა მხოლოდ სსკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით და აღნიშნა, რომ მხარემ ვერ უზრუნველყო იმ გარემოებების დადასტურება, რომლებზეც ამყარებდა თავის მოთხოვნას, თუმცა არ შეუფასების საქმეში ლ. კ-ის მიერ წარმოდგეხილი მტკიცებულებები, არ უმსჯელია კანონმდებლობით დადგენილი წესის გათვალისწინებით მათი გაზიარების შესაძლებლობაზე. ამდენად, საქმე განხილული იყო სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების გარეშე. სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი შეფასების საფუძველზე უნდა დაედგინა მატერიალური ზიანის არსებობა, გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებასა და ზიანის შორის მიზეზობრივი კავშირი, ემსჯელა ასანაზღაურებელი მატერიალური ზიანის ფარგლებსა და ოდენობაზე. საკასაციო სასამართლო არ იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო, საკასაციო საჩივარი შეიძლება უფრო მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევით იყო გამოტანილი (სსკ-ის 393.1 მუხ.), სსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე არ იყო დადგენილი მატერიალური ზიანის არსებობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში – ზიანის ანაზღაურების ფარგლები, შესაბამისად, საკასა-

ციონ სასამართლო მოკლებული იყო მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ლ. კ-ის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლიანობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

რაც შეეხებოდა მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასაბუთება და აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებული იყო არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლის ისეთ ობიექტს, რომლის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნდა. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისი იყო არაქონებრივი უფლების (პატივი, ლირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ხელშეუხებლობა) ხელყოფის ფაქტის არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო. თავისუფლების აღკვეთა დაკავშირებული იყო გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან, სტრესულ მდგომარეობასთან, რეპუტაციის შეღახვასთან. ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავდა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებას წარმოადგენდა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით წყდებოდა, მორალური ზიანის მოცულობას განსაზღვრავდა სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ლ. კ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა (6 000 ლარი) მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციული იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. კ-ის სარჩელი მთავარი პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა; საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება – 228 300 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012

ნლის 25 ივლისს, სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ლ. კ-ი დაპატიმრებულ იქნა გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროცესუატურის მიერ და №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსდა იმავე ნლის 27 ივლისს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2013 ნლის 15 აპრილის განაჩენით ლ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, გამართლდა ნარდენილ ბრალში და იმავე დღეს გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. განაჩენში მიეთითა, რომ ლ. კ-ს ჰქონდა ზიანის ანაზღაურების უფლება, ასევე აღინიშნა, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარად არ დასტურდებოდა ლ. კ-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 ნლის 2 ოქტომბრის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის განაჩენი, რომელიც საქმის განხილვის ეტაპისათვის შესულია კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების ეტაპზე, საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიციას და განმარტა, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრებოდა როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. მატერიალური ზიანი შეიძლება გამოხატულიყო ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების განევაში და ა.შ. სკ-ის 1005.3 მუხლის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად და მისი დაკმაყოფილებისათვის საკმარისი იყო ზიანის არსებობის დადგენა, ქმედების უკანონობა და სახეზე ყოფილიყო პირის მარეაბილიტირებელი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 ნლის 15 აპრილის გამამართლებელ განაჩენზე მითითებით, უდავოდ მიიჩნია პირის მარეაბილიტირებელი გარემოებების არსებობის ფაქტი და სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ლ. კ-თან მიმართებაში არსებობდა იმ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეული იყო უშუალოდ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებით. საკასაციო სასამართლოს მიერ განჩინებაში წარმოდგენილ განმარტებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ დადგე-

ნილად მიიჩნია ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლების არსებობის ფაქტი და ჩათვალა, რომ ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც გამოყენებულ იქნა ლ. კ-ის მიმართ, განაპირობებდა საქართველოს მთავარი პროკურატურის ვალდებულებას, აენაზღაურებინა დამდგარი მატერიალური ზიანი. შესაბამისად, საქმის განხილვის მითითებულ ეტაპზე სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენდა მხოლოდ მატერიალური ზიანის არსებობის და აღკვეთის ღონისძიებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

სააპელაციო სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება მიაჟდია მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საპროცესო ვალდებულებას და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისადაც, თითოეულ მხარეს უნდა დამტკიცებინა გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლებოდა თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურებულიყო გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო სხვა სახის მტკიცებულებებით. ანალოგიური შინაარსის დებულებებს შეიცავდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი, რომელიც ადგენდა, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო დაესაბუთებინა თავისი სარჩელი და წარედგინა შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებული იყო წარედგინა წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა ან ეჭვქვეშ დააყენებდა საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. აღნიშნული სააპელაციო სასამართლოს აძლევდა საფუძველს დაესკვნა, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თავი ვერ გაართვა მტკიცების ტვირთს, ხოლო რაც შეეხებოდა საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლის უარყოფაც ვერ მოხდა მოპასუხის მიერ, იძლეოდა საფუძველს სარჩელი მიჩნეული ყოფილიყო დასაბუთებულად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში საქმის განხილვის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ პასუხობდა მტკიცებულებათა სანდოობის სტან-

დარტს, სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ლ. კ-ის მიერ ყველა შესაბამისი დოკუმენტი წარმოდგენილი იყო სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით, რაც დამატებით დაერთო საქმის მასალებს. საქმეში დაცული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ეჭვქვეშ ვერ დააყენა ის გარემოება, რომ ლ. კ-ს იჯარით წამდვილად ჰქონდა აღებული 11,2 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, საიდანაც 10 ჰა-ზე დათესილი ჰქონდა სიმინდი, ხოლო 1,2 ჰა მინის ნაკვეთზე – ნიორი. სამოქალაქო კოდექსის 593-ე მუხლი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის იჯარის ხელშეკრულების სავალდებული ფორმად არ ადგენდა წერილობით ფორმას. მითითებული მუხლის საფუძველზე, თუ იჯარის ხელშეკრულება წერილობით არ იყო დადებული, ივარაუდებოდა, რომ ხელშეკრულება დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით. საქმეში წარმოდგენილი იყო ლ. ლ-ის განცხადება, დამოწმებული სანოტარო ფორმით, რომელშიც ლ. ლ-ი ადასტურებდა, რომ მან ლ. კ-ს სიმინდის დათესვის მიზნით გადასცა 1,2 ჰა მინის ნაკვეთი, რისთვისაც ლ. კ-ს ერთ ჰექტარზე უნდა გადაეხადა 300 ლარი. ვიანიდან, ლ. კ-ი დააპატიმრეს, სიმინდის აღება არ მოხდა და შეთანხმებული ქირა მას დღემდე არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ, იმ გარემოების დადგენის მიზნით, 12 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი ნამდვილად ირიცხებოდა თუ არა ლ. ლ-ის საკუთრებაში და რეალურად არსებობდა თუ არა ამ მინის ნაკვეთის გადაცემის შესაძლებლობა, შეისწავლა უძრავი ნივთის მდგომარეობის შესახებ ამონაზერი საჯარო რეესტრიდან, რომლის საფუძველზეც დასტურდებოდა, რომ 2006 წლიდან ქ. ყვარელში, ლ. ლ-ის საკუთრებად რეგისტრირებული იყო 120 000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი. საქმეში წარმოდგენილი იყო ე. დ-ის მიერ გაკეთებული განცხადება, დამოწმებული სანოტარო ფორმით, რომელშიც იგი განმარტავდა, რომ მან ყვარელში, ე.წ. ... ტერიტორიაზე მდებარე 1,2 ჰა მინის ნაკვეთი მიაქირავა ლ. კ-ს, რომელზეც ლ. კ-მა დათესა ნიორი და აიღო მოსავალი. საქმეში წარმოდგენილი იყო ამონაზერი საჯარო რეესტრიდან, რომლის საფუძველზეც დგინდებოდა, რომ ე. წ-ზე (ე. დ-ზე) ქ. ყვარელში რეგისტრირებული იყო 4465,00 კვ.მ მინის ნაკვეთი, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ჰქონდა 2012 წელს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ ე. წ-ი (პ/ნ ...) 2013 წლის 10 სექტემბრამდე რეგისტრირებულ ქორნინებაში იყო თ. დ-თან; ე. წ-ი და ე. დ-ი წარმოადგენდა ერთი და იგივე პიროვნებას. საქ-

მეში წარმოდგენილი იყო გორის რაიონის სოფელ ... მცხოვრები დ. გ. კ-ის განცხადება, რომლის საფუძველზეც, დ. კ-ი ადასტურებდა, რომ მან 2 ტონამდე სათესლე ნიორი 1 კგ. 6 ლარად და 50 თეთრად მიჰყიდა ლ. კ-ს. იმ გარემოებას, რომ ლ. კ-მა შეისყიდა სათესლე ნიორი ადასტურებდა ასევე, ქ. გორში მცხოვრები ლ. პ-ი, რომელიც განმარტავდა, რომ სათესლე ნიორი ლ. კ-მა შეისყიდა მისი დახმარებით, მისივე ნათესავისაგან. იმ გარემოებას, რომ ლ. კ-მა დათესა ნიორი და სიმინდი, მოიყვანა მოსავალი და მის მოყვანაზე დასაქმებული იყო არაერთი პირი, ადასტურებდა ქ. ყვარელში მცხოვრები ა. ს-ი, რომელიც მიუთითებდა, რომ ყველა საჭირო საკულტივაციო სამუშაო განახორციელა საკუთარი ტრაქტორით; მოსავლის მოყვანისა და მუშაობის ფაქტს ადასტურებდნენ ქ. ყვარელში მცხოვრები შემდეგი პირები: 6. ქ-ი, 6. მ-ი, ა. ს-ი, ა. რ-ი, გ. ჩ-ი, შ. ც-ე, ს. ქ-ი, ქ. მ-ი. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე თანდართულ მტკიცებულებებში, ცალკეულ მოწმეთა ჩვენებებში, ასევე ასახული იყო მითითება იმის თაობაზე, რომ ლ. კ-ს დათესილი ჰქონდა ნიორი, ელოდებოდა მის აღებას და მოგების მიღებას. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ქ. ყვარლის რწმუნებულის მიერ 2014 წლის 29 მაისს გაცემული იყო ცნობა №301, რომლითაც ქ. ყვარლის რწმუნებული ადასტურებდა, რომ ლ. კ-ს 2012 წელს ნამდვილად ჰქონდა დათესილი 10 ჰა მიწის ნაკვეთზე სიმინდი და 1.2 ჰა მიწის ნაკვეთზე ნიორი. ფაქტობრივად, ყველა ზემოაღნიშნული მოწმის მიერ განმარტებული იყო, რომ მოსავლის დაბინავება ვერ მოხდა და მოსავალი განადგურდა, ვინაიდან ლ. კ-ი მითითებული მომენტისათვის იყო დაკავებული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდებოდა, რომ ლ. კ-ი რეგისტრირებული იყო ქ. ყვარელში, ... ქ. №39-ში დედასა და მამასთან ერთად, რომლებიც იყვნენ პენსიონერები. არსებულ ვითარებაში სააპელაციო სასამართლომ ეჭვქვეშ ვერ დააყენა ის გარემოება, რომ ლ. კ-ის დაკავების პერიოდში ოჯახში არ ირიცხებოდა სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი, რომელიც შეძლებდა მოსავლის მოვლას და ზიანის თავიდან აცილებას.

ზემოაღნიშნულმა დადგენილმა და გამოკვლეულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა სააპელაციო სასამართლოს მისცა შესაძლებლობა, დადგენილად მიეჩნია ფაქტი იმის თაობაზე, რომ ლ. კ-ს 11,2 ჰა-ზე მიწის ნაკვეთზე ნამდვილად ჰქონდა დათესილი მოსავალი, რომლის დაბინავება და შემოსავლის მიღება ვერ შეძ-

ლო იმის გამო, რომ მოსავლის აღებისა და დაბინავების პერიოდში მის მიმართ გამოყენებულ იქნა თავისუფლების ალკვე-თის ღონისძიება. რაც შეეხებოდა ზიანის ოდენობას, საგულის-ხმი იყო, რომ მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი იყო შპს „...“ მიერ გაცემული დასკვნა, რომლის საფუძველზეც ლ. კ-ის მიერ იჯარით აღებულ მინის წარმოდგენილი ნივრის მოსავლისა და სიმინდის აუდებელი მოსავლის განადგურებით გამოწვეული ზიანი შეფასდა 228 300 ლარად.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებითი მტკიცებულებების მოძიების მიზნით, გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლით მინიჭებული უფლება-მოსილება და საქმე შესაბამისი განჩინებით და საქმისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე შეკითხვებით, გადაიგზავნა სისილევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. სისილევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2016 წლის 22 ივნისს №5003308816 მომართეთ საქმე დაბრუნდა შეუსრულებელი იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საჭირო იყო საექსპერტო მომსახურების ხარჯების წინასწარი გადახდა და იმ პირზე მითითება, ვინც უზრუნველყოფდა ხარჯის გადახდას. მხარე-ებმა უარი განაცხადეს ხარჯების გადახდაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იყო აუდიტორული დასკვნა, რომლითაც განისაზღვრა მიყენებული ზიანის ოდენობა; ასევე მოსარჩელემ წარმოადგინა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ცნობა, საიდანაც დგინდებოდა, რომ 2011 წელს 1 კგ. სიმინდის ფქვილის ღირებულება შეადგენდა 2,52 ლარს; 2012 წელს – 1,92 ლარს; ხოლო 1 კგ. ნივრის ღირებულება 2011 წელს იყო 7,35 ლ. სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ მონიცემული ინფორმაცია თანხვედრაში იყო აუდიტორულ დასკვნაში ასახულ მონაცემებთან. საქმეში დაცული და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამომრიცხავი მტკიცებულებები კი წარმოდგენილი არ ყოფილა. სასამართლო მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს მთავარმა პროკურორატურამ ვერ უზრუნველყო სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა, მისი მხრიდან მოძიებული და წარმოდგენილი არ იქნა ზიანის გამომრიცხავი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე მტკიცებულებები, რაც ეჭვევეშ დააყენებდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის ოდენობას. არსებულ პირობებში, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო დადასტურებულად მიერჩია მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის ოდენობა, რისი ანაზღაურებაც საქართველოს მთავარ პროკუ-

რატურას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახლი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოიხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლების დეფინიცია ცხადყოფს, რომ პირს ზიანი უნდა მიადგეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით. ამასთან, მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოხელის უკანონო ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მდგომარეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული და უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ იმ შემთხვევაში, როცა საუბარია მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, აუცილებელია დადგინდეს მიყენებული ზიანის არსებობის ფაქტი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებას და დამდგარ შედეგს შორის და მიყენებული ზიანის ოდენობა. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, შეიცავდეს შეფასებასა და დასაბუთებას თოთოეული გარემოებისა და სამართლებრივი ნორმის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ენინააღმდეგება ამ მოთხოვნებს, რის გამოც იგი დაუსაბუთებელი და უკანონოა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩინია ის გარემოება, რომ ლ. კ-ს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული ჰქონდა მიწის ნაკვეთი და ენეოდა სიმინდისა და ნივრის მოყვანას. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა ნარმოადგენს გრძელვადიან, ორმხრივ, კონსენსუალურ და სასყიდლიან ხელშეკრულებას. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა დადებულად ითვლება მხარეთა შორის მის არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევის მომენტიდან (სსკ-ის 327.1). იგი უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით (სსკ-ის 593.1),

თუმცა ამ ფორმის დაუცველობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. აღნიშნული ნორმებისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ იკვეთება იჯარის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი იჯარის ხელშეკრულება. მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები (მოწმეთა ახსნა-განმარტებები, ქ. ყვარლის რწმუნებულის 2014 წლის 29 მაისის №301 წერილი, საჯარო რეესტრის ამონანერები) ერთმანეთთან ისეთი შეუსაბამოა, რომ ვერ დგინდება, რამდენი ჰქექტარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა გადაცემული ლ. კ-ს, რა ოდენობის სიმინდი და ნიორი დათესა და რა რაოდენობის ნივრის მოსავალი აიღო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია და ეფუძნება მტკიცებულებათა არასწორ შეფასებასა და კანონის არასწორ განმარტებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან წარდგენილი არ იქნა ისეთი სახის მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებდა ან ეჭვევეშ დააყენებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. კასატორის აზრით, საგულისხმოა, რომ ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სტორედ მოპასუხის ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს. ამისათვის საჭიროა საქმეში წარდგენილ იქნეს ცალსახა მტკიცებულებები, რომლებითაც უტყურად დადასტურდება სადაცვო ფაქტი. საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან საქმის განხილვის პირველივე ეტაპზე წარდგენილ იქნა შესაგებელი, ასევე მოსაზრებები სადაცვო საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა აუდიტორული დასკვნა, რომ არ შეაფასა იგი. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება მხოლოდ აბსტრაქტულ გარემოებებსა და ჰიპოთეტურ მსჯელობებს ლ. კ-ის მიერ მოსავლის მიღებისათვის გაწეული ხარჯის ოდენობასა და მოსავლის მიღებისა და რეალიზაციის შედეგად სამომავლოდ მისაღებ თანხებზე. რაც შეეხება მიუღებელ შემოსავალს, იგი გაანგარიშებულია ერთმანეთთან შეუსაბამო გარემოებების ზეპირი განმარტებისა და იურიდიულად დაუდგენელი ფაქტების საფუძველზე. ამდენად, წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის 228 300 ლარის დაკისრება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სსიპ ლევან სამხარაულის

სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2016 წლის 22 ივნისის №50003308816 მომართვა მათთვის სასამართლო სხდომამდე ცნობილი არ იყო მაშინ, როცა საქმეში დაცულია 2016 წლის 15 აგვისტოს წერილი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ზემოაღნიშნული წერილის ლ. კ-ისათვის გაგზავნის თაობაზე. კასატორს მიაჩნია, რომ ამით დაირღვა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპი. ექსპერტიზის დანიშვნის წინააღმდეგი საქართველოს მთავარი პროკურატურა საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა. რაც შეეხება ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელი ხარჯების წინასწარ გადახდას, კასატორს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როგორც სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლებული მხარე, ასევე გათავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის წინასწარ გადახდისაგან.

კასატორი ასევე სადავოდ ხდის საქმის ფაქტობრივ გარემოებს, კერძოდ, მოცემულ საქმეში წარმოდგენილი არ არის უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა იჯარის ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, იჯარით აღებულ მინის ნაკვეთის ფართობს. სასამართლომ მოწმეთა განმარტებების საფუძველზე დაადგინა, რომ ლ. კ-მა დათესა ნიორი და სიმინდი, მოყვანა მოსავალი და მის მოყვანაზე დასაქმებული იყო არა ერთი პირი, ხოლო მოყვანილი მოსავალი, ნიორის სახით, განადგურდა. საქმეში არსებული მოწმეთა განმარტებები იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია ობიექტურად დადგინდეს სადავო გარემოებები; სასაჩრელო მოთხოვნა არ არის განმტკიცებული არავითარი იურიდიული დოკუმენტით, ხელშეკრულებით, გადახდის ქვითრებით, ხარჯთაღრიცხვით, საბუღალტრო დოკუმენტებით. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, მოსარჩევის მიერ საქმეში წარმოდგენილია შპს „...“ მიერ გაცემული აუდიტორული დასკვნა, რომლის საფუძველზეც მიღებული ნივრის მოსავლისა და სიმინდის აუღებელი მოსავლის განადგურებით გამოწვეული ზიანი შეფასდა 228 300 ლარად. სასამართლოს მიერ აღნიშნული დასკვნის ამგვარი შეფასება იურიდიულად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშევებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. კ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2012 წლის 25 ივნისს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ლ. კ-ი დაპატიმრებულ იქნა გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის მიერ და №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისიუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსდა იმავე წლის 27 ივნისს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით ლ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, გამართლდა წარდგენილ ბრალში და იმავე დღეს გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. განაჩენში მიეთითა, რომ მას აქვს ზიანის ანაზღაურების უფლება, ასევე აღინიშნა, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარდ არ დასტურდებოდა ლ. კ-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი, რომელიც საქმის განხილვის ეტაპი-სათვის შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება – 228 300 ლარის ოდენობით, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს სწორედ მატერიალური ზიანის – 228 300 ლარის საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის დაკისრების კანონიერების შემოწმება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, არ ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას და ვერ ადასტურებს კონკრეტული ოდენობით ზიანის დადგომას. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა აღქმული საკასაციო პალატის შეფასებები. საკასაციო პალატის მიერ გაუქმებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ ჰქონდა მსჯელობა ლ. კ-ის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, რის გამოც საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და სააპელაციო სასამართლოს დაავალა მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა სსკ-ის 105-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, რათა კონკრეტულად დადგენილიყო ზიანის არსებობა, მიზეზობრივი კავშირი და ზიანის ოდენობა. სააპელაციო სასამართლოს არ დავალებია მტკიცებულებათა აეტომატური გაზიარება მათი კრიტიკული შეფასების გარეშე. მეორე მხარის მიერ საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარმოუდგენლობა, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ბუნების გათვალისწინებით, არ ქმნიდა მოსარჩელის მოსაზრებების უკრიტიკულ გაზიარების საფუძველს და არ ათავისუფლებდა სასამართლოს მტკიცებულებათა შეფასების ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 593-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მინის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. თუ ეს ფორმა არ არის დაცული, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადგებულია განუსაზღვრელი ვალით, თუმცა ამავე კოდექსის 594-ე მუხლის მიხედვით, მხარეებმა საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ერთობლივად უნდა შეადგინონ საიჯარო ქონების ნუსხა, რომელშიც აღინიშნება ქონების ოდენობა და მდგომარეობა იჯარით გადაცემის მომენტისათვის. ამდენად, მიუხედავად საიჯარო ხელშეკრულების ფორმისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 594-ე მუხლი სავალდებულოდ მიიჩნევს სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებისას ქონების ნუსხის შედგენას, რათა ზუსტად ჩანდეს გადაცემული ქონების ოდენობა და მდგომარეობა, ნუსხას ხელს უნდა აწერდეს ორივე მხარე და მითითებულ უნდა იქნეს მისი შედგენის თარიღი. განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული წერილობითი ნუსხა არ არის შედგენილი, შესაბამისად, არ დასტურდება, თუ რა ოდენობის მინა გადაეცა ლ. კ-ს იჯარით, გადაცემული

მიწიდან რა ოდენობის მიწა იქნა დამუშავებული. მხოლოდ ის, რომ ფიზიკურ პირს საკუთრებაში ერიცხება გარკვეული ფართის მიწის ნაკვეთი, უტყუარად არ ადასტურებს ნაკვეთის სრული ოდენობით ლ. კისათვის გადაცემას და მის სრულად დამუშავებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, იჯარა რეგისტრირდება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, რეგისტრაციას უფლებანარმოშობი მნიშვნელობა აქვს კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის. უძრავ ნივთზე იჯარის ხელშეკრულების დადგება შესაძლებელია ზეპირი ფორმითაც (სკ-ის 593-ე მუხ.), რაც წარმოშობს საიჯარო ურთიერთობას მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განუხორციელებლობის შემთხვევაში მესამე პირს არ წარმოქმნება მოლოდინი იჯარის არსებობის შესახებ, რადგან სწორედ უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრიდან დგინდება ნივთზე უფლებრივი მდგომარეობა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 4.2 მუხ.). რეგისტრაციის არარსებობა ხელშეკრულებას იურიდიულ ძალას არ უკარგავს, თუმცა იგი მოქმედებს მხოლოდ ხელშემკვრელ მხარეებს შორის და ძალა არ აქვს მესამე პირებთან ურთიერთობაში. განსახილველ შემთხვევაში, იჯარა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა, შესაბამისად, მესამე პირებს, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ან მოლოდინი იჯარის ხელშეკრულების შესაძლო არსებობის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას უკანონო ბრალდებისას, მიუხედავად ორგანოს ბრალისა, თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ საგამოძიებო ორგანოს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ორგანო მოქმედებდა ინფორმაციული დეფიციტის პირობებში, რაც შესაძლოა, გახდეს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის შემცირების საფუძველი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე. გამოძიება სახელმწიფო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, საგამოძიებო საქმიანობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას

უხდება თავისი საქმიანობის წარმართვა ინფორმაციული დე-ფიციტის პირობებში. საკასაციო პალატის 2015 წლის 4 ივნისის №ბს-485-474(2კ-14) განჩინებაში აღინიშნა, რომ საგამოძიებო საქმიანობის ხსენებული სპეციფიკა არ ქმნის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან სრულად გათავისუფლების საფუძველს, თუმცა ამ გარემოებამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის ფარგლებზე (განჩინების მე-11 გვ.).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო პალატას სათანადოდ არ შეუფასებია დაზარალებულის ბრალი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის მიხედვით, სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ წესები გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედება-მაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. „პატიმრობის კოდექსის“ მიხედვით ბრალდებულს გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებები. შესაძლოა, დაზარალებულს არ ჰყავდა ოჯახის შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც მის ნაცვლად შეძლებდნენ მოსავლის აღებას და მისი ვარგისანობის შენარჩუნებას, თუმცა მოსარჩევე არ იყო შეზღუდული სხვა საშუალებით, მაგ., დავალების ხელშეკრულების დადებით ან მინდობილობის მეშვეობით მესამე პირებთან დაედო შეთანხმება ქონების მოვლა-პატრონობის შესახებ, რითაც იგი შეძლებდა ზიანის სრულად თუ არა ნაწილობრივ მანიც თავიდან აცილებას. არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ბრალდებულ ლ. კ-ს ორგანოების მხრიდან ხელი შეეშალა აღნიშნული უფლებების რეალიზაციაში. ლ. კ-მა არ გამოიყენა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები, რათა ზიანი აეცილებინა თავიდან.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველ ინსტანციაში ლ. კ-ის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ პასუხობდა მტკიცებულებების სანდონობის სტანდარტს, რის გამოც ყველა ეს დოკუმენტი სასამართლოს წარედგინა სანოტარო წესით დამოწმებული სახით. ამასთანავე, სანოტარო წესით ახსნა-განმარტების დამოწმება, არ ადასტურებს მასში ასახული შინაარსის სანდონობას, აღნიშნულით მხოლოდ ახნა-განმარტების მიმცემი პირის ვინაობა დასტურდება, შესაბამისად, ახსნა-განმარ-

ტების სანოტარო წესით დამოწმება არ ზრდის მასში ასახული შინაარსისადმი ნდობის ხარისხს.

საკავაციო სასამართლოს აღნიშვნით, ლ. კ-ი სარჩელით ითხოვს ზიანის ანაზღაურებას 228 300 ლარის ოდენობით, ზიანის გაანგარიშების საფუძვლად უთითებს შპს „...“ დასკვნაზე. სსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, ექსპერტიზის დასკვნა სასამართლო-სათვის საგალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ აღნიშნული დასკვნა გაიზიარა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები წარდგენილი არ ყოფილა, სასამართლოს კრიტიკულად არ შეუფასებია დასკვნაში ასახული ინფორმაციის სარწმუნობა, არ უმსჯელია დასკვნის შედგენის საფუძვლებზე. სააპელაციო პალატას არ გაუთვალისწინებია, რომ დასკვნით დადგენილად არის მიჩნეული მისალები სიმინდის მოსავლისა და მიღებული ნივრის მოსავლის ოდენობები, თუმცა არ არის შეფასებული მინისა სპეციფიკა, კონკრეტულ მინაზე მოსავლის მიღების შესაძლებლობა და მისალები მოსავლის საშუალო ოდენობა. დასკვნაში მითითებულია მოსავლის დათესვაზე, გათოხვნაზე, კულტივაციაზე და ა.შ. და აღნიშნულია, რომ განეული ხარჯების ჯამური ოდენობა 33 700 ლარს შეადგენს. დასკვნის საფუძვლად მითითებულია „დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია“. ამასთანავე, არც დასკვნიდან და არც საქმის სხვა მასალებიდან არ დგინდება კონკრეტულად რა დოკუმენტაცია და ედო საფუძვლად განეული ხარჯის ოდენობის შეფასებას. საქმეში დაცულია მოწმის ჩვენება, რომელიც ადასტურებს, რომ ლ. კ-ს ეხმარებოდა მინის დამუშავებაში, თუმცა აღნიშნული ჩვენებით არ დგინდება კონკრეტულად განეული სამუშაოები, მათი მოცულობა და ლირებულება. ასაღები და აღებული მოსავლის ოდენობის დადგენის წყაროდ შემფასებელს მითითებული აქვს სამი ვებგვერდი. აქედან პირველი ვებგვერდი უკარაინულია და ეხება უკრაინაში წვეთოვანი მორწყვის მეთოდით ნივრის მოყვანას, რაც განსახილველ შემთხვევაში დავისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ნაკლებ გამოსადეგია. მე-2 ვებგვერდზე განთავსებულ სტატიაში მითითებულია სიმინდის საშუალო წლიური მოსავალი 1 ჰა-ზე კონკრეტული სიმინდის ჯიშებისათვის, რაც მერყეობს 5-დან 14 ტონამდე და აღნიშნულია, რომ პიბრიდულ სიმინდს უფრო ნაკლები მოსავალი აქვს. დაუდგენელია იმავე ოდენობის მოსავლის მიღება იყო თუ არა შესაძლებელი ლ. კ-ის მიერ დამუშავებულ მინის ნაკვეთზე და რა ჯიშის სიმინდი პქონდა მას დათესილი. ვებგვერდზე ასახული ინ-

ფორმაცია ზოგადი და არაკონკრეტულია, არ არის გარკვეული კონკრეტულ შემთხვევაში ანალოგიური ოდენობის მიღების შესაძლებლობა. ამდენად, ამ ინფორმაციის ავტომატური გაზიარება კონკრეტულ დავაზე დაუშვებელია. რაც შეეხება მე-3 ვებგვერდს, მასზე შესვლა საერთოდ ვერ ხერხდება. ამდენად, დასკვნაში მითითებული ასაღები და აღებული მოსავლის ოდენობა არ არის დასაბუთებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსავლის სარეალიზაციო ფასის დადგენის წყაროდ დასკვნის ავტორი უთითებს ორ ვებგვერდზე. აქედან პირველ ვებგვერდზე მითითებულია ზოგადად, რომ გაიზარდა სიმინდისა და ხორბლის ფასები, თუმცა კონკრეტული თანხები არ არის მითითებული. მე-2 ვებგვერდი არის საინფორმაციო პორტალი, სადაც აღნიშნულია, უკრაინაში, რუსეთსა და აშშ-ში სიმინდის ფასის ზრდის ტენდენცია. საქართველოში არსებულ ფასებთან მიმართებით რაიმე მითითება არ კეთდება. ამდენად, ამ წყაროებზე მითითებით, შეუძლებელია საქართველოში 2012 წელს აღებული სიმინდისა და ნივრის მოსავლის სამუალო სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა. დასკვნაში მიჩნეულია, რომ ლ. კ-ს დათესილი ჰქონდა აბაშის სიმინდი, თუმცა დაუდგენელია რით დასტურდება აღნიშნული გარემოება. სიმინდის ჯიში მნიშვნელოვანია სიმინდის სარეალიზაციო ფასისა და მოსავლინობის დასადგენად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ლ. კ-ის მიერ მოთხოვნილი ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა მოიცავს სამ კომპონენტს: დათესვაზე, გათოხვნაზე, კულტივაციაზე და ა.შ. განეულ ხარჯს, ნივრის აღებული მოსავლის გაფუჭებით მიუღებელ შემოსავალსა და სიმინდის აუღებელი მოსავლის გაფუჭებით მიუღებელ შემოსავალს. ამ თანხების ოდენობა ლ. კ-ის მიერ წარმოდგენილი შპს „...“ დასკვნით სათანადოდ არ დასტურდება. საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებში – მოწმეთა ჩვენებებში აღნიშნულია, რომ ლ. კ-მა დაკავების გამო ვერ აიღო სიმინდის მოსავალი და გაუფუჭდა ნივრის მოსავალი, თუმცა მოსავლის ოდენობისა და ღირებულების ოდენობის დადგენა სპეციალური ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი.

საქმეში დაცული სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ცნობაში ასახულია 2011 წელს ნივრის საპაზრო ფასი და აღნიშნულია, რომ სიმინდის საბაზრო ფასზე საქსტატი დაკვირვებას არ აწარმოებს და ინფორმაცია არ აქვს. ამდენად, აღნიშნული წერილის საფუძველზე შეუძლებელია დადგინდეს 2012 წელს (როდესაც ლ. კ-ი დაკავეს) ნივრისა და სიმინდის სარეალიზაციო ფასი, მით უფრო, რომ წერილი სიმინდის სარეალიზაციო ფასზე

ინფორმაციას არ შეიცავს. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნულ ცნობაზე, როგორც ფასის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მტკიცებულებაზე, მითითება დაუსაბუთებელია.

ამდენად, ნაკვეთის თვისებების, მეტეოროლოგიური პირობებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ ვერ დაადგინა სიმინდისა და ნივრის მოსავლის შესაძლო ოდენობის მიღება კონკრეტული ფართის მინის ნაკვეთებზე, ასევე 2012 წელს ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, მოსავლის რეალიზაციის ფასი. აღნიშნული გარემოებების გამორკვევის მიზნით, სააპელაციო პალატამ თავადვე მიიჩნია საჭიროდ ექსპერტიზის დანიშვნა, რაც დამატებით ადასტურებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით აღნიშნული ფაქტების სარწმუნოდ დადგენა ვერ ხდება. მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ობიექტური, დადასტურებადი გარემოებებით, რათა არ მოხდეს დაზარალებულის უსაფუძვლოდ გამდიდრება. ამდენად, ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, სახეზეა მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, თუმცა ზიანის კონკრეტული ოდენობა (228 300 ლარი) სრულად ანაზღაურებას არ ექვემდებარება და სააპელაციო სასამართლოს ავტომატურად არ უნდა დაეკისრებინა მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი სრული თანხა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა სახები, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, ამომწურავადაა განსაზღვრული სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით. არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. აგრეთვე, არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს, წინასწარ დადგენილი ძალა სასამართლოსათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების მნიშვნელობა წინასწარ არ არის განსაზღვრული და მისი ძალა და მნიშვნელობა სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული. მტკიცებულებათა შეფასების დროს მხარეებს უფლება აქვთ, უარყონ ან გააქარნყონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მტკიცებულებების სარწმუნობა. მათი უტყუარობისა თუ სიყალბის შესახებ მოსაზრებები შეიძლება გამოთქვან არა მარტო მხარეებმა, არამედ მესამე პირებმა, აგრეთვე, სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, თუ ისინი მონაბილეობენ პროცესში. საბოლოოდ კი, წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო.

საქმეში წარმოდგენილი შპს „...“ დასკვნაში მითითებულია მოსავლის დათესვაზე, გათოხნაზე, კულტივაციაზე და ა.შ. და აღნიშნულია, რომ განეული ხარჯების ჯამური ოდენობა 33 700 ლარს შეადგენს. სანინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქართველოს მთავარ პროკურატურას არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საკმარისია დადგინდეს ზიანის არსებობა, ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის გამამართლებელი განაჩენი წარმოადგენს მოსარჩელის რეაბილიტაციის საფუძველს. ზემოაღნიშნული ნორმის საფუძვლზე სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისებებაში უკანონოდ მიცემას, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ვინაიდან არ დაიშვება ნორმის ისე განმარტება, რომ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლი). ქმედების მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია, იგი არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერებასა და მის სამართლებრივ შეფასებაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე. ეს დებულება მე-13 მუხლით გათვალისწინებული იმ ზოგადი ვალდებულებს კონკრეტული გამოვლინებაა, რომლის თანახმადაც, კონვენციით გარანტირებული ამა თუ იმ უფლებისა და თავისუფლების დარღვევისას ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება. ამასთანავე, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალება მხოლოდ მაშინ მოითხოვება, როდესაც შესაძლო მსხვერპლი მე-5 მუხლის 1-4 პუნქტების დებულებების სანინააღმდეგოდ იყო დაკავებული ან დაპატიმრებული.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების

მიზნებისათვის რელევანტურია კონვენციის მე-5 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი, რომელიც მოითხოვს, რომ დაპატიმრება მოხდეს უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს იმ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმაღვის აღკვეთის აუცილებლობა. იგივე საფუძვლებია გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც, კერძოდ: პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმაღვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა (მუხ. 205). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას მოქმედებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დაანშაულის შესაძლო ჩადენა (მუხ. 3, ნაწ. 11). აღნიშნული არ წარმოშობს იმის პრეზუმაციას, რომ პირი უსათუოდ გამტყუნდება ბრალად შერაცხულ ქმედებაში. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პირის დამნაშავედ ცნობისათვის აუცილებელია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილება, რაც ყველაზე მაღალი სტანდარტია და გულისხმობს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა სანდოობასა და მათ საკმარისობაზე პირის მსჯავრდებისათვის შეიძლება მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო მხარეების მონაბილეობით გამოიკვლევს მათ არსებითი განხილვის სხდომაზე. შესაბამისად, წინასწარი გამოძიების ეტაპზე იმის ვარაუდი, თუ როგორ წარიმართება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევა და საკმარისად მიიჩნევს თუ არა მათ მოსამართლე გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ დაცულია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და ასევე იგი გამოყენებულია უფლებამოსილი ორგანოს – მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ, პირის გამართლება არ ნიშნავს იმას, რომ აღკვეთის ღონისძიება უკანონოდ იყო გამოყენებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ეკროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონ გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ აღკვეთის ღონისძიება კანონიერად იყო გამოყენებული, პირის შემდგომი გამართლება არ წარმოშობს კომპენსაციის სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულებას არც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზია ზიანის სახით, მიუღებელი შემოსახლის მოპასუხისთვის დაკისრების კანონიერებას შეეხება. მოცემულ შემთხვევაში კასატორის პრეტენზიას საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს და განმარტავს, რომ პრაქტიკულად, საკასაციო პალატის შესაფასებელია ზიანის ოდენობა.

სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათ-

ვის საგალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, იგი უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანის სრულად ანაზღაურების ნაწილში იურიდიულად დაუსაბუთებელია. განსახილველ შემთხვევაში, მიყენებული რეალური მატერიალური ზიანის ოდენობა 33 700 ლარია. აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანაბრად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. ლ. კ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. კ-ის სასარგებლოდ, მატერიალური ზიანის სახით – 33 700 ლარის ანაზღაურება დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩი-

ვარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

3. ლ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. დაეკისროს საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. კ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით – 33 700 ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქონელი

|   |  |
|---|--|
| <b>1. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები</b>  |  |
| ლიცენზიის გარეშე კერძო დაცვითი საქმიანობის<br>განხორციელება   |  |
| დაჯარიმების კანონიერება ..... 3   |  |
| სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავებაზე<br>ვალდებული ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა ..... 22                    |  |
| ვალდებულების შესრულების გამო<br>დაკისრებული პირგასამტებლოს ოდენობის სისწორე ..... 43  |  |
| საბანკო გარანტიის სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობა;<br>გარანტიის თანხის ანაზღაურების ვადა ..... 57                        |  |
| სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების<br>სამართლებრივი ბუნება ..... 70; 95  |  |
| სამკურნალო დაწესებულების მიერ ჩატარებული<br>მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე<br>ვალდებული პირის დადგენა ..... 110           |  |
| სახელშეკრულების მოთხოვნების<br>ხანდაზმულობის ვადის ათვლა ..... 132  |  |
| პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ<br>უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავის სასარჩელო<br>ხანდაზმულობის ვადა ..... 151 |  |
| <b>2. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის<br/>ანაზღაურების თაობაზე ..... 162</b>                                       |  |
| ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად<br>დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურება ..... 162                                  |  |
| დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ..... 178  |  |
| მატერიალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის<br>ობიექტური კრიტერიუმი ..... 193   |  |